ივლისი 27-29 1996 წ.
კავკასიონი
The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 129 (423) ფასი 40 თეთრი

■ ნარკოტიკების მოხმარებისთვის და რეალიზაციისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობამ 8 ათასს გადააჭარბა.

■ საერთაშორისო ექსპერტები საქართველოს განიხილავენ, როგორც უახლოეს მომავალში ნარკოტიკების აზიიდან ევროპაში გადაზიდვის მთავარ სატრანზიტო ქვეყანას.

■ ევროპის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა, აზიაში დაგროვილი ნარკოტიკების მხოლოდ 30 პროცენტი.

■ შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი ჯემალ ჯანაშია, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის გადაზიდვის შემთხვევაში, დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას უჭერს მხარს.

დაწვრილებით იხილეთ მე—2 გვ.




## საპროტესტო აქცია




## თემურ ჯანელიძე: „ამ სასამართლოზე ასამართლებენ ზვიად გამსახურდიას“

იხილეთ მე—3 გვერდი

## "რუსთავი-2“-ის გარშემო სკანდალი გრძელდება

„რუსთავი-2“-ის გარშემო ატეხილ დავასთან დაკავშირებით გუშინ კიდევ ერთი პრესკონფერენცია გაიმართა. „რუსთავი-2“-თან მოდავე მხარის წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ ვრცლად ილაპარაკა დაპირისპირების პრეისტორიაზე. ერთხელ კიდევ ითქვა, რომ გასულ წელს, როცა „რუსთავი-2“-ს მძიმე დღეები ჰქონდა, ფიქრია ჩიხრაძემ, რომელიც მაშინ „ივერია-ექსპრესის“ რედაქტორი იყო, ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნიკო ნიკოლოზიშვილმა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ახლადდანიშნულმა გუბერნატორმა თედო ისაკაძემ „რუსთავი-2“-ს შუამდგომლობა გაუწიეს პრეზიდენტთან და რუსთავის გუბერნატორ მამალაძესთან, რომ მათთვის მაუწყებლობის უფლება დაებრუნებინათ.

გაგრძელება მე—3 გვერდზე

## „ჩვენი ბავშვები ნარკომანები გახდნენ, ქალები გათახსირდნენ, ასეთები არ ვიყავით აფხაზეთში“

ეს სიტყვები ითქვა გუშინ აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე. ლტოლვილთა უკიდურეს გაჭირვებას ამძიმებს ის აუტანელი გაურკვევლობა, რომელშიც სამი წელინადი თითოეული ლტოლვილი იმყოფება. ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება და ენერგიული მოქმედებაა საჭირო. ლტოლვილთა აზრით, უეჭველია აფხაზეთში დაბრუნება მათ ყველა დღევანდელ პრობლემას მოაგვარებს და, ამდენად, როგორც სხდომის თავმჯდომარემ მურმან ბერიამ აღნიშნა, ლტოლვილთა კავშირის მთავარი მიზანი აფხაზეთში დაბრუნებაა. მან გულისტკივილი გამოხატა აფხაზეთის მთავრობის უმოქმედობის გამო, რომელიც იმის მაგივრად, რომ თვითონ ემსახურებოდეს ამ მიზანს, ლტოლვილთა კავშირს უშლის ხელს. მურმან ბერიამ ამის დამადა-

გაგრძელება მე—2 გვერდზე

# გთავაზობთ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა და შესაბამის სასჯელთა ნუსხას

## იქნებ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მძღოლებისა და საგზაო პოლიციელების უსაგნო დავას

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოხდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 19 ივლისიდან. აქედან გამომდინარე, შეიცვალა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მძღოლთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი მუხლიც.

ვის არ უნახავს გზაზე საგზაო პოლიციელისა და მძღოლის კამათი, რომელიც, არცთუ იშვიათად, ჩხუბ-გამოწვევამდეც მიდის. მიზეზი კი ამისა ისაა, რომ მძღოლთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, რა დარღვევისთვის რა სასჯელს იმსახურებს. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში თავად საგზაო პოლიციელიც არ არის კარგად გათვითცნობიერებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და მძღოლს ვერც დანაშაულის არსში არკვევს და ვერც სასჯელის ზუსტ ფორმულირებას ახერხებს. ამგვარი ჩიხიდან თავის დასაღწევად ზოგჯერ მძღოლსაც და პოლიციელსაც, ასე ვთქვათ, პირადი გარიგებით საქმის გაჩარხვა ურჩევნიათ, კანონი კი განზე რჩება...

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც სავსებით ნათლადაა განსაზღვრული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სახეები და ამ დარღვევათა მიმართ გათვალისწინებული ადმინისტრაციული სანქციები. ამასთან, ცხრილში მითითებულია სასჯელის დადგენის და ჯარიმის გადახდის წესი.

ცხრილი იხილეთ ბოლო გვერდზე



## სიტყვა-ყველას

თემქის მე-8 პურის ქარხანაში უხარისხო პური ცხვება, მისი ფასი კი 45 თეთრია. როდესაც უკმაყოფილება გამოვთქვით პურის ხარისხის გამო, ქარხნის თანამშრომლებმა ამის მიზეზად ფქვილი დაასახელეს. გაუგებარი ერთადერთი რამაა, თუ პური უხარისხო ფქვილით ცხვება, რატომღაა მისი ფასი 45 თეთრი?

თემქის დასახლების მცხოვრებლები

* * *

ვნერთ მანამდე, სანამ ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებითაც შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონულმა კომიტეტმა პენსიონერების სახელით მივმართეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას (გაზეთი „კავკასიონი“ 1 მაისი, 1996 წ.) და პარლამენტს. პარლამენტიდან მივიღეთ პასუხი (№ა-1342/60. 5.06.96). „... გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და შენიშვნებს ჩვენ ვიზიარებთ. რაც შეეხება ჰუმანიტარული დახმარების გაყიდვას, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი „მუხლი 163“ და საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი „მუხლი 157“ ითვალისწინებს იმ პირების პასუხისგებაში მიცემას, რომლებიც ეწევიან აღნიშნული პროდუქტის გაყიდვას“.

მადლობელი ვართ პარლამენტისა, რომელმაც ჩვენი მოთხოვნები და შენიშვნები ყურად იღო და გაიზიარა. რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარებას, მარტო კოდექსის მუხლების მოშველიება არ კმარა. კვლავ მოვითხოვთ ჰუმანიტარული დახმარების გაყიდვის აკრძალვას და დამნაშავეთა დასჯას, რომ მსგავს შემთხვევებს ბოლო მოეღოს, რათა იგი მოხმარდეს დანიშნულებისამებრ და არა ზოგიერთების უშრომელად გამდიდრების წყაროდ იქცეს.

ჰუმანიტარული მედიკამენტები მამასისხლად იყიდება კერძო აფთიაქებში, ბაზრებში, ჯიხურებსა და ქუჩებში. სიძვირის გამო, მისი შეძენა ჩვენ არ შეგვიძლია. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ვართ დიაბეტით დაავადებულნი, რომლებსაც პოლიკლინიკები გვამარაგებდა წამლებით. დღეს ესეც მოგვისპეს.

რესპუბლიკის ხელისუფლებას არ უნდა სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ სოციალურ ამოცანათა შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა. ამიტომაც პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროგრამებში მოქმედების პირველ ნომრად იგი უნდა დააყენოს. გვაკლია მზრუნველობა და ყურადღება.

სიტყვებით კი გვპირდებით უფასო სამედიცინო მომსახურებას, მაგრამ საქმით სასიკეთო ჯერ არაფერი ჩანს. ჩვენ ისევ უწამლოდ და უექიმოდ ვართ.

ალექსანდრა არობელიძე

შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## ქალაქი აეროპორტით იწყება

თბილისის ახალი აეროპორტი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გახდა და, რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა. ზედმეტია იმითი თავის მოწონება, რაც ცივილიზაციის ბუნებრივი მონაპოვარია; ამიტომაც, ამჯერად იმას მივუთითებ, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ქალაქში ჩამომსვლელთა შთაბეჭდილებას; ამას წინათ გერმანიიდან დავბრუნდი და თვალში მომხვდა ასეთი დეტალები: 1) არსად არაა მცირე ნაგვის (ქაღალდი, ნაფლეთები და ა.შ.), ჩასაყრელი ურნები. თუ ეს საგანგებოდ კეთდება, რომ მგზავრებმა სიგარეტი არ მოსწიონ, უმჯობესია, სიგარეტის ამკრძალავი აბრების გამოკვრა სხვადასხვა ადგილებში. 2) მუშაობდა მხოლოდ ერთი საპასპორტო რეგისტრაციის ორკაციანი ჯიხური და თითქმის ოცი წუთი დასჭირდა მგზავრთა გატარებას. ამასთანავე, დავამატებდი, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საკუთარი მოქალაქეებისთვის ცალკე გასასვლელია და ეს რაღაც ადამიანურ უპირატესობას ანიჭებს სამშობლოში დაბრუნებულ მგზავრს. 3) სხვათა შორის ასევე მხოლოდ ერთი ჯიხური მუშაობდა საბაჟო კონტროლზეც, როგორც შემოსვლისას, ასევე გასვლისასაც, რაც რიგს ქმნის თავისი „საბჭოური“ ჯაჯგურითა და ჭიდაობით. 4) იქვე, საბაჟო შემოწმების ტერიტორიაზე არაა ადგილი (მაგიდა, სტენდი და ა.შ.), სადაც შეიძლებოდეს საბაჟო დეკლარაციის ნორმალურად შევსება. 5) განსაკუთრებით გამაოცა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ საბაჟო შემოწმების ტერიტორიაზე თავისუფლად იყო შემოსული რამდენიმე კერძო ტაქსის მფლობელი, რომელიც დაჟინებული მომაბეზრებლობით გვთავაზობდა თავის სამსახურს. თითქოს წვრილმანებია? მაგრამ მადლს თუ ვშვრებით, მარილიც მოვაყაროთ.

ზაზა ბაჩეჩილაძე

# «ოქროს ნახევარმთვარის» ქვეყნები ნარკოტიკების გავრცელების სფეროს საქართველოში ეძებენ

საქართველოში, დაწყებული 80-იანი წლებიდან, სახეზეა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ვითარების გაუარესება. უკანასკნელ 10 წელიწადში აღძრულია 7 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, ხოლო პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობამ 8 ათასს გადააჭარბა, ამავე პერიოდში საქართველოში ნარკოტიკების შემოზიდვისთვის დაკავებულია 1200-ზე მეტი მოქალაქე, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა ჯემალ ჯანაშიამ.

დამაფიქრებელია სტატისტიკა, რომელიც ეროვნული ბიუროს შეფმა მოგვაწოდა: 1995 წელს საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში დაკავებულია 1500-ზე მეტი პირი, ხოლო აღძრულ საქმეთა რაოდენობამ 1287 შეადგინა. ამოღებულია 14 კგ ოპიუმი, 1,5 ტონა კანაფი და სხვა დიდი რაოდენობის ძლიერმოქმედი ნივთიერებები.

1996 წლის ექვს თვეში აღძრულია 523 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 125 ნარკოტიკების კონტრაბანდასა და რეალიზაციაზე, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ყოველი მესამე — მეოთხე საქმე აღძრულია ნარკოტიკების რეალიზატორთა მიმართ. ამავე პერიოდში ამოღებულია 16 კგ ოპიუმი, 305 გრ ჰეროინი, მეტადონი, კოკაინი და სხვა სახის ძლიერმოქმედ ნივთიერებათა დიდი რაოდენობა.

იმ საკითხებზე საუბრისას, რომლებიც ქვეყანაში ნარკოტიკულ სიტუაციას განაპირობებენ, ბატონმა ჯემალმა სამი ძირითადი მომენტი გამოყო:

1. ნარკოტიკების მოხმარებისა და გავრცელების ფართო მასშტაბები, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე დიდია; ოფიციალურ აღრიცხვაზე 5 ათასი ნარკოტიკების მომხმარებელია, მაგრამ ეს ციფრი სრულებით არ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რაც დღეს ქვეყანაშია. ბატონი ჯანაშიას აზრით, ძალიან მწვავე და ჩვენთვის არასახარბიელო პროგნოზია ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელებისა, რომლის ერთ-ერთ მიზეზად ნარკოლოგიური მკურნალობის ქსელის სრული მოშლა მიაჩნია.

2. ნარკოტიკების ტრანზიტი — ამისთვის საქართველოს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. საერთაშორისო ექსპერტები საქართველოს განიხილავენ, როგორც უახლოეს მომავალში ნარკოტიკების აზიიდან ევროპაში გადაზიდვის მთავარ სატრანზიტო ქვეყანას. ამას ემატება ის, რომ „ოქროს ნახევარმთვარის" ქვეყნებში და, კერძოდ, აზიაში დაგროვილია ნარკოტიკების იმდენი რაოდენობა, რომლის მხოლოდ 30 პროცენტი სჭირდება დღეს ევროპას. აქედან გამომდინარე, ეს ბაზარი ეძებს ნარკოტიკების გავრცელების სფეროს დსთ-ს სივრცეში და ერთ-ერთი აქედან საქართველოა, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც კავკასიის დერეფანი. ამიტომ დღეს საჭიროა, სერიოზული სპეცსამსახურების ჩამოყალიბება, რომელიც წინ აღუდგება პროგნოზირებად ვითარებასა და ტენდეციას. ასევე, მომავლის სარკინიგზო ხაზი „აზია — საქართველო — ევროპა" და ნავთობსადენ-გაზსადენი ხაზები და მის ირგვლივ შექმნილი ინფრასტრუქტურები ბევრ სიკეთესთან ერთად, ბევრ პრობლემებსაც გვიქადის.

3. მცენარეული სახის ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი — ასეთი მომენტი უკვე ისახება საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, მთიან სამეგრელოში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში. უკვე შეიძლება ითქვას, მდგომარეობა ექსტრემალურია და მომავალი ნარკომაფიის ჯიუტი დინების შესაჩერებლად დღესვეა საჭირო ოპტიმალურ ღონისძიებათა გატარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ეროვნულმა ბიურომ შეიმუშავა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, რომელიც ა/წ 1 ივლისს დაამტკიცა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ. შეიქმნა ორი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია ორი შესაბამისი მუშა ჯგუფით. მოკლე ხანში აღნიშნული ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და იმ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

მთავარ პრობლემად ბიუროს ხელმძღვანელს მიაჩნია, აგრეთვე, დღეს არსებული სამართლებრივი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. „მაშინ იქნება ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტური, როდესაც მას ექნება შესაბამისი ადეკვატური კანონები", — აცხადებს ჯემალ ჯანაშია. საქართველოს ნარკობიზნესი უკვე გაერთიანდა საერთაშორისო ნარკობიზნესთან, ხოლო მოქმედი კანონმდებლობა ჩამორჩება ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას. „ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია დროის უმცირეს მონაკვეთში მივიღოთ კანონები, რომლებიც მესამე წელია წარდგენილია პარლამენტში და დღის სინათლეს ვერ ეღირსა", — აღნიშნა ბატონმა ჯემალმა. განსაკუთრებით ოპერატიულად მისაღებია კანონი „საქართველოში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ", სადაც აუცილებლად უნდა აისახოს ისეთი მნიშვნელოვანი და მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ აღიარებული მეთოდები, როგორიცაა „საკონტროლო მიწოდება", „ოპერატიულ-საკონტროლო შესყიდვა", „კავშირის ოფიცრის ინსტიტუტი" და „კომბინაციაში ოპერატიული მუშაკის ჩანერგვა".

ბატონმა ჯემალმა ისაუბრა ასევე საქართველოში ეროვნული პროგრამის დაფინანსების გზებსა და საშუალებებზე და იქვე დაუმატა, რომ ზემოთ დასახელებულ კანონებს უნდა დაემატოს იურიდიულ-ნორმატიული აქტების სასწრაფოდ მიღება, რათა ქვეყანაში აღმოფხვრას კანონისა და ადამიანის უფლების დარღვევის შემთხვევები.

ბატონი ჯემალი კანონის გამკაცრებას და რეალიზატორთა მიმართ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის გადაზიდვის შემთხვევაში, სიკვდილით დასჯას მოითხოვს. მიაჩნია, რომ ყველა შემთხვევაში აუცილებელია არაკანონიერი გზით ნაშოვნი ფულადი სახსრების, ავტოტრანსპორტის და სხვადასხვა საშუალებების (რომლებიც ნარკობიზნესმენებმა გამოიყენეს გადასაზიდად), კონფისკაცია მოხდეს, დანაშაულის გამომვლენი სამსახურის სასარგებლოდ. აქ მან ამერიკელი კოლეგები დაიმოწმა, რომელთაც ბევრი შეცდომების შედეგად შეუმუშავებიათ ბრძოლის ეს სტრატეგია და გვირჩევენ მათი შეცდომები ჩვენც არ გავიმეოროთ.

სოსო ბარნაბიშვილი

## დავეხმაროთ ობლებს

გუშინ ჟურნალისტთა ფედერაციაში ობოლ ბავშვთა ჰუმანიტარული დახმარების ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზენტაცია შედგა. მისი პრეზიდენტის ლია პაპიაშვილის თქმით, ორგანიზაცია ყოველმხრივ მხარში ამოუდგება პატარებს: შეიქმნება სხვადასხვა წრე (ენების, ცეკვის, სახვითი ხელოვნების...), რომლებიც საშუალებას მისცემენ ობოლ ბავშვებს, უკეთ წარმოაჩინონ თავი და ხელს შეუწყობენ მათ სულიერ და კულტურულ აღზრდას.

ორგანიზაციას რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართულ ბანკში საკუთარი ანგარიში აქვს — № 380010

სოსო ბარნაბიშვილი

## ნავთობსადენს ერთად დაიცავენ

მიმდინარე წლის მაისში აზერბაიჯანმა საქართველოს ნავთობსადენის დაცვის ერთობლივი სამსახურის შექმნა შესთავაზა — განაცხადა საქართველოს პარლამენტისა და აზერბაიჯანის მილი მეჯლისის პირველ ერთობლივ სხდომაზე, პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ რეზო ადამიამ. მისი თქმით, ეს საინტერესო და აქტუალური წინადადებაა, რადგან ნავთობსადენი სტრატეგიული დანიშნულების მაგისტრალია და მის დასაცავად ერთობლივი ქმედებაა საჭირო.

BGI

# „ჩვენი ბავშვები ნარკომანები გახდნენ, ქალები გათახსირდნენ, ასეთები არ ვიყავით აფხაზეთში"

პირველი გვერდიდან

საქმეზე რომ მიდგა, ზუგდიდის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობამ პირობა გატეხა, ზუგდიდში თავისუფლების მოედანზე მიტინგის ჩატარება აკრძალა და მიტინგის ორგანიზატორებმა ჩანაფიქრი ქაღალდის კომბინატის ტერიტორიაზე განახორციელეს. მიტინგის ჩაშლის მცდელობა ამით არ დამთავრებულა. წალენჯიხიდან წამოსული ავტობუსები გზაში დააკავეს და ზუგდიდამდე მხოლოდ ერთმა ქალბატონმა მოაღწია. იგივე ბედი ეწიათ მარტვილიდან წამოსულ ავტობუსებს, ხოლო ფოთიდან წამოსული 3 ავტობუსიდან ზუგდიდამდე ერთმა მიაღწია, ორი უკან გააბრუნეს. მხოლოდ სენაკიდან ჩამოვიდა ყველა, რადგან მათ სენაკის გამგებელი ჩამოჰყვა. ლტოლვილთა კავშირის წევრებს მოგვიანებით გაუგიათ, რომ ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციის მხრიდან ხელის შეშლა აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხდებოდა. . „ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, — თქვა ბერიამ, — ჩვენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვართ და სამშობლოში დაბრუნებისთვის ვიბრძვით. რატომ გვიშლიან ხელს? ვიცით, ვის და რატომ არ უნდა აფხაზეთში დაბრუნება, მაგრამ, ამჯერად ოფიციალურად არ ვამბობთ ამას. ინფორმაცია მაქვს, რომ უშიშროების სამინისტროში ჩვენი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებზე დოსიეს აკეთებენ და საერთოდ, არიან ძალები, რომლებსაც ჩვენი მოძრაობის დასამარება სურთ".

სხდომაზე ლტოლვილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მურიაზ ქადარიამ. ამ გამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. გამომსვლელები უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებაზე საუბრობდნენ. ბავშვებს ტანსაცმელი არა აქვთ და სკოლაში ვერ დადიან. ხალხი



პურს ვერ ყიდულობს. 114 ათას ლტოლვილს აქვს თავშესაფარი, დანარჩენი ახლობლებთანაა შეხიზნული. ფასიანმა სამედიცინო მომსახურებამ და წამლის სიძვირემ დაავადებების მომატება განაპირობეს. ბოლოს, სხდომამ ჩამოაყალიბა ხელისუფლებისადმი მოთხოვნათა სია, რომლის დაკმაყოფილება ცოტათი მაინც გააუმჯობესებს ლტოლვილთა პირობებს.

სხდომაზე განიხილეს 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს დაგეგმილ აქციათა ორგანიზების საკითხი. აქციები ჩატარდება თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, სენაკში. სხდომის წევრების გადაწყვეტილებით, ლტოლვილთა კავშირი აქტიურ მოქმედებას იწყებს და ხელისუფლებასთან ხვეწნა-მუდარას თავს ანებებს, რადგან ყელში ამოუვიდა ამდენი დაპირებები, ამდენი ლოდინი. სხდომის მონაწილეთა ნაწილმა პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, რაზეც მურმან ბერიამ უპასუხა: „პრეზიდენტთან რითაც შევსულვარ, იმით გამოვსულვარ და ამაში აზრს ვერ ვხედავ".

ლტოლვილთა კავშირის საბჭოს სხდომა ყოველი თვის ბოლო პარასკევს გაიმართება და კავშირის წევრები ჟურნალისტებს სთხოვენ დასწრებას.

ზაზა ფაჩუაშვილი

გაზეთ „კავკასიონის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
რაულ ვლადიმერის ძე სალია
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

იაპონური ფირმა DAIKIN
გთავაზობთ:
ჰაერის კონდინციონერების სისტემებს
სიცივე — სითბო

- — ფირმის კონდენციონერები მუშაობს მთელი წლის განმავლობაში;
- — ჰაერის გათბობისა და გაცივების სასურველი ტემპერატურის ავტომატური რეგულირება;
- — ჰაერის გასუფთავება მტვრისა და ნებისმიერი სუნისაგან სპეციალური ფილტრების საშუალებით;
- — ღამის მუშაობის რეჟიმი, სასურველია თქვენი ძილისა და ჯანმრთელობისთვის;
- — სისტემის მართვა ხდება დისტანციური პულტის საშუალებით;
- — ეს სისტემა გამოიყენება როგორც ცალკეული სათავსოების, ასევე — შენობების, ბანკების, ბარ-რესტორნების და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების ჰაერის კონდიცირებისთვის;
- — ფირმა DAIKIN-ის კონდენციონერები პრესტიჟული და საიმედო სისტემებია. ისინი შექმნიან თქვენთვის სასურველ მიკროკლიმატს.

ოფიციალური დილერი „საქმშენორგმექტექსი".
ტელ: 29-20-20, ტელ/ფაქსი 94-09-60
ჭავჭავაძის 17 ა

# მხოლოდ ფაქტები

## «რუსთავი-2»-ის გარშემო სკანდალი გრძელდება

პირველი გვერდიდან

ამავე დროს, როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, თავდებად დაუდგა „რუსთავი-2"-ს, რომ ეს უკანასკნელი კრიზაში არ ჩაუდგებოდა რუსთავის გუბერნატორს. ვენ „გამა+"-ს (საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო, რომელსაც ეკუთვნის „რუსთავი-2") მხარი დავუჭირეთ მორალური პოზიციის გამო, ორემ იურიდიულად. მეორე მხარე მართალი „იყო", — თქვა მან.

როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, ამავე პერიოდში მიდიოდა მოლაპარაკება „რუსთავი-2"-თან ერთად ახალი ერთობლივი ტელეკომპანიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც თბილისში მეთორმეტე მეტრულ სიხშირეზე გაიდოდა ეთერში. აღნიშნულ სიხშირეზე ლიცენზია ტელეკომპანია „თამარიონს" ეკუთვნოდა. ახალი ტელეკომპანიის რეგისტრაცია, პრესკონფერენციის მომწყობთა თქმით, ხელოვნურად გააჭიანურა მოდავე მხარემ. გასული წლის დეკემბერში კავშირგაბმულობის სამინისტროდან შეიტყვეს, რომ „თამარიონის" ლიცენზიას მალე გაუვიდოდა ვადა. მეთორმეტე მეტრული სიხშირე რომ შეენარჩუნებინათ, იგი „რუსთავი-2"-ის ბლანკზე გადააფორმეს, თუმცა, ამისთვისაც პრეზიდენტის სარეკომენდაციო წერილი გახდა საჭირო კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელზე. „იმდენად დიდი ფინანსური და პოლიტიკური შეძლების ძალები ცდილობდნენ ამ არხის ხელში ჩაგდებას, რომ პრეზიდენტის რეკომენდაციის გარეშე ვერაფერს გავხდებოდით", — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

„მას შემდეგ, რაც მეთორმეტე მეტრული სიხშირე ოფიციალურად „გამა+"-მა გაიფორმა, რუსთაველებმა უარი თქვეს პარიტეტულ საწყისებზე ტელეკომპანიის ჩამოყალიბებაზე. მათ მოითხოვეს, რომ სახელად „რუსთავი 2" დარჩენილიყო, არხის ხანაცვლოდ კი „რუსთავი-2"-ის 25 პროცენტი შემოგვთავაზეს. როცა მოლაპარაკება გაგრძელდა, რუსთაველების მხრიდან გაისმა ფრაზა — „ეს თქვენთვის საბედისწერო იქნება, ჩვენ სკანდალი გვაწყობს, ამით პოპულარობას გავიზრდითო". მე ერთადერთხელ ვიხმარე ეშმაკობა — როცა ჯარჯისგან შევიტყვე, რომ მათ „გამა+"-ის წესდებაში არ ჰქონდათ შეტანილი შესწორება, რომელიც მათ ტელემაუწყებლობის უფლებას მისცემდა, მე ამაზე აღარ გავამახვილებინე ყურადღება", — თქვა ფიქრია ჩიხრაძემ. სწორედ ეს იურიდიული მომენტი გახდა „რუსთავი-2"-ისთვის ლიცენზიის გაუქმების საფუძველი შარშანაც და წელსაც.

როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, მან დატოვა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი", რადგან პრესაში გაიჟღერა ბრალდებამ, თითქოს „რუსთავი-2"-ს შარშანაც და წელსაც „მოქალაქეთა კავშირი" ებრძოდა. „მე „მოქალაქეთა კავშირის" წევრი არასდროს ვყოფილვარ, ფრაქციიდან კი გავდივარ, რათა „მოქალაქეები" პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლო", — თქვა მან.

პრესკონფერენციაზე ერთი უხერხული მომენტიც გამოჩნდა. „გამა+"-თან მოდავე მხარემ შარშან ლობირება გაუწია პრეზიდენტთან „რუსთავი-2"-ს კანონიერების საწინააღმდეგოდ, რადგან მიიჩნია, რომ მორალურად ისინი მართლები იყვნენ. წელს, როდესაც აღმოაჩინეს, რომ „რუსთავი-2" მორალურად „ჩაიჭრა", ზუსტად იგივე მეთოდით, იგივე ლობირებით და შარშან უკანა პლანზე გადაწეული „კანონიერების" აღდგენით ამ უკანასკნელს ისევ ჩამოართვეს ეთერში გასვლის უფლება.

სოზარ სუბელიანი

კომენტარი იხილეთ მე—4 გვერდზე

### მკითხველის წერილის პასუხად

თემქის მოსახლეობა აღშფოთებულია მე-8 ქარხნის მიერ მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი უხარისხო პურის გამო. ამას გვამცნობენ რედაქციაში შემოსული წერილები. ერთ-ერთ მათგანს შევაზობთ დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე სათაურით „სიტყვა ...ველას".

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ ქარხნის დირექტორს. სოსო ...უხიანიძემ უარი განაცხადა კორესპონდენტთან შეხვედრაზე და საუბარზე.

## პრეზიდენტი შვებულებაში

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 25 ივლისს დასასვენებლად ლიკანში (ბორჯომი) გაემგზავრა.

პრეზიდენტის პრესსამსახურს არ დაუზუსტებია, თუ რამდენ ხანს გასტანს დასვენება. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ეს ედუარდ შევარდნაძის პირველი შვებულებაა.

Кавказ-Пресс

## ვარდიკო ნადიბაიძე იგორ როდიონოვს შეხვდება

25 ივლისს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე მოსკოვს გაემგზავრა. ვიზიტის მიზანია რუსეთის თავდაცვის მინისტრთან იგორ როდიონოვთან შეხვედრა, რომელზეც განიხილება აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების საკითხი და საქართველო-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები. ვარდიკო ნადიბაიძე პირველი თავდაცვის მინისტრია დსთ-ს ქვეყნებიდან, რომელიც იგორ როდიონოვს შეხვდება.

ვიზიტი 2-3 დღეს გასტანს.

იპრინდა

## გენერალ პეტრუკის პროტესტი

აფხაზურ მხარეს პროტესტი განუცხადა კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა დსთ-ის სამშვიდობო ძალების მთავარსარდლის მოადგილემ გენერალმა პეტრუკმა. იგი გამოითქვა იმის გამო, რომ ამ დღეებში ენგურპესთან არსებული აფხაზური მხარის საკონტროლო პუნქტიდან ცეცხლი გაუხსნეს დსთ-ს სამშვიდობო ძალების საგუშაგოს.

გენერალმა პეტრუკმა გააფრთხილა აფხაზური მხარე, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში მათ მიმართ სამშვიდობო ძალები უმკაცრეს ზომებს მიიღებენ.

იბერია

პროტესტო აქცია

### თემურ ჯანელიძე:

## «ამ სასამართლოზე ასამართლებენ ზვიად გამსახურდიას»



ხუთშაბათს, მერაბ კოხტავას ეზოში პროტესტო აქცია დაიწყო. მისი ორგანიზატორია საქართველოს ჰელსინკის კავშირი, რომელმაც მანამდე პრესკონფერენცია ჩაატარა. ჟურნალისტების წინაშე ჰელსინკის კავშირის წევრები წარსდგნენ. მათ შორის — თემურ ჯანელიძე, რომელმაც 1976 წელს გამსახურდიასა და კოსტავასთან ერთად ჰელსინკის კავშირი დააარსა. თავდაპირველად მან განცხადება წაიკითხა, სადაც ნათქვამია, რომ ქვეყანას წართმეული აქვს დამოუკიდებლობა, დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისი ისტორიული ტერიტორიები — შიდა ქართლი და აფხაზეთი გაყიდულია, 300 ათასზე მეტი ლტოლვილია. ქვეყანაში გაბატონებულია პოლიციური რეჟიმი, ციხეებში გამოკეტულია ასეულობით პოლიტპატიმარი, ხინდისის პატიმარი და სამხედრო ... რეპრესიები გრძელდება და მოისაზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებს. საქართველოს მოსახლეობა მიყვანილია სიღატაკის ზღვრამდე. მიმდინარეობს ქვეყნის სასიცოცხლო რესურსების, მიწის, უძრავი ქონებისა და დოვლათის შეგნებული გასხვისება-გაყიდვა და სხვ.

აქციის ორგანიზატორები ყველაფერში რუსეთსა და შევარდნაძეს ადანაშაულებენ. ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარის ავთანდილ დავითაიას განცხადებით, შევარდნაძე, არძინბა და ელცინი ერთი და იგივე სახეა.

პრესკონფერენცია ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურისა და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესსაც შეეხო. თემურ ჯანელიძე: „ამ სასამართლოზე ასამართლებენ ზვიად გამსახურდიას, დამოუკიდებელ საქართველოს და ყველა იმ ხალხს, ვინც ამას მხარს უჭერს".

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ნუგზარ მოლოდინაშვილი 15 დღეა შიმშილობს და ციხის საავადმყოფოში იმყოფება. მას ელემენტარული მოთხოვნები აქვს — სურს ჟურნალისტებთან შეხვედრა, განსაკუთრებით ქართველებთან, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ობიექტურობის გარანტია.

აქციის მონაწილეებს მერაბ კოსტავას ეზოში შიმშილობის დაწყება სურდათ, მაგრამ მოლოდინაშვილმა ეს მათ ხისტიკად აუკრძალა, ამიტომ ორგანიზატორებმა მჯდომარე აქცია დაიწყეს, რომელიც პერმანენტულად გაგრძელდება.

### ჩემი აზრით



მაია ტორაძე

## «ჭამა-სმა დიდად შესარგი»(?!)

**რომელიც, შესაძლოა, ქართველი თუ უცხოელი ფალსიფიკატორების მეცადინეობით, „შესარგი" სულაც აღარ აღმოჩნდეს.**

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ქართველებს ყოველთვის გვეამაყებოდა ჩვენი სამზარეულოც და ღვინოც.

უცხოელი თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსული არ იყო, რომ ჩვენებურ ცვრიან მწვადზე და პირდაპირ ქვევრიდან ამოღებულ ღვინოზე ვეპატიჟებოდით — გასინჯეთ, ნახეთ, რა ბიჭები ვართო.

უკანასკნელ ხანს, ქართველი ვაიბიზნესმენების მიზეზით, ვეღარც ღვინით და ვეღარც ჩვენი სამზარეულოთი მოგვაქვს თავი, რადგან სასმელების უმეტესობა ფალსიფიცირებულია, საჭმელები კი — ტექნოლოგიური ნორმების დარღვევით მზადდება.

ქვეყანაში, ჯერჯერობით, უყურადღებოდაა მიტოვებული იმ ტექნოლოგიური ნორმების დაცვის საკითხი, რომლითაც უნდა დამზადდეს საკვები და სასმელი პროდუქცია.

ჩემი აზრით, იმდენად კანონების გამკაცრება არაა აუცილებელი, რამდენადაც მაკონტროლებელი ორგანიზაციების შემცირება და მათი ფუნქციების დაკონკრეტება. ალბათ, უნდა დაიხვეწოს მუშაობის ფირმები და მეთოდები იმ ორგანოებისა, რომელთა კომპეტენციაშიც შედა ბაზრის დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციისაგან.

**მაინც ვის უნდა ვენდოთ?**

პირველ რიგში იმ საწარმოებს, რომელთაც გამართული ტექნოლოგიური ხაზი და მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

**როგორ მივხვდეთ, რომელია ასეთი საწარმო?**

ეს უკვე იმდენად ძნელია, თვითონ პროფესიონალებიც შეიძლება დაიბნენ.

**ამიტომ.**

მასიური ხასიათი უნდა მიეცეს ანტირეკლამას საინფორმაციო საშუალებებში, რომლის შემდეგაც ფალსიფიკატორს არ მიეცემა შანსი მომხმარებლის მოტყუებისა და აღმოჩნდება გაკოტრების საშიშროების წინაშე.

ჩვენ კი, ჩემო მკითხველებო, ისღა დაგვრჩენია —

1. არ ვიყიდოთ საკვები და სასმელი ბაზრობებზე. ვენდოთ მხოლოდ დიდ გასტრონომებსა და სუპერმარკეტებს;

მაგრამ, რადგან, არც მე და არც თქვენ, სუპერკეტებში სიარულის საშუალება ჯერჯერობით არა გვაქვს, უპრიანია, სწორედ იქ მოწესრიგდეს ვაჭრობის ფორმები, სადაც მიგვესვლება — ე. ი. ბაზრებში. შესაბამისმა ორგანოებმა სწორედ ბაზრობებზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოება უნდა დაიცვან, რომ მომხმარებელს აიცილონ მოტყუებისა და მოწამვლის საშიშროება.

რამდენი ხანი დასჭირდება ამ საკითხის მოგვარებას, არავინ იცის, ფაქტი ერთია — ამაზე საშური საქმე დღეს არაა, რადგან თავაშვებული ბაზრები ხვალ უზარმაზარი კატასტროფის წინაშე დაგვაყენებს. გამორიცხული არ არის, რომ ეპიდემიის მსხვერპლიც გავხდეთ, თუ არ გვეცოდინება, ვინ წამლავს ხალხს, ვინ იყენებს ბოროტად თავისუფალი ვაჭრობის უფლებას.

2. მოვითხოვოთ გამყიდველისგან პროდუქციის ტექნოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობის სერტიფიკატი.

მართალია, დღეს ყველა გამყიდველი ბუზღუნებს — სერტიფიკატების ნებისმიერი მყიდველისთვის წარდგენის დრო სადა მაქვსო, მაგრამ, იცოდეთ — კანონით, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", უფლება გაქვთ, მოითხოვოთ ყველა დამცავი დოკუმენტი, რომლითაც დაზღვეულნი იქნებით მოტყუებისგან.

3. კარგად შევამოწმოთ შეფუთული პროდუქციის შენახვის ვადა, პირობები და მხოლოდ ამის შემდეგ შევიძინოთ იგი.

იმედია, ჩვენი ყურადღებიანობით „შეშფოთებული" ბიზნესმენი, მოსალოდნელი მოგების დაკარგვის შიშით, შეეცდება ტექნოლოგიური ნორმების სრულად დაცვას, რომ მისი პროდუქცია ჩაწოლის საშიშროების წინაშე არ დადგეს.

საკმარისი, ალბათ, მარტო ამგვარი ქმედებაც არ არის, მაგრამ ჩვენ ამით დავიწყოთ. დროდადრო, უკვე კონკრეტულად, მოგაწოდებთ ინფორმაციებს — რომელი პროდუქტია სანდო, რომ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს შინ სუფთა პროდუქტი მიართვათ.

იმ უწყებებს, რომელთაც ამ საკითხის მოგვარება ევალებათ, ყველაფრიდან ჩანს, რომ სულაც არ ადარდებთ ეს პრობლემა, ის კი არა, სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ შექმნილი განუკითხაობა აწყობთ კიდეც, რადგან „ტკბილი შემოსავლის წყარო" აქვთ ნაშოვნი, რაც საშუალებას აძლევთ ჩვენთვის „კარდახშულ" სუპერმარკეტებში შეიძინონ თავისთვის პროდუქტი. მხოლოდ მათ იმედად თუ ვიქნებით, ჩვენ თვითონვე არ ვიბრძოლეთ საკუთარი ინტერესების დასაცავად, უცებ შეიძლება გაღმა...მარიღზე გასულები აღმოვჩნდეთ, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდ ხარჯს მოითხოვს.



# სიტყვა-ყველას

კომუნისტებმა სარწმუნოებას და ეკლესიას დააშორეს ერი, რაც ჩემი აზრით, ხელს უწყობს მისიონერებს საქმიანობაში. მათი დემაგოგიის შედეგად მრავალი აღმოჩნდება დილემის წინაშე და მათი სარწმუნოების აღმსარებელი ხდება, ამას ისიც ერთვის, რომ მისიონერებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კარგად შემუშავებული სპეციფიკა აქვთ. ისინი, ჩემი აზრით, გეგმაზომიერად თავიანთი იდეების საქადაგებლად არჩევენ იმ ადამიანებს, რომელთაც დედა, შვილი ან ოჯახის უახლოესი წევრი ჰყავთ გარდაცვლილი და მათ უქადაგებენ, რომ თქვენი ღმერთი უსამართლოა და მან უმოწყალოდ დაგსაჯათ თქვენ, ჩვენი ღმერთი კი კეთილია, იგი ცოცხალი სახით აღადგენს თქვენს მიცვალებულს. გამუდმებული ჩაყინებული „სეანსების" შემდეგ ხდება ამ ადამიანთა მათი გავლენის ქვეშ მოქცევა. ვფიქრობ, არც ის უნდა იყოს სახელმწიფოსთვის სასარგებლო, როცა მისიონერთა მოღვაწეობის შედეგად „მორწმუნე" ყოველგვარი ეროვნულის მიმართ ნიჰილისტური ხდება. გორის ციხიდან „იელოვას მოწმეები" ზეცათ გაფრენის მიზნით გადმოხტნენ და დაიღუპნენ. საზოგადოებამ ერთგვარად სასაცილოდაც გაიხადა მათი ტრაგედია, ის პირები კი, რომლებმაც ექსტაზის ამ დონემდე მიიყვანეს ეს საცოდავები, კვლავაც განაგრძობენ თავის „ღვთიურ" მოღვაწეობას და სრულებით შესაძლებელია, ხვალ ქართველები კვლავ მიიყვანონ „გაფრენის" დონემდე. საინტერესოა, სახელმწიფომ, ეკლესიამ და საზოგადოებამ უნდა აიღოს თუ არა მორალური პასუხისმგებლობა გორის ციხიდან გადმოხტომის შედეგად დაღუპულ ადამიანებზე?

შორენა დადიანი

* * *

თბილისში ბენზინი გაძვირდა თუ არა, გაძვირდა სამარშრუტო ტაქსების ფასი. ბენზინი კი გაიაფდა, მაგრამ „მარშრუტკით" მგზავრობა მაინც 50 თეთრი ღირს. მიზეზს რომ ვეკითხები მძღოლებს, წადი და გაერთიანებაში იკითხეო — მპასუხობენ. მაინტერესებს, ვინ არეგულირებს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასებს, რა პქვია გაერთიანებას, ვინ არის მასში გაერთიანებული და ვინ ხელმძღვანელობს მას?

კიდევ ერთი საკითხი მაწუხებს და მაინტერესებს ძალიან. „მარშრუტკებით" მგზავრობა არცთუ უსაფრთხო გახდა. მძღოლები არ იცავენ უსაფრთხოების წესებს. სანამ მანქანაში ფეხის დასადგმელი ადგილი რჩება, ტენიან და ტენიან შიგნით მგზავრებს და ხალხი სკამზე კი არა, ერთმანეთს აზის თავზე. ვინ უნდა მიხედოს ამ საკითხს?

თამარ შამუგია

* * *

თითქმის ყოველდღე მიხდება მეტროთი მგზავრობა. არც ერთ სადგურში არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორიც „ვარკეთილში". ამოსასვლელსა და კიბეებზე გაჩაღებულია ვაჭრობა, რაც მგზავრთა გადაადგილებას უშლის ხელს. უმჯობესი იქნება, გამოინახოს სხვა ადგილი ამ „მინი ბაზრობისთვის".

ლალი კაკაურიძე

* * *

კაცს პრობლემებს რა დაულევს?! ზამთარი ხომ გაუსაძლისი გახდა ჩვენთვის, უშუქობა, უგაზობა, სიცივე, გაყინული ბინები, ჩაბნელებული ქუჩები; დაუსრულებლად, სულმოუთქმელად ველოდებით გაზაფხულს, ზაფხულს და თურმე წამების ფორმა ზაფხულობითაც მიგნებულია. ცნობილი ფაქტია, „საბურთალოზე წყალი არ არის". ერანაირ გრაფიკში ვერ ვთავსდებით, ოცდაოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ორი საათის განმავლობაში გვაძლევენ წყალს, საკითხავია, რატომ გვაწამებენ ამდენს, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

იოსებიძის ქუჩის მცხოვრებლები

* * *

მსოფლიოში, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ქალაქი, როგორიც თბილისია. ალბათ, ვერსად შეხვდებით იმდენ გაუბედურებულ, დაბეჩავებულ, შეურაცხყოფილ ადამიანს, როგორც ჩვენს ქალაქში. ამდენი მათხოვარი არავის ახსოვს. ნუთუ არ შეიძლება, გამოინახოს რაღაც საშუალება, რომ ამდენი ქედმოდრეკილი, თავმოყვარეობაშელახული დედა-შვილი, მოხუცი ქალი თუ კაცი სამათხოვროდ არ გამოვრეკოთ ქუჩებში? ნუთუ არ არსებობს საშუალება, რომ მეტი ყურადღება დავუთმოთ მარტოხელა, უსახსროდ დარჩენილ მოხუცებს, მიტოვებულ, ღვთისანაბარად, ღია ცის ქვეშ დარჩენილ მოზარდებს?!

ანი ჩხეიძე

* * *

დღეს ქალაქში უამრავი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, მაგრამ ამ სიამოვნებას ერთი პრობლემა ახლავს თან: მგზავრობის ღირებულება სულ უფრო მეტად იზრდება და იზრდება... მძღოლები ამ ფაქტს ბენზინზე ფასის მომატებას აბრალებენ, მაგრამ ეს ორი მოვლენა ყოველთვის ურთიერთპარალელურად არ ვითარდება. ბენზინის გაძვირებასთან ერთად მგზავრობის ღირებულებაც იზრდება, მაგრამ ხშირად ბენზინის ფასი კლებულობს, სამარშრუტო ტაქსებით სარგებლობა კი კვლავ ძვირი რჩება! შეიძლება ყველა არა, მაგრამ ბევრი უკმაყოფილოა ამ მოვლენით. ხალხი კითხულობს: ვინ მიხედავს ამ პრობლემას? მოგვარდება კი ოდესმე იგი?

არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, თითქოს ტელევიზიით გამოუცხადებიათ: თუ მძღოლი მგზავრობის საფასურად 30 თეთრზე მეტს მოგთხოვთ, არ გადაუხადოთ და მერიაში მოდით საჩივლელადო!

იმედია, ეს ხალხმა მოიგონა გასამხნევებლად, თორემ როგორი წარმოსადგენია, საქმეზე მიმავალმა ადამიანმა, მძღოლს მშვიდობით თუ დაალწია თავი, მერე მერიაში საჩივლელად ირბინოს?!

შეწუხებული ხალხი ფიქრობს, ჩვენი საშველი არ იქნებაო და ერთმანეთს ამხნევებს, ფეხით სიარული სასარგებლოაო; თუმცა, საზიანო არც სამარშრუტო ტაქსით მგზავრობაა, მით უმეტეს, ზაფხულის პაპანაქებაში.

ელენე ჩინჩალაძე

## პოზიცია

# ღუზაჩაშვებული დემოკრატია



საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მიმდინარეობს რამდენიმე გახმაურებული სასამართლო პროცესი. თვით განსასჯელთა ბრალეულობის ხარისხის გარჩევაში ჩვენ ვერ ჩავერევით, ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ მიმდინარე პროცესების ფორმა და ხასიათი აშკარად შორს არის სასურველისგან. ხშირად თავს იჩენს მოვლენებისადმი ძველებური, კომუნისტური პერიოდისთვის დამახასიათებელი მიდგომა, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში დემოკრატიული, ცივილიზებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

იგრძნობა, რომ მოსამართლე და პროკურორი შეთანხმებულად მოქმედებენ, ერთ მხარეს წარმოადგენენ, ადვოკატების სიტყვას კი ფასი არ ადევს. მათი საქმიანობის შინაარსი, ძალიან წააგავს ცნობილ ანდაზას — „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის". არადა სამართალწარმოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი განსასჯელის რეალური დაცვის უზრუნველყოფაა. მოსამართლეს არ შეეფერება და პროცესსაც სერიოზულ ჩრდილს აყენებს, როცა იგი საკუთარ ემოციებს ამჟღავნებს და ტენდენციურია. ცივილიზებულ ქვეყნებში თუ მოსამართლე, თუნდაც კერძო საუბარში, რაიმე ფორმით გაამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას განსასჯელის მიმართ, ეს საკმარისი საფუძველი იქნება, მისთვის აცილების მისაცემად. როცა აშკარად იგრძნობა, რომ მოსამართლეს განსასჯელი ეზიზღება, ასეთი სასამართლო, ბუნებრივია, პატიოსანი მოქალაქის პატივისცემას და ნდობას ვერ დაიმსახურებს.

კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოყალიბებული იყო სასამართლო პროცესის სტერეოტიპი. მოსამართლემ, პროკურორმა და ადვოკატმაც წინასწარ იცოდნენ განსასჯელი რა სასჯელს მიიღებდა. გამოძიების დამთავრება, ფაქტობრივად, განაჩენის გამოტანას ნიშნავდა, ამიტომ სასამართლო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პროკურორი შიშის ზარს სცემდა ყველას, ადვოკატი კატის წინააღმდეგ მებრძოლ თაგვს ჰგავდა, მოწმეები იმას ლაპარაკობდნენ, რაც „საჭირო" იყო, ჟურნალისტები განაჩენის გამოტანამდე ათასხირებდნენ ბრალდებულს და საზოგადოებას წინასწარვე არწმუნებდნენ მის დამნაშავეობაში. ყველაფერი საათივით იყო აწყობილი და არც არავინ ზარალდებოდა, განსასჯელის და... სამართლიანობის(!) გარდა. საბჭოთა კავშირის პირობებს სასამართლოს ამგვარი სტილი სწორედაც რომ შეეფერებოდა, მაგრამ დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლოს იგივე მეთოდით წარმართვა სამართლებრივი და ზნეობრივი ნონსენსია.

საელჩოების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად ესწრებიან სასამართლო პროცესებს და ყალიბდება აზრი, რომ საქართველოში ირღვევა ადამიანის უფლებები, რის გაბათილებაც ძალიან ძნელია ლიტონი განცხადებებით — ადამიანები საკუთარ თვალებს და ყურებს უფრო უჯერებენ.

მაგრამ ერთია რას იფიქრებენ უცხოეთში ჩვენზე, მეორე და მთავარია ის, რომ ჩვენი სასამართლო აშკარად ჩამორჩება თანამედროვეობის მოთხოვნებს და ის ინსტიტუტი, რომელიც დემოკრატიის ბურჯი უნდა იყოს ქვეყანაში, დემოკრატიისკენ მიმავალი ქვეყნის ჩაშვებულ ღუზად გვევლინება.

როცა განსასჯელთა საწინააღმდეგო ჩვენებებს მოსამართლე გაბადრული ისმენს, ხოლო მათი სასარგებლო ჩვენებების მოსმენისას განრისხებას ვერ მალავს, ეს, ბუნებრივია იწვევს საზოგადოების თანაგრძნობას განსასჯელის მიმართ და ამიტომ ხდება, რომ ხშირად ყველაზე საშიში დამნაშავეც კი სასამართლოდან შეიძლება დასჯილი, მაგრამ მორალურად გამარჯვებული, გმირის და წამებულის შარავანდედით მოსილი გამოდის.

ცალკეული მოსამართლეები ხშირად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადანაშაულებენ საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტირებაში, თუმცა, პრესა არაფერ შუაშია, არაჯანსაღი ატმოსფეროს, სწორედ პროცესის წარმმართველის არაპროფესიონალიზმი ან არაკეთილსინდისიერება უწყობს ხელს.

სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ ზოგჯერ ცალკეული მოსამართლე ისე კარგავს ზომიერების გრძნობას, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში თვითონ აღმოჩნდებოდა საბრალდებო სკამზე.

საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების დონის ერთ-ერთი უპირველესი მაჩვენებელი სწორედ სასამართლოა, და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა, ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებზე გადასვლა წყლის ნაყვა რომ არ დარჩეს, კატეგორიულად აუცილებელია სასამართლო რეფორმის გატარება, ჭეშმარიტი რეფორმისა, რათა საზოგადოებისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი დემოკრატიის სულისკვეთებით განიმსჭვალოს.

სხვაგვარად არაფერი გამოვა

# ქოთნის ყურად ქცეული კანონი

ბოლო წლის განმავლობაში „რუსთავი 2"-ის ირგვლივ ორჯერ ატეხილმა ხმაურმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველოში კანონი ხშირად სათამაშოს წარმოადგენს. კავშირგაბმულობის სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროს მითითების საფუძველზე ჯერ კიდევ შარშან გადაწყვიტა, რომ „რუსთავი 2" უკანონოდ მაუწყებლობდა და გაუუქმა ლიცენზია, შემდეგ „ზემოდან" წამოსული დირექტივის საფუძველზე დაადგინეს, რომ მას ჰქონდა ეთერში გასვლის უფლება, წელს კი ისევ „აღადგინეს" კანონიერება და „რუსთავი 2"-ს კვლავ ძველი ბრალდებით ჩამოართვეს მაუწყებლობის უფლება.

ამგვარი საქციელი საქართველოში ფართოდ გავრცელებული კანონის ფეხქვეშ გათელვისა და მოსახლეობის ინტერესების აბუჩად აგდების კლასიკური ნიმუშია. თუ „რუსთავი 2"-ს არ ჰქონდა მაუწყებლობის უფლება და ამდენი ხნის განმავლობაში უკანონოდ გადიოდა ეთერში, ეს არა მხოლოდ კანონის დარღვევაა, არამედ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დივერსიადაც შეიძლება მოინათლოს. ისინი კი, ვინც თავის დროზე ორჯერ გასცა ნებართვა,არა მხოლოდ თანამდებობებიდან უნდა გათავისუფლდნენ, არამედ კანონის დარღვევისთვის მკაცრადაც უნდა მოეთხოვოთ პასუხი. ხოლო, თუ „რუსთავი 2"-ს უკანონოდ ჩამოართვეს ლიცენზია, ჩამომრთმევნი არა მხოლოდ კანონს არღვევენ, არამედ სიტყვის თავისუფლების საყოველთაო უფლებასაც, რაც საქართველოს კონსტიტუციითაც არის განმტკიცებული.

აღმაშფოთებელია, რომ ამა თუ იმ მაუწყებლობის (იდეაში, ინფორმაციის ყველა სხვა საშუალებისა თუ ნებისმიერი ორგანიზაციის) ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტს არა კანონი, არამედ თანამდებობის პირთა გუნება-განწყობილების ცვალებადობა. ამის შედეგად კი არა მხოლოდ, საზოგადოდ, კანონიერება, არამედ მრავალი ადამიანის კონკრეტული უფლებაც ილახება. ჯერ ერთი, გაბითურებული დარჩა საზოგადოება, რომელიც ახალი არხის ფუნქციონირებას შეეჩვია. მეორეც, უმუშევარი აღმოჩნდა „რუსთავი 2"-ის კოლექტივი, რომელმაც თავის მომავალი ამ არხზე მუშაობას დაუკავშირა, მოულოდნელად კი აღმოაჩინა, რომ, თურმე, უკანონოდ ფუნქციონირებენ და უნდა დაიხურონ.

იმედია, სასამართლო გაარჩევს მტყუანსა და მართალს და, შესაბამისად, „რუსთავი 2"-საც ან აღუდგენს მაუწყებლობის უფლებას, ან საბოლოოდ გაუუქმებს. მოდავე მხარეებიც მეგობრები არიან და თავიანთი ურთიერთობების მოგვარებას თვითონ შეძლებენ — ან რამე კომპრომისს მონახავენ და შერიგდებიან, ან ვერ შერიგდებიან —ეს მათი პირადი საქმეა. ოღონდ, საკითხი ამით არ ამოიწურება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადო ჭირმაც იჩინა თავი.

ერთხელ და სამუდამოდ ყველა უნდა მ ეჩვიოს, რომ უზენაეს განმკარგულებელი არის კანონი. ორი ს მინისტროს მიერ კან ნითა და ძალაუფლებ მანიპულირება და უ თირეთგამომრიცხა გადაწყვეტილებების ლება ან ამ გადაწყ ტილების ... არაკომპეტენტურობ და არაპროფესიონალ ზმზე მეტყველებს, ან არაკეთილსინდისიერ აზე. როგორც არ უ იყოს, კანონით ამგვა მანიპულირება დაუს ლი არ უნდა დარჩ იურიდიულადაც გამ თლებულია და საზოგ დოების ინტერესებ მოითხოვს, ამ ინციდ ტის შექმნისთვის ერ ორი თანამდებობის რი დაისაჯოს დოქ პიობისა თუ შეგნებუ დანაშაულის გამო, თა ჩინოვნიკებმა მ ლითის ძალით და ხონ — რბილ სავ ლებში იმიტომ სხვ რათა კანონს შეუ მონ საკუთარი გად ვეტილებები და იმიტომ, რომ კონ მებივით მოირგონ ნონები ვილაცის ლის საამებლად.

„კავკასიონის“ ლიტერატურული გაზეთი

# არილი

27 ივლისი, 1996 წ.

კითხვები ? ? ? პასუხები

დიალოგი მწერალთან



## ემზარ კვიტაიშვილი

1. როგორ წარმოგიდგებათ მწერლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მწერლობას აკისრია ერის წინამძღოლის ფუნქცია
2. თქვენი აზრით, აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება. თუ ფიქრობთ, რომ აქვს, კონკრეტულად როგორ ვლინდება იგი
3. რამდენად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ იმ რთული და დრამატული პროცესების ასახვა, რომლებიც ჩვენში ნარიმართა
4. რა მიგაჩნიათ ამ პროცესების გამომწვევ მიზეზად, რა არის, თქვენი შეხედულებით, იმის საზრისი, რაც საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა
5. როგორ გგონიათ, შეგცვალათ თუ არა თქვენ, როგორც შემოქმედი და პიროვნება, ამ წლებმა
6. როგორ აფასებთ დღეს საკუთარ შემოქმედებას, რას მიიჩნევდით მასში მეტად ან ნაკლებად სიცოცხლისუნარიანად
7. რა ხარვეზებს ამჩნევთ ქართულ კულტურაში, კერძოდ, ლიტერატურაში; რისი შეძენა სჭირდება მას (და, პირიქით, რა არის მასში „ზედმეტი“)
8. თვლით თუ არა, რომ საჭიროა კლასიკური ლიტერატურის ხელახალი შეფასება; რა არის თქვენთვის უფრო ძვირფასი და რა-ნაკლებად ღირებული, ნაკლებად მისაღები
9. როგორ გესახებათ ქართული ლიტერატურის პერსპექტივა, როგორი შეიძლება იყოს მისი მომავალი

VI VII

## ტაგუ მეზურიშვილი

ლექსები



### დედა, უ!!!

ამ ათი თორმეტი წლის წინ
დამესიზმრა ზედიზედ
დედა ორჯერ, რომელიღაც
სოფლის გზაჯვარედინზე.

პირველ სიზმარს ვხსნიდი, როგორც
კარგის მომასწავებელს,
მეორე კი, ჩემი ჭკუით,
მიქადიდა მწარე ბედს.

მე, როგორც კი დავიჯერე
სიზმრის სიუკეთურე,
ბრიყვმა ჯადესში მყოფ დედას
უმალ ვუსაყვედურე:

მუდარაც კი გავურიე
ხმაში: კარგად გახსოვდეს —
ცუდად აღარ დამესიზმრო
აწი აღარასოდეს!

ეს იყო და იმ ავბედით
დღიდან არ მომილანდავს
დედისათვის თვალი სიზმრად,
გაქრა, გაუჩინარდა.

ბევრჯერ ვთხოვე პატიება,
მაგრამ ვერ შევირიგე...
აღარ მოჰყავს იგი ჩემთან
სიზმარეთის ბილიკებს.



დედა აღარ მესიზმრება
— დედა,
— დედა,
— დედა უ!
მენატრება, მოვახტები
ზღაპრულ თეთრონ ბედაურს,

უნდა ზეცად ავიჭრე და
ლაჟვარდებში ვიხილო.
სიხარულით ავუცრემლო
თვალნი, ფერად ღიღილო.

III

ახალი თარგმანები

## გოტფრიდ ბენი
1886-1958
### ლექსები

III

ესეისტიკა

## ვირჯინია ვულფი
1882-1941
### ლუის კეროლი

V

## ზურაბ ლავრელაშვილი

ნოველა



### ასპაზია

IV V

საკვირაო საკითხავი

## რიჩარდ ჰ. ჰარდუიკი



### შემცვლელი

[illegible] დეტექტივი

ჯონ ფლიზონი კორას უშველებელი სახლის ვერანდაზე სავარძელში იჯდა და, ჩვეულებრივად, ვისკით ითბობდა შიგანს.

ფლიზონს არასოდეს ჰქონია იმედი, ცხოვრებაში ყველაფერი თავსაყრელად ჰქონოდა და მით უფრო დიდი კმაყოფილებით ფიქრობდა იმ სიმდიდრეზე, რომელსაც კორას წყალობით ეზიარა. ეს იყო მუხებსა და პალმებში ჩადგმული მდიდრულად ნაგები სახლი, სანაპირო არხთან მიბმული თეთრი იახტა, რამდენიმე მანქანა და გარაჟი, მსახურთა მთელი რაზმი, შინ და გარეთ რომ ჩირთიფირთობდნენ და ბოლოს, საუცხოო ბაღი, მებაღეები ჩვილივით თავს რომ დასტრიალებდნენ.

ფლიზონმა ოდნავ მოჭუტა თვალი და კორას გადახედა. ქალი ხის ძირას, მოლბერტთან იჯდა, რაღაც უცნაურ სიმღერას მღეროდა და ხელის მსუბუქი მოძრაობით საღებავები სურათზე გადაჰქონდა.

— ჯონ, ჯო-ონ! — წაიწიკვინა უცებ კორამ, ჯონი შეკრთა.

ამ ხმის გაგონებაზე მას ყოველთვის ტანში სცრიდა.

— ჰო, კორა, აქა ვარ, ძვირფასო, რა გინდა?

— ჯონ, ეგება ერთი ჭიქა ჩაი მოგეტანა ჩემთვის?

— კორა, ჩვენ აქ ზუსტად თერთმეტი მოახლე გვყავს, მე მგონია, შეგვიძლია, ეს საქმე ერთ-ერთ მათგანს მივანდოთ.

— რა საჭიროა ასეთი კილო, ჯონ? ვფიქრობ, შენთვისაც სასიამოვნო იქნებოდა, ეს სურვილი ამისრულო, — თქვა კორამ და გაიღიმა. მას ვეებერთელა უბები ჰქონდა და თუმცა ორმოც წელს ჯერ ოდნავ იყო გადაცილებული, გაცილებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.

— ჯონ, მომიტან თუ არა ჩაის? — გამეორა კორამ და ისევ ხატვას შეუდგა. დარწმუნებული იყო, ჯონი ჩაის მოუტანდა და კამათის გაგრძელება უაზრობად მიიჩნია.

ჯონი წამოდგა. მას კარგად ახსოვდა, როგორ გაუყიდა კორამ იახტა. ახალი ფერარი კი შოფერს აჩუქა. გაცილებით უფრო ნაკლები დანაშაულისთვის. რა დაუშლიდა, ხელაწლა დაესაჯა ქმარი, სულით ხორცამდე მისი საკუთრება რომ იყო? კორა მას კვირაში ას დოლარს აძლევდა და დროდადრო ვალებსაც უხდიდა, მაგრამ ჯონი იძულებული იყო, მიემართა კორასთვის, როცა ფეხსაცმელი ან სხვა რაიმე ნივთი დასჭირდებოდა, და ეს მაშინ, როცა ქალი ოთხი მილიონის პატრონი იყო.




ჯონ ფლიზონმა იცოდა, რომ არსებობდა კორას ხელით დაწერილი ანდერძი, რომლის მიხედვითაც იგი კორას მემკვიდრედ ითვლებოდა. ფლიზონი კორაზე ათი წლით უმცროსი იყო და ჯანმრთელობაც შესანიშნავი ჰქონდა...

VIII

# გოტფრიდ ბენი

XX საუკუნის დიდი დასავლეთგერმანელი პოეტი გოტფრიდ ბენი დაიბადა 1886 წელს ჰამბურგსა და ბერლინს შორის მდებარე სოფელ მანსფელდში დაამთავრა გიმნაზია. ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიას და თეოლოგიას, შემდეგ — მედიცინას კაიზერვილჰელმის აკადემიაში. მუშაობდა სამხედრო ექიმად, აქვს გამოკვლევები მედიცინაში.

გოტფრიდ ბენის პირველი პატარა წიგნი „მორგი“ 1912 წელს გამოვიდა. ლექსების უმრავლესობა სამედიცინო თემატიკის იყო. აქ გამომწვევად შიშვლდებოდა ავადმყოფობის, სიკვდილის დაუნდობელი სიმახინჯე და მკითხველს შოკში აგდებდა. გოტფრიდ ბენი სიცოცხლეშივე თარგმნეს საფრანგეთში, იტალიაში, დანიაში, მოგვიანებით — ამერიკაში, ესპანეთში, იაპონიაში. გ. ბენის პოეზიაში ძლიერადაა შერწყმული ტრადიციული და ნოვატორული სულისკვეთება. გერმანული კლასიკური პოეზიის ლირიზმი შერწყმულია დამთრგუნველ სკეპსისთან და ზოგჯერ ადამიანის გამანადგურებელ პოეტურ ტირადებთან.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ რუსეთში გამოიცა დასავლეთგერმანელი პოეტების კრებული, სადაც გ. ბენის ლექსებიც შევიდა. გერმანული პოეზიის უკანასკნელი დიდი პოეტი, როგორც მას ხშირად უწოდებენ, გარდაიცვალა 1956 წლის 7 ივლისს.

მკითხველს ვთავაზობთ გოტფრიდ ბენის ქართულ თარგმანებს.



## სიყვარული

შხუიან ზღვები გაუთავებლად... —
ეროსმა უწყის, ვინ ვის აკოცებს.
სიყვარულია, ვარსკვლავები რომ
დგანან ამბორთა საგუშაგოზე...
ვიდრე ვნებები სიტყვებს აღრევდნენ,
ვიდრე დრო გრძნობის მოკვლას შეძლებდა,
მანამ ჩნდებოდა მისი ქალღმერთი
იმ სავარძლებთან და სარეცლებთან...

სიყვარულია მხარე ეული
და მარადიულ ლტოლვის საკვნე,
სადაც სრულიად უმტკივნეულოდ
დროის ურიცხვი მთვარე ჩააქრეს.
სიყვარულია ნაპირი მარად
და ფრთებშესხმული რწმენის ქვეყანა.
წყლის ნადავლია თვით არარატი —
უსასრულო და უკიდეგანო.

სიყვარული ხარ! და სხვას გადასცემ
მხოლოდ და მხოლოდ შენთვის გამხელილს.
ციხე-ქალაქი ასჯერ ათასი
დანგრეულია შენი სახელით.
სიყვარული ხარ! და სულ გიცავდნენ,
შენი გულისთვის ძმასაც უგანეს...
შენ ღვთაებრივი ჟრუოლებისათვის
სდებ თავს და მერე მიგაქვს უკანვე.



## სინამდვილე

არც გვჭირდება და არც არსებობს ჭეშმარიტება,
როცა მამაკაცს გაჩენიდან ეშმა შესცინის,
როცა მამაკაცს დღეს ალლოთი და ფლეიტებით
ძალუძს მტკიცება საკუთარი ეგზისტენციის.

არ დაუხატავს არც ქალი და არც ზღვა ცისფერი,
ზღვაცა და ქალიც დაუხატავს ვისაც მრავალჯერ.
ადამიანი ტრანსებით და ჯაჭვთა სიმღერით
გასხივოსნდა და დაემონა ბედის განაჩენს.

მიყავდა ზღვაში, ფეხებშეკრულს, მძიმე გალერა, —
გემის მუცელში მოჯახირეს ზღვა არც უნახავს,
არც ვარსკვლავები, მაგრამ მაინც, ვით კავალერმა
ნახა სიზმრები, დაღლილი რომ იწვა გულაღმა...

როცა ძრწოდა და ეშინოდა — შექმნა ფეტიში.
როცა იტანჯა და ეწამა — შექმნა პიეტა.
შიმშილმა პური ახატვინა შავი ბედისთვის
და რა იცოდა, რომ ეს უფრო მოაშიებდა!

## განა უფრო მძიმეა ჯავრი

შუშის კედლებზე განა უფრო მძიმეა ჯავრი?!
არა! და მაინც ქვის კედლებზეც მძიმეა ვითომ.
განა შეიძლებ — ოთახები უმწეო მგზავრმა
საძინებლად და სავახშმოდ ზიდო?!

განა არ ელის დამთავრება ქვეყნად ყველაფერს,
როცა ჩრდილები უმძიმესი ლოდების, ქვების,
კეტავენ ჭიშკრებს და კედლებსაც გამოკეტავენ
და შენ მარადი ტუსაღი ხდები!

ხომ გახსენდება მაშინ ყველა ტანჯვა ორწილად —
ძალა მბორგავი, ყველაფრის და ყოვლის დაშლამდე —
როგორც სამოსი საზეიმო, როგორც ქორწილის
ღამე მბრწყინავი და მოკაშკაშე!

ხომ გახსენდება ყველა მწუხრი — განადგურება,
სალამოები, ანუ ბაღის კუთხეში, სკამზე —
სუნთქვაშეკრული გულისცემის ნავსადგურები,
ან წინათგრძნობა სიამით სავსე!

სალამოები — უერთგულეს მეგობარ „შენ“-გან,
სამარადისოდ განშორების, გამოთხოვების...
და ახალ ტანჯვის მომმატებელ თქეშად თუ დელგმად
ხომ გახსენდება სალამოები!

ხომ გახსენდება გასაჭირი გაუხდელ ჯავშნად,
დასამშვიდებლად როს სიტყვასაც არვინ შეგაწევს,
ხომ ფიქრობ მაშინ (აღიარე), ხომ ფიქრობ ჯავრზე,
როგორც დიდსა და მაღალ მცნებაზე!



## გისოსი

ჩარაზულია ირგვლივ გისოსი,
საშიშროება აღარსით ისმის...
შენ საკუთარი იხსენ სიცოცხლე,
მაგრამ თუ იხსენ სიცოცხლე სხვისი!

და სამი ალვა დგას საგუბართან,
თოლიას ზღვისკენ ეწევა ფრთები,
შენს გულს ეს ჰანგი იქ შეუყვარდა,
იქიდან მოხველ შენივე ნებით.

აქ წელიწადში ერთხელ იცვლიდი
თმა-ტყავს და ვარამს იტანდი რამდენს!
არ გაწუხებდა გრძნობა სირცხვილის,
როცა სხვის მოწვდილს ჭამდი და სვამდი.

გეყო! — ნუ იდგამ რაინდის გვირგვინს!
ახლა იწყება სიმღერა მწარე:
შენ თავს უშველე გისოსის შიგნით,
რომელსაც ადევს ბოქლომი გარეთ...

## დედა

შუბლის ჭრილობა ხარ, დედაჩემო,-
რომ არ ხორცდება, არც მტკივა მუდამ,
არც თავს არა ვგრძნობ ძალიან ცუდად,
მე ეს ჭრილობა არ მომკლავს, ვიცი,
მხოლოდ ხანდახან მაბრმავებს სისხლით,
ხანდახან პირშიც მაქვს სისხლის გემო.

## საგალობელი

I

უუძველესი წინაპრები ვიყოთ, ნეტავი —
ლორწო, რომელიც თბილ ჭაობის გულში ჩადინდა! —
და — ჩასახვა და გაჩენა და ყოფნა ნეტარი
დაიწყებოდა ჩვენი მუნჯი განახრწნადიდან.

ან წყალმცენარე ვიყოთ, ანდა — გორა ქვიშისა —
დიუნი ქარის ჩამოქნილი და იმის ქვემოთ —
ჭრიჭინობელის მძიმე თავი, შორს კი შიშისგან
კრთოდეს თოლია, ზღვის ტალღებმა რომ უნდა გვემონ!

2

შეყვარებული ყველა არის საწყალობელი,
მაგათგან ვინც კი იმედოვნებს, ისიც კი დარდობს.
ჩვენ მტკივნეული ღმერთები ვართ, გზაც კი მოგველის
ღვთიური... მაინც ვფიქრობთ ღმერთზე წყნარად და
მარტო.

მდუმარებს ყურე და სიზმრები ტყეთა — ბნელობენ,
თუმც ვარსკვლავები კვლავ ძახველის ყვავილებს ჰგვანან.
ჩიქებს მოურთავთ უხმაურო ხტუნვით ველობი.
და — ყველაფერი ზღვის ხმაა და ნაპირი მარად.

## TRISTESSE

განა ჰალას და აფოდელებს დასცქერენ მხოლოდ,
ჩვენს წინაც ხსნიან გარდასულის ლანდები ფარდას,
როდესაც ვკოცნით, ვეფერებით და გვივლის ჟრუოლა,
როდესაც ვდგავართ სიზმარ-ცხადის უცნაურ ზღვართან.

რა არი ხორცი? — ვარდებია და ეკალია!
რა არი მკერდი? — ხავერდია და ნაოჭები!

და ჩვენ ვიცვლებით, ვიფანტებით! იშლება კვალი
თმების და მხრების, ბროლოს მტვერსაც არ შემოვრჩებით.

რაა წარსული? — გახსენება ნაადრევ ტრფობის!
ხოლო ორმაგად წარსულია, არ კოცნი როცა...
სუყველაფერი დაბრუნდება — თავიდან გშობენ,
სულ ნუ მოუსმენ სიყვარულის ფიცსა და ლოცვას.

და ჰა, მოვიდა ნოემბერიც... არვინ გიკარებს,
ყავარჯენსა და საფლავს გარდა არვის ჭირდები,
ცაც არ დაგყურებს არსაიდან, მხოლოდ კიპარისს —
მწუხარების ხეს დაჰყურებენ ციდან ჩიტები...

## მარტოობისკენ გიხმობს აგვისტო

მარტოობისკენ გიხმობს აგვისტო —
დრო აუხდენელ ნატვრის ახდენის,
მაგრამ ყვითელი წითელს ჯაბნის და
მოწყენილ ბაღში ვერ გალაღდები...

ტბისა და ზეცის ლურჯი ფარჩებით
შენი სამეფო არის მდიდარი,
მაგრამ დიდების და გამარჯვების
არ ჩანს ნიშანი არავითარი...



მაინც ილხენენ დაუსრულებლად —
ოქროს ბეჭდები, ვერცხლის სურები,
ამ საგნებთან და ღვინის სურნელთან
შენ ტარტაროზებს ემსახურები.

## ცირცელი

ცირცელი — მკრთალი, ბოლომდე არშეწითლებული,
მხოლოდ იმ ფერის, სიმწიფეში როცა შედიან,
უფრო სწორად კი — ნალვერდალში, ანუ დიდებულ
შემოდგომაში, სად კვდომაა და ტრაგედია...

ცირცელი — მკრთალი, ორფერული ძველი ალმების,
მაგრამ შეკრული გვირგვინებით, მაინც გვაუწყებს,
რომ ჟამი დადგა სანატრელოდ გამოსალმების
და წასვლას ერთხელ თუ მოვესწრებით დღესასწაულზე.

ამ შემოდგომას, ამ წელიწადს, მწამდა, ვნახავდი
ისე ძალიან წითელს, როგორც სისხლით შეღებილს —
ღვთისთვის განკუთვნილს, დამწიფებულს დღეთა
ლაღადით.
შენ კი სად? როდის? სიმწიფეში როდის შეხვედი?

## ვინც მარტო არის

განმარტოებულს მუდამ ახლავს იდუმალება, —
დრო არ აწუხებს ანგელოზის შუქით შებურვილს —
მის ჩასახვევში უდევს წილი. ვისი თვალებით,
ვისი სხივებით ჩრდილიც კი დასახლებული.

ვინც მარტო არი, მწუხარეა, მაგრამ მშიანობს.
განადგურების დროსაც ცდილობს, რომ არ ღელავდეს —
ძლიერი ხვდება ყოველივე ადამიანურს,
რაც აწყვილებს და გადაარჩენს ქვეყნად ყველაფერს.

უცრემლოდ უცქერს დედამიწის ცვალებადობას,
რადგან ტკივილებს ის ყოველთვის გულში ილექავს,
როცა არ კვდები, სიკვდილს რატომ უნდა ნატრობდე,
მშვიდფორმიანი შემოგყურებს სრულყოფილება.

თარგმნა
ბათუ დანელიამ

# ტაგუ მებურიშვილი

* * *



წვიმს. წვიმებმა ჩამორეცხა
ბილისის ცა გამურული,
ნია, მაქვს გამკრთალი
თქაბუთქის გამო რული,
ელაფერი დაჭკნა, ყვავის
ოდვა სოდომ-გომორული.

## უსასოობისას

რად იყავ საწუთროო
თავბოლოო, ჭრელი, ნახი;
ყოფნა ყოფნას არ ჰგავს, მოველ
არყოფნიდან არყოფნაში.

შემარგე ტკბილი ტკბილად,
ზღვევინე ასწილ მწარედ...
სიკვდილი ნასწავლი მაქვს,
ნ სიცოცხლე შემასწავლე.

ვდალებაც ნასწავლი მაქვს,
თხარ: სისხლი სად დავღვარო
ამაოდ,
მ წაადგეს
არქმნილ საბაღნაროს.

ავალ მოძმის თავგანწირვა
ცი. (ამან გამაცოფა) —
ხზეთში ჩირის ფასიც
დაედო მამაცობას.

თომც არაფერი, მკვლელი
რევა მარაქაში...
თნაირად პატივშია
ციცა და არაკაციც.

ჩარსა და კისკასს სადაც
თნაირი აძევს ფასი,
დაც მუდამ მოდაშია
ვის მოტყუება ფარსით,
ეცალო მინდა, მაგრამ
ცრემლის და სისხლის ტბორებს,
ს გულიც რომ მედოს მკერდში,
ა და ვერ მივატოვებ.



დის ნავი. იალქანი
რმულ ქარით განაბერი
ს სიცოცხლე?!
ს სიკვდილი?!
ს და არც ღირს არაფერი.

## ყურმოკრული

ალთქმულ მიწაზე დაბრუნებულ
და მოულოდნელად
გარდაცვლილ უცნობ ქუთაისელ
ებრაელ ქალს ფაციას

მოშემ პირდაპირ არ უთხრა
სარას,
აცხელა, აცია...
არისო უბედურება
ბედნიერების ტაცია,
,,წასულა... ყველას მშვიდობა
უსურვა თურმე ფაციამ...
ია და ვარდი რა არი,
ჩვენგან არც ვარდი, არც ია‘‘...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მე არ ვიცნობდი და მაინც
თვალს ცრემლი მოსწყდა პაწია.



## ორივე მზრდიდა

სამოცის გავხდი, მაგრამ
კვლავ ბინდისფერი მეფობს...
არ ვიცი: უკვე გაველ
თუ არ გავსულვარ მე ფონს.

სულ მქონდა უფლის შიში,
ეს შიში მომყვა დღემდე...
ორივე მზრდიდა: რისხვაც
და მოფერებაც ღმერთის.

## ყველაში მე ვარ

ძმებია სიკვდილ-სიცოცხლე,
შუქი და ჩრდილი ძმანი;
ბოროტებაც და სიკეთეც
ერთმანეთს ჰგვანან ძალიან.

ერთმანეთს გვანან ჭკვიანი
და გიჟი, როგორც წვეთს წვეთი,
მხმენია ბრძნობა შეშლილის
და ბრძნის მინახავს ცერცეტი.

ნუთუ ავსა და კარგს შორის
არ არის გოჯი მანძილიც,
ერთი დედ-მამის შვილია
ანგელოზიც და მაცილიც?!

ჩემი და შენი ღმერთია
უფალი, მისი-სატანა.
გვერდი-გვერდ ჯდომას უბედავს
გაუტანლობა გატანას.

ურთიერთს თავზარდამცემად
არიან გადაჯდობილი
სულმოკლე ავაზაკი და
სულგრძელი — კეთილშობილი.



ჩემშია ყველა: გაგრია,
ბრძენი, მტყუანი, მართალი,
ფიცხი, ყოყმანა, ლაჩარი,
მამაცი ხმალშემართული.

მე არავისზე ნაკლები
არ ვარ ბნელი და ნათელი...
ვინც და რაც ფეხქვეშ გავთელე,
მათთვის ვარ ფეხქვეშ ნათელი.

## დაშვენდება

ხვე შევირგე ხამსალად და შაქრად
და დიოდა დრო ლხენად და დარდად...
თითქმის ყველა სიყვარული ჩაქრა,
ღვთის და დედის სიყვარულის გარდა.

გზადაგზა ქმნილ ბარე ორი ავის
გამო ჩემზე არც როს დანაუბრალს —
დედის დარად, ჩემი გონჯი თავი,
ნეტავი რამ შეაყვარა უფალს?!

სიხარულის ცრემლის ღაპაღუპით
აღსასრულის შიშს თანდათან ვპაბნი...
ჩემს ყელ-კისერს დაშვენდება ყულფი
და გვირგვინიც, სხვათაშორის, დაფნის.

* * *

მაიძულებს სააქაო —
ბილწი, რიოში,
რომ წავიდე ნაადრევად
საიქიოში.
პოეტს ხელ-ფეხს რომ მიბორკავს
განა შიშია?!
წავალ, მაგრამ ხსნას ვერ ვხედავ
თვით სიკვდილშიაც.
სოხუმი რომ ვერ დავიცავ
ხმლით თუ რაპირით,
რკინის მკვნეტელ გმირ წინაპრებს
შევხვდე რა პირით?!
ალბათ მკვდარიც გავწითლდები
სირცხვილეული:
საქართველო ქართველთაგან
როა ძლეული.
არც სიცოცხლე, არც სიკვდილი!
ბედო ტიალო,
უნდა სიკვდილ და სიცოცხლის
შუა ვიარო.



## ზურაბ ლავრელაშვილი

# ასპაზია



ასპაზია პირველად წყაროზე ვნახე. მამიდაჩემს ვსტუმრობდი, სტუდენტური ზაფხული სოფლად უნდა გამეტარებინა. ნათესავები ზრუნვას არ მაკლებდნენ, მაგრამ მოწყენას ვერ ვძლიე. ქალაქი მენატრებოდა, ნეხვის სუნი გულს მირევდა. მეტწილად ბაღში ვიჯექი და ვკითხულობდი ან დალაქთან საუბრით ვერთობოდი. ასპაზიაც იქ გავიცანი. წყალზე დაიხარა, გულისპირი გაეხსნა და გარუჯული, სავსე მკერდი გამოუჩნდა.

— ვინ არის? — წამომცდა უნებურად.

დალაქმა პარმაღიდან გამოიხედა და ჩაიცინა.

— უფრთხილდი, მახეში არ გაგაბას! გოგო კი არა, ალქაჯია! ნახე, როგორ ურცხვად გიყურებს.

ასპაზია მართლაც ურცხვად მომჩერებოდა. ვერ გავუძელი და თავი ჩავღუნე.

— გასწი, დაიკარგე აქედან! — ღიმილით შეუტია დალაქმა, — ე ბიჭი ნუ გადარიე.

ასპაზია წელში გაიმართა, მაცთური სახით შემობრუნდა. ვგრძნობდი, დალაქი ზურგსუკან გამომცდელად მითვალთვალებდა. გავწითლდი, ავირიე. ეჭვი რომ გამეფანტა, თავი ავიღე და პირისპირ მივაჩერდი. ასპაზიას ცბიერმა ღიმილმა აუგრიხა სახე, დაიფრუტუნა და თვალი ამარიდა. გვიან მივხვდი, ეს მხოლოდ ფანდი იყო, რითაც ხშირად თავბრუს მახვევდა. მაშინ კი მეგონა, მოვტეხე-მეთქი და მზერა აღარ მოვაშორე. გამოუცდელი ვიყავი და იმის ფიქრი მხიამოვნებდა, რომ ქალებს ერთი შეხედვით ვიმორჩილებდი. ასპაზიას კი ჩემკენ აღარ მოუხედავს, უეცრად დადინჯდა, სახეზე რაღაცნაირი მწუხარება გადაეფინა.

როცა ტაგანი აავსო და ორღობეს შეუყვა, მცირე ხანს ვიდროვე და ზლაზვნით წამოვდექი.

— წავალ, გავივლი. — რაც შემეძლო გულგრილად ვთქვი, თუმცა ერთი სული მქონდა, მივწეოდი.

დალაქმა წელანდელივით ჩაიღიმა.

— მარცხი არაფერი მოგივიდეს, ბიჭო! უფრთხილდი-მეთქი! — გაიმეორა და მივხვდი, ჩემი მღელვარება ვერ გამოვაპარე. შემრცხვა და გავკაპასდი. სოფლურმა მოურიდებლობამ გული ამიმღვრია. თავმოყვარეობა მწარედ მჩხვლეტდა. ასპაზია უცებ შემძულდა. ზურგი ვიბრუნე და ქვევით დავეშვი. ახლა ხომ მიხვდებიან, რომ ის გოგო არაფრად მიღირს!

დალაქმა უსიტყვო მზერით გამომაცილა. შარაგზას ჩავყევი, მარცხნივ მოვუხვიე და სოფლის ბოლოში გავედი. ასპაზიას აქ უნდა ამოევლო, გზა აქეთ ჰქონდა. დიდხანს ვიცდიდი, მაგრამ მტვრიან ორღობეში არავინ გამოჩენილა. მესერიდან ბებერ ქლიავს გადმოეყო ტოტი, შუადღის ალმურში უძრავად ეკიდა. გზაზე მზით გახურებული რიყის ქვა ეყარა. სოფელი ჩამკვდარიყო და მეჩვენებოდა, თუ ასპაზიას კიდევ ერთხელ ვერ ვნახავდი, ქვეყნიერებაც აღარასოდეს გაცოცხლდებოდა. ზაფხულის სიცხემ გამთანგა, იდუმალი და ამ მზესავით მწველი ვნება ნესტოებს მითრთოლებდა. ქალაქად ამგვარი ჟინი არასოდეს განმეცადა. ასპაზიას ერთმა შემოხედვამ უცნობი წდომით ამაჩქროლა. მამაკაცი ხშირად ვერ დაიკვეხნის ამგვარი ნიშატით, როცა მზად არის წუთიერი სურვილისათვის სიცოცხლეც დათმოს. ასპაზია უნდა მენახა! ვერ გამეგო, რა დამემართა. გაბრუებული დავეხეტებოდი, ეზოებში ვიჭვრიტებოდი. გზისკენ მოქცეული ყრუ კედლები საიდუმლოს მტკიცედ იფარავდნენ. ერთგან მომეჩვენა, ვაზის სუროშემოხვეულ აივანზე ვიღაც გამოჩნდა. არ მეეჭვებოდა, რომ ასპაზია მითვალთვალებდა და ჩუმად მზვერავდა.

ეს ჩემი პირველი შეცდომა იყო.

ასპაზია ორ დღეს აღარ მინახავს. მესამე დღეს კი, როცა გაუქმებულ საყდართან ვთვლემდი, მინდორში მისი ლანდი შევნიშნე. ჭუკებს მიერეკებოდა. წიგნი დავხურე და წამოდგომა დავაპირე, მაგრამ შევყოყმანდი, რაღაცამ შემაყენა. რა იყო? საყდრის ეზოში გაფანტული ქვები ხომ არა? ასპაზია უკვე თვალს მიეფარა. წამოვხტი და დავედევნე. აღარსად ჩანდა, აღარც ჭუკების კივკივი ისმოდა. შლეგიანივით მივარღვევდი მშრალ ყანას, მწიფე თავთავის სიმხურვალე თავბრუს მახვევდა, ხელები მიკანკალებდა. ფლატე ჩავირბინე და იმედგაცრუებული შევდექი. ვერ გამეგო, ასე უეცრად სად უნდა გამქრალიყო. მართლა ალქაჯი ხომ არ იყო? უცებ მატიტელათი მოგებულ ფერდობზე ასპაზიას ჭუკები შევნიშნე, მაგრამ თავად კვლავ არ ჩანდა. დაღონებული დავეშვი მიწაზე და დამცინავი ხმაც შემომესმა.

— საცოდავი ბიჭი! რაო, ტირილს ხომ არ აპირებ? — ასპაზია სიტყვებს ოდნავ არბილებდა, კილოს ამახინჯებდა, მაგრამ მაინც გამართული ქართულით ლაპარაკობდა. თავი ავწიე და უცვეთველას ბუჩქთან მისი შავგვრემანი სახე დავინახე. ჯაგნარს წელა შემოუარა, ხელში ჭუკების სამწყსო წკეპლას ათამაშებდა. მომიახლოვდა, ხარბად დამაშტერდა და წკეპლა მოურიდებლად მამგერა მხარში.



— რას დამდევ? ჩემგან რა გინდა? — მეკითხებოდა და თვალებში ჩამყურებდა.

— არაფერი. ვსეირნობ.

— სტყუი! დაგინახე, რა კისრისტეხით გადმოეშვი დაღმართზე.

— დამინახე? მითვალთვალებდი?

ასპაზიამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— შემთხვევით დაგინახე, თორემ შენთან რა საქმე მაქვს! ახლა კი მითხარი, რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს! შემიყვარდი და უკან გამოგედევნე.

ასპაზია გაჩუმდა და კვლავ ჩამაშტერდა. გამოუცდელობისა და წიგნების გავლენით მაშინ მეგონა, ველური, დაუოკებელი მზერა აქვს-მეთქი, ასპაზიას რომანებში ამოკითხულ ქალებს ვადარებდი. ახლა კი ვხვდები, მარტოოდენ დაკვირვებით მსინჯავდა. ჩემზე უფროსი იყო და მეტი გაეგებოდა. ცდილობდა, ყველაფერი კარგად აეწონა, მაგრამ მრავალი სოფლელივით გონების სისხარტე არ ჰყოფნიდა და დიდხანს ფიქრობდა. თვალის დაშტერებაც ამიტომ სჩვეოდა.

— ახლაც სტყუი! არ მიცნობ და სიყვარულს მეფიცები.

— როგორ არ გიცნობ. ბავშვობიდან მახსოვხარ.

— ბავშვობიდან? მე კი მეგონა, პირველად გხედავდი.

— რაც თავი მახსოვს, გიცნობ, ასპაზია. სიზმრადაც ბევრჯერ მომჩვენებიხარ.

— ჩემი სახელი საიდანღა იცი?

— აკი გითხარი, გიცნობ-მეთქი! — შევატყუე, დაიჯერა, მაგრამ მაინც ეჭვით შემომყურებდა. დავუმალე, რომ მისი სახელი წყაროზე პირველი შეხვედრისას დალაქს წამოსცდა. ასპაზიას კი, ჩანს ეს აღარ ახსოვდა.

— თუ მიცნობ, ისიც უნდა იცოდე, რომ უკან არ უნდა დამდევდე! — სახეზე კვლავ მწუხარების ჩრდილი გადაეფარა, მაგრამ მაშინ ვერაფერს მივუხვდი. სისულელეებს ვეუბნებოდი და ვცდილობდი, ლაპარაკით გამებრუებინა.

— რატომ, ასპაზია, რატომ არ უნდა დაგდევდე, თუკი შემიყვარდი! განა სიყვარული სირცხვილია?

— ეგრე ნუ ამბობ! ღმერთი გაგვიწყრება.

— რომელი ღმერთი?

— რომელი და აი იქ რომ არის! — ხელი საყდრისკენ გაიშვირა. მის გულუბრყვილობაზე გამეცინა.

— იქ არავინ არი. განა არ იცი, რომ საყდარი დაკეტილია?

— სულ ერთია, მაინც იქ ზის. თუ მოინდომებ, დაინახავ კიდეც.

— შენ თუ გინახავს ღმერთი, ასპაზია?

— ჯერ არა, მაგრამ ხვალ მამალს დავუკლავ და მაშინ ვნახავ.

— მერე, რა უნდა სთხოვო?

ასპაზია მოიღუშა და გაჩუმდა.

— მე რომ შესაწირი მამალი მყავდეს, ღმერთს შევევედრებოდი, ასპაზიამ შემიყვაროს-მეთქი! — განვაგრძე მხიარულად. — მოდი, შენც ეგ სთხოვე.

ასპაზიამ ზურგი მაქცია. ჭუკები გაირეკა. გვერდით მივყევი. ერთხანს ჩუმად მივდიოდით.

— რად არ მპასუხობ, ასპაზია? — ვკითხე მაშინ, როცა ჭუკები ყანას მოედვნენ, თავად კი დაფიქრებული შედგა. — მითხარი, შევეხვეწებოდი თუ არა?

ასპაზიამ არც ამჯერად მიპასუხა. თავი დაღუნა და ყანისპირს გაუყვა. სოფლის ბოლომდე უბრად ვიარეთ.

ასპაზიამ მერეღა ამოიღო ხმა.

— ახლა კი წადი! მამაჩემი დაგვინახავს.

— კარგი. ოღონდ მითხარი, როდის გნახო.

— არც როდის.

— რატომ ასპაზია? — ხელი დავუჭირე, თვალებში ჩავხედე, — რატომ არ გინდა, რომ მნახო?

ასპაზიამ მზერა ამარიდა. მე კვლავ მისი ხელი მეჭირა. წელა გამაშვებინა და წაიჩურჩულა:

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ წახვალ.

— სად?

— ქალაქში.

— იქნებ არც წავიდე. ვნახოთ, იქნებ ცოლადაც შეგირთო. — ამას რომ ვამბოდი, სახეზე უზრუნველი ღიმილი გადამეფინა. ასპაზიამ შემახწრო, მოიღუშა, უცებ მოსხლტა და სირბილით წავიდა. მე კი ისევ რაღაცამ შემაყენა. გაურკვეველი ხევდა შემომაწვა. მაგრამ მაშინ ხომ ყმაწვილი ვიყავი და წინათგრძნობა სულ მალე დავივიწყე. უეჭველია, ასპაზია რაღაცას მიმალავდა და უნდა შემეტყო, თუმცა საიდუმლო იმ საღამოსვე გაირკვა. ვახშმამდე ჩემს ოთახში ვიჯექი, როცა მეზობელი შემოგვესწრო.

— მართლა, დღეს ასპაზია იყო ჩვენსა!

— რა უნდოდა?

— წამალი გვთხოვა. ბავშვი ჰყოლია ავად.

თითქოს ზაფრა დამეცა და დავფრუვდი. აღარ მესმოდა, რა უპასუხა მამიდაჩემმა. მალე ქალებმა საუბარი წვრილმანებზე გადაიტანეს. ასპაზია აღარ უხსენებიათ. წელი ავითრიე, სარკმელში გადავძვერი და ბაღში თუთის ძირას ჩამოვჯექი. აი, რად გამირბოდა! მეჩვენებოდა, თითქოს ასპაზიამ მწარედ მომატყუა და ისევ შემძულდა. დავწყნარდი, აღარ მენახა, მაგრამ ქალი დიდხანს არ დამყვა. მეორე დღეს ისევ ასპაზიას ჭიშკართან ვიდექი და დაფხანილ სარკმლებს შევცქეროდი. ჭიშკარჩამოკეტილი სახლი მიგდებული საყდარივით უსიცოცხლო ჩანდა. ვინ არის ასპაზიას ქმარი? ის ამბავი, რომ გათხოვილი იყო, მახელებდა. რამდენი ბავშვი ჰყავს? მე რაღად მეაშიკება? სოფელს ხომ ვერაფერს დაუმალავდა! ფიქრმა დამღალა, პირი მიშრებოდა სიცხისაგან. უეცრად გამახსენდა, ასპაზიას საყდარში მამალი რომ უნდა შეეწირა. იქ კი აუცილებლად ვნახავ! მაგრამ საყდრის ეზო უკაცრიელი იყო. საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი და მერეღა შევნიშნე, როგორ გამოეყო საყდრის კუთხეს მწუხარე ლანდი. ასპაზიას ცალი ხელით წითური მამალი ეჭირა, მეორით — წალდი და საყდარს გარშემო უვლიდა.

მაშინღა დამინახა, როცა წინ გადავუდექი.

— ასპაზია!

თვალი დახარა და გვერდის ავლა დააპირა.

— მომეცი, მამალს მე დაგიკლავ! — ფრინველი ჩამოვართვი. ასპაზიამ წალდი გამომიწოდა და წაიჩურჩულა:

— სანამ დაკლავ, ლოცვა უნდა წარმოთქვა.

— მე რომ ლოცვა არ ვიცი!

— მე ვილოცებ.

— ვისზე, ასპაზია?

კვლავ სახე ამარიდა. წალდი შემომაჩეჩა. საყდრის დაკეტილ კართან მიიჭრა და პირჯვარის წერას მოჰყვა. მესმოდა მისი ბუტბუტი, მაგრამ ბავშვის სახელი არ უხსენებია. ზურგშექცევით იდგა. არც შემობრუნებულა, ვიდრე თავწაჭრილი მამალი არ აფართხალდა, ეზო სისხლით მოისვარა და მეც სისხლი შემაშხეფა. ასპაზიამ დაბნეულმა გამომიწოდა ცხვირსახოცი, იაფფასიანი სუნამოთი რომ დაეპკურებინა და მისი იღლიის სუნი ასდიოდა. ცხვირსახოცი სახესთან მივიტანე და დავყნოსე.

— სისხლს მე ჩამოგწმენდ.

ასპაზიამ ხელი გამომიწოდა. ნავწელ მოვწიე და ჩავეხუტე. ასპაზია უნებურად მომყვა, მთვარეულივით დამემორჩილა. ერთხანს ჩემს მკლავებში გაირინდა, მერე თითქოს შეაცრუოლა, ხელი მკრა და ზურგი შემაქცია. ორივენი ვდუმდით, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ასპაზია მამალს დასწვდა, მოღუშული ირჯებოდა. საყდრის კედელს მივეყრდენ, ფეხის წვერით მიწის ჩიჩქნას მოვყევი. დამცინავმა ხმამ გამომაფხიზლა.

— საბრალო ბიჭო! კიდევ ტირილს ხომ არ აპირებ!

— ასპაზია!

— რა გინდა? კოცნაც კი არ გცოდნია. ნეტავ ვიცოდე, ქალაქში რა გასწავლიან!

ასპაზიას ურცხვობამ გამაოცა. ბერდალებული შევაცქერდი. ცბიერი ღიმილით მიყურებდა, გასისხლიანებულ ფრინველი რკინის ჯამში ჩადო და წელ ჩამიარა.

— ასპაზია, მოიცადე, ნუ მიდიხარ

— ხვალ ძველ წისქვილთან მოდი, ჭალაში! ახლა კი ნუ გამომყვები, დაგვინახავენ. — კვლავ ურცხვად მ მომხედა, თმები აიჩეჩა და დაღმართ გაუჩინარდა. თავბრუ მეხვეოდა, სისხ ამიდუღდა. საყდრის ძირას ჩავიჩოქე გონწასულივით გავიშხლართე.

| |

ასპაზიამ სიტყვა გატეხა. წისქვილთან არ მოსულა. ლოდინმა გამაწა საღამომდე მოთმინებით ვიცდიდი ვიშხამებოდი. შინისაკენ მაშინღა ნავ რატუნდი, როცა ბინდი შეიკრა ქალას ძილი გადაეფარა. „იქნებ ის ბავშვი ჰყავს ავად! იქნებ თავადაც ავ გახდა!“ ვერ წარმომედგინა თუ ასპაზ მომატყუებდა. ორღობეში გავედი მისი სახლის წინ ავიტუზე. დაბ სართულიდან სინათლე გამოკრთოდ მაგრამ არავინ გამოსულა. ამ უჩინარ ცხოვრებამ უფრო აღმაგზნო. ასპაზი შინაურებისთვის თვალი არასოდეს მო მიკრავს. ვის ემალებოდნენ? ბინდ ფეხს ვინაცვლებდი და იმედს არ ვკ რგავდი. უეცრად ორღობიდან ასპაზი სიცილი შემომესმა. შესახვედრად გა ნიე, მაგრამ შევნიშნე, ასპაზია მარ არ იყო, ვიღაცას ახმახი ლანდი ახლ ასპაზია და ლანდი ხმადაბლა იცინო ნენ. გული შემეკრა, სუნთქვა ყელ გამეჩხირა. ხეს ამოვეფარე და წყვი სახეწარკვეთილი მივაჩერდი. აღარ ეჭვებოდა, რომ მომატყუეს. ასპაზ სულმდაბალი, ხარბი სოფლელი გოგ აღმოჩნდა! მე გასართობად მელოლიავ ბოდა. წყვილი ჭიშკართან შედგა. ჩუ მდე ასპაზიას ნერვიული სიცილი წევდა. ნუთუ ქმარი ასე ძლიერ უყვა ჭიშკარმა დაიჭრიალა. ნაბიჯი ნავდ აქ აღარაფერი მესაქმებოდა. უეც ასპაზიას ქმარი შემობრუნდა და ქვე დაეშვა. ველარაფერი გავეგო, სიბნე ში გაოგნებული ვიდექი და



განამებდა. ახპაზია უკვე დერეფანში მიიმალა. ლობეს თავჩაქინდრული გავუყევი, რუხ გადავახტი და სალამურ ცაზე ხარიპარია შევნიშნე. ვარსკვლავები ისე მიყოლებით ჩნდებოდნენ, თითქოს დაყანგულ თითქრის წვეთებს ჭობოსანით აპრიალებდნენ. ღამეული ცა უტყვი, მშვიდი სახით დამყურებდა. რა უმნიშვნელო იყო ჩემი ტანჯვა სამყაროს უსასრულო სიდიადის ნინაშე! სუნთქვა შემეკრა. რაღაც აუხსნელმა, იდუმალმა გრძნობამ ამაკანკალა. რა იყო? მარტოობისა და სულიერი მიუსაფრობის განცდა თუ ცხოვრების ამაოების ნამიერი შეცნობა, რაც ხანდახან მომავალ ალსასრულზე მძაფრად გვისერავს გულს?!

ლობის იქით ნაცნობი, დამცინავი ხმა გაისმა:

— ეს შენა ხარ, ქალაქელო! აქ რას აკეთებ? — ახპაზია ლობეს გადმოეყუდა. კბილით გვირილის ღერო ეჭირა. შინდის რტოს მისწვდა და ნაატეხა. მე ვდუმდი. ვგრძნობდი, როგორ ჩამიქრა სიყვარული. ახპაზიამ ყვავილი მოიცილა და გადმომიგდო. ყვავილი მკერდზე დამეცა, მერე ჩემს ფერხთით დავარდა.

— მიბრაზდები? — მკითხა მცირე ხნის შემდეგ. — მაპატიე, ნისქვილთან რომ ვერ მოვედი. საქმე მქონდა, ვერ მოვიცალე.

— ახპაზია, ის ვინ იყო, ნელან რომ გამოგაცილა?

— არავინ.

— აპ, ეგრე არა! — ნამოვიძახე გაფიცხებულმა. — მე კი ვიცი.

— რა იცი?

— რომ შენ გარყვნილი და ურცხვი ვინმე ხარ!

ახპაზია დადუმდა. მის სახეს ვერ ვარჩევდი. არ შემინიშნავს, როგორ იმოქმედა ჩემმა სიტყვებმა, მაგრამ მივხვდი, გული მოვუკალი.

— პო, გარყვნილი და უტიფარი! — შევძახოდი გაშმაგებული. — კუროკებთან დაეთრევი, ქმარშვილი კი აღარ გახსოვს.

მეგონა, ატირდებოდა, მაგრამ ახპაზიამ იყუჩა და ჩვეული დაცინვით მომიგდო:

— მერე, შენ რა?! ვინ გეკითხება?!

— ახპაზია, მე...

— ნადი, ქალაქელ გოგოებს შეუძვერი კალთის ქვეშ. მე კი თავი გამანებე! ნუ დამდევ! პირზე რძე არ შეშრობია და ქალებს ეკონნიალება! — ახპაზია მწარე სიტყვებს ისე მშვიდად იმეორებდა, სიბრაზისგან გული შემეკრა. — იქნებ გგონია, რადგან ნასწავლი ხარ, ლოგინში ჩაგიგორდები! გესმის, ქალაქელო, ვერ მოესწრები!

ძარღვი ჩამწყდა. ასპაზია მართლა ხეპრე, გაუთლელი სოფლელი გომბიო იყო. ჩემი ქალაქელობა შურდა და უნდოდა ნიშნი მოეგო როგორმე. უხმოდ შევბრუნდი. შინისკენ გავწიე. ზურგსუკან ლობის ლანუნი მომესმა, მერე კარის ჯახუნიც გავიგონე. იმ ღამეს არ დამეძინა. გაცრუებულ სიყვარულს ვიგლოვდი და ჩემს თავს ვამუნათებდი, რომ ჭუკების მწყემსს ავყევი და მისი დასა-




ცინი გავხდი. თავმოყვარეობა მტანჯავდა. ერთი კვირა გარეთ აღარ გამიხედავს. ისევ წიგნებს დავუბრუნდი, ნაკითხულმა ახპაზია თანდათან გადამავინყა. ჩემი მარცხი შორეულ და ბუნდოვან ზმანებად მეჩვენებოდა. კვირის ბოლოს, როცა ჩვეულებრივად თუთის ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვფურცლავდი, ჭიშკრიდან ლაპარაკი შემომესმა. მალე ბაღის ბილიკზე მამიდაჩემი გამოჩნდა.

— ლევან, შვილო, შენ გკითხულობენ.

— მე?

— პო, ჭიშკართან გადი.

ეჭვმა გამკრა, ფეხი ავითრიე. ჭიშკარს მივუახლოვდი და ახპაზია დავინახე. გამიღიმა, მსხვილი კბილები გამოაჩინა.

— სად დაიკარგე? — ისე მკითხა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. — მე კი დავიჯერე, რომ მართლა გიყვარვარ. ყურებამდე გავწითლდი. ბაღში მოფუსფუსე მამიდაჩემი ასპაზიას ნათქვამს უეჭველად გაიგონებდა.

— აპა, დაიჭი! შენთვის ნამოვიღე! — მანვნის ქილა შემომაჩეჩა. — ჩვენ მაინც ბევრი გვაქვს. თანაც გახურებულ ტვინს აგრილებს.

ქილა უნებურად ჩამოვართვი. ასპაზია მზაკვრულად შემომცქეროდა.

— დიდხანს იდგები ეგრე მუნჯივით? საყდართან დაგელოდები. — მიბრუნდა, გამომწვევი ნაბიჯით ნავიდა. ჩემს მოხიბვლას ცდილობდა. ორიოდე წუთი გარინდებული ვიჯექი. წინათგრძნობა მტანჯავდა. მერე შინ შევვარდი, ქილა რაფაზე შემოვდგი და სახლსუკან გარღვეულ მესერზე გადავძვერი. ასპაზია საყდრის ჩრდილში იჯდა საფლავის ქვაზე, შავი მანდილი მოეხვია, ფრესკებზე გამოსახულ ბიბლიური ხანის მორწმუნეს ჰგავდა. უხმოდ ამოვუდექი.

— აი, აქ ჩვილი მარხია! — ახპაზიამ პატარა ლოდზე მიმითითა. — ნეტა მეც ადრე მოვმკვდარიყავი!

— მაგას რად ამბობ, ახპაზია? — ვკითხე ნაძალადევად. ვერ გამეგო, რა დამემართა. ახპაზია აღარ მხიბლავდა. გამომცდელად დავაკვირდი და პირველად შევნიშნე, ასაკზე უხნესად გამოიყურებოდა. თვალის კილოებში ნაოჭები ემჩნეოდა, ფერ-უმარილსაც ვერ დაეფარა კანის ჭკნობა, თუმცა სქლად ნაეთხიპნა. გარჯით გაუხეშებული დიდი, ნითელი ხელები დახეთქოდა, ფრჩხილები კი განაცრისფერებოდა. ახპაზიამ ხანყლად ამომხედა:

— ქალაქში მა[illegible]ე ნახვალ?

— არ ვიცი.

ყანიდან ჭრიჭინების კრუალი მოისმა. საყდარსა და საფლავებიან ეზოს შუადღის დამაყრუებელი სიჩუმე დასწოლოდა.

— ვიცი, რასაც ფიქრობ, — ახპაზიას ხმაში უცხო ნაღველი მომესმა.

— ნადი! ასე სჯობია. გესმის, ქალაქელო! ახპაზია შენ არ გამოგადგება.

— შენც თან ნაგიყვან, ახპაზია.

ახპაზიამ გაიღიმა და მივხვდი, როყიოდ ვიცრუე.

— დიდხანს ვებრძოდი ჩემს თავს. მინდოდა, შეგძულებოდი. ვბერდები, ქალაქელო! ჩემს თავსაც ველარ მოვერიე! — ახპაზიამ ხელი ნერვიულად გააქნია. მომეჩვენა, რაღაცას მანიშნებდა. ვედრით მივუჯექი. შეკრთა, გრძლად ამოიხვნეშა, მერე დამწვდა და ტუჩებით დამეკონა. მე გავჯიქდი, კოცნაზე არ ვუპასუხე. ახპაზიამ იგრძნო, [illegible] ხარბად დამაცხრა. დიდხანს მეხვეოდა, მკერდში მიკრავდა, სახეს ცრემლებით მისველებდა. მე კი საფლავის ქვასავით უძვრელად შევხვდი. მიხვდა და ჭინჭრით დაკბენილივით განმერიდა. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. გული გამიქვავდა. ახპაზია ნელათრეულივით ნამოდგა. მზის შუქზე მისი ცრემლიანი სახე, ფერ-უმარილი ნალვრევი მინასავით რომ ნაგლესოდა, ძველი დროის ნამებულივით საზარელი ჩანდა. ნელა ჩამიარა და საყდარს მიეფარა. მე კვლავ გაუნძრევლად ვიჯექი. ვიჯექი, ვიდრე საყდრის ჩრდილი გადაინაცვლებდა და სასაფლაოს რკინის ღობურების ნამახული ნვეროკინებით გაიგმირებოდა. მერე ნამოვდექი და შინისკენ გავწიე.

| | |

მას შემდეგ ახპაზია აღარ მინახავს. გვიან გავიგე, ქმარს მანამდე გაპყროდა, სანამ მე გამიცნობდა. მაშინ კი არაფერი ვიცოდი. აღარც მიცდია, გამეგო. იმ საღამოსვე ბარგი შევკარი და ქალაქში დავბრუნდი. მალე ცოლი შევირთე. პიმენეს ბორკილმა დამატყვევა. ორი წლის წინ ისევ სოფელს ვეხტუმრე. ახპაზია ცოცხალი აღარ იყო. რაღაც მოურჩენელ სნებას გადაეყოლებინა. შინაურები ამბობდნენ, ძალით მოიკლა თავიო, თითქოს მკურნალობას უარობდა, აღარც საავადმყოფოში ნაპყოლია, მაგრამ ცხადი არც მათ იცოდნენ რაიმე.

ქალაში რომ ვსეირნობდი, მოფრიამულე ბავშვებს ნავანყდი. უეცრად ახპაზიას სახე დავლანდე. ბიჭუნა მოვიხმე და გამოვკითხე. მართლა ის იყო, მისი შვილი. ათიოდე წლისა იქნებოდა, დედას საოცრად ჰგავდა, მაგრამ რაღაცნაირი ჩლუნგი იერი ედო. ფული ვაჩუქე და მალე გავისტუმრე. ვერ გამეგო, რად არ მსურდა კიდევ ერთხელ შემეხედა. მერელა მივხვდი: ვიღაც მესამე იდგა ჩვენს შორის, მის სახეზე დახახლებულიყო, ბიჭის ბრიყვული თვალებიდან შემომყურებდა. ახპაზიამაც, ალბათ, ამის გამო არჩია ამ ქვეყანას გასცლოდა და შვილი მიეტოვებინა. ვინ იცის...

## ვირჯინია ვულფი

## ლუის კეროლი

ლუის კეროლის მთელი შემოქმედება 1293 გვერდიან სქელტანიან წიგნად გამოიცა. მთელი შემოქმედება... მაშ, ვედარსად წაგვივა, ახლა კი მოვიხელთებთ მთლიანს და სრულყოფილს, მაგრამ ხელი გვეცარება, კიდევ ერთხელ გვეცარება ხელი. ჯერ გვგონია, აი, ეს არის ლუის კეროლიო, მერე კი ღვთის მსახურს დავინახავთ, აი, ღირსი მამა დოჯსონიო, ვფიქრობთ, კიდევ დავაკვირდებით და ახლა ზღაპრული ელფი შეგვრჩება ხელში. წიგნი თითქოს ჩვენს თვალწინ ორად იყოფა და ამ ნახევრების შესაერთებლად ისევ ცხოვრებას უნდა მივმართოთ, მაგრამ ღირს დოჯსონს, ცხოვრება რასაც ჰქვია, შეიძლება ითქვას, იმგვარად არც უცხოვრია. ისე მსუბუქად განვლო თავისი გზა, კვალიც არ დაუტოვებია, ისე შეუმჩნევლად შეერწყო ოქსფორდს, უჩინარი შეიქმნა. ისეთი კარგი იყო, რომ დები ალმერთებდნენ, იმდენად უმწიკვლო, რომ დისწულს მასზე სრულიად არაფერი აქვს სათქმელი, მხოლოდ გადაკვრით მიგვანიშნებს, უიმედობის ჩრდილი აწვა ბიძაჩემის ცხოვრებასო. ღირსი დოჯსონი კი უარყოფს ამ შავ-ბნელ ჩრდილს: ,,ჩემი ყოფა არასდროს დაუმძიმებია ტანჯვასა თუ საწუხარს.“ მაგრამ მისი ხილბილეც შეიცავდა მყარ კრისტალს — ბავშვობას. ესეც გასაკვირია, რადგან ბავშვობა ხომ ნელ-ნელა ილევა, ჰქნება. მისი რაღაც მარცვალი მას მერეც რჩება, როცა ბიჭი კაცად იქცევა და გოგო ქალად, მხოლოდ რაღაც მარცვალი. ჩვენ ბავშვობა ზოგჯერ დღისით გვიბრუნდება, ზოგჯერ კი ღამით. ლუის კეროლზე ამას ვერ ვიტყვით. რაღაც მიზეზით, არ ვიცით რომლით, მისი ბავშვობა ძლევამოსილი შექნილა. იგი მასში იყო დაბუდებული მყარად და სრულად. ამიტომ რაც ხანი ემატებოდა, მისი არსების ეს დაბრკოლება, ეს ლიბოსავით ქვა (და არა მარცვალი) მისი უმწიკვლო ბავშვობისა — შიმშილობდა და საზრდოს ითხოვდა. ზრდასრულ ადამიანთა სამყაროში კეროლი ჩრდილივით დასრიალებდა და მხოლოდ ბავშვებთან პოულობდა შვებას. და რადგან მასში ხელუხლებლად დარჩა ბავშვობა, ის შეიძლო, რაც ჩვენ არ ძალგვიძს: შეიძლო ზღაპრულ სამყაროში დაბრუნება და მისი თავიდან შექმნა, განახლება ისე, რომ თავად ჩვენც ბავშვებად ვიქეცით.



მაგრამ სანამ ბავშვად გვექცევდეს, ჯერ უნდა დაგვაძინოს: ,,ქვევით, ქვევით, სულ ქვევითკენ! ნუთუ ვარდნა არასოდეს დასრულდება?“ და ჩვენც ნარნარად ვიძირებით ამ იდუმალ, საოცრად არათანმიმდევრულ, მაგრამ ამავე დროს, ზედმიწევნით ლოგიკურ სამყაროში, სადაც დრო ელვის უსწრაფესად მიექანება, მიქრის, მერე კი ერთ ადგილზე იყინება. იქ სივრცე დიდ მანძილზეა გადაჭიმული, მერე უეცრად იკუმშება. ეს არის ძილის სამეფო. გარდა ამისა, იგი სიზმრების სამეფოცაა. ყოველგვარი გააზრებული ძალდატანების გარეშე მოდიან ეს სიზმრები: თეთრი ბაჭია თუ კურდღელი და სხვა ათასი უცნაური არსება, ერთიმეორის მიყოლებით, ხტუნვა-ხტუნვით რომ გვისერავენ გონებას, ერთმანეთში ირევიან, სახეს იცვლიან. აი, ამიტომ არ არის ალისას ორი წიგნი საბავშვო. ეს ისეთი წიგნებია, თავად ჩვენ რომ, გადაგვაქცევს ბავშვად. სულ ერთია, პრეზიდენტი ვილსონი ხარ თუ დედოფალი ვიქტორია, ,,ტაიმსის“წამყვანი კორესპონდენტი თუ ლორდი სელისბერი; არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, დამსახურებას, გინდ საქვეყნოდ იყო ცნობილი და გინდაც სრულიად შეუმჩნეველი, კვლავ ბავშვად იქცევი. ეს კი არც თუ იოლია: ამ სამყაროში ხომ ყველაფერი ისე უცნაურადაა მოწყობილი, უკვე აღარაფერი გაოცებს. ხარ უგულო, შეუბრალებელი, და ამავე დროს ისეთი მგრძნობიარე, რომ ერთი უხეში, მჭახე სიტყვა მთელ ქვეყანას გიბნელებს.

აი, ასეა, როცა ალისა ხარ და საოცრებათა ქვეყანაში მოხვდები, აი, ასეა, როცა ალისა ხარ და სარკის მიღმა აღმოჩნდები, ასეა, როცა სამყაროს თავდაყირა ამობრუნებულს დაინახავ. უამრავ სატირიკოსსა და მორალისტს წარმოუჩენია მსოფლიო თავდაყირა და ჩვენც დაგვინახავს ისე, როგორც სერიოზულ ადამიანს შეჰფერის — უხეში, შეულამაზებელი ყოფა. მხოლოდ ლუის კეროლმა გვიჩვენა ბავშვის თვალით დანახული აყირავებული სამყარო და ისე გულიანად მხოლოდ ბავშვები რომ იცინიან. უდარდელად, ლაღად. ვიცინით წმინდა სისულელეზე, ვიცინით და მერე გველვიძება. გველვიძება და ვფიქრობთ: ვინ არის ეს კაცი? ღირსი დოჯსონი? ლუის კეროლი? თუ ორივე ერთად? თითქოს სწორედ ამ კონგლომერატმა უნდა შექმნას ბოდლერიზირებული შექსპირი ბრიტანელ ასულთა დასატკბობად. თითქოს სწორედ მან უნდა ჩაუნერგოს მათ სიკვდილზე ფიქრი, როცა პიესის სანახავად მიიჩქარიან; და კიდევ ის, რომ ცხოვრების მთავარი მიზანი პიროვნების, ხასიათის განვითარებაა, სწრაფვაა სრულყოფისაკენ და განა ეს სრულყოფა აგრე ადვილად მიიღწევა? თუნდაც 1293 ნაბეჭდი გვერდის შემწეობით?

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა

ესეისტიკა

კითხვები — პასუხები



# ემზარ კვიტაიშვილი:

## არც ისე დავღუპულვართ, იმედი გადავიწუროთ...



**1** როგორ წარმოგიდგებათ მწერლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მწერლობას აკისრია ერის წინამძღოლის ფუნქცია?

**2** თქვენი აზრით, აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება. თუ ფიქრობთ, რომ აქვს, კონკრეტულად როგორ ვლინდება იგი?

**3** რამდენად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ იმ რთული და დრამატული პროცესების განჭვრეტა, რომლებიც ჩვენში წარიმართა?

**4** რა მიგაჩნიათ ამ პროცესების გამომწვევ მიზეზად, რა არის, თქვენი შეხედულებით, იმის საზრისი, რაც საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა?

**1** მწერლის როლი ყველა ეპოქასა და ყოველ საზოგადოებაში განსაკუთრებულია. ცხადია, ასეთად დარჩა იგი დღესაც. განუზომლად დიდი იყო და არის მწერლის მისია ქართულ ყოფაში, ვინაიდან ჩვენს ერს საუკუნეთა განმავლობაში არსებობის, საკუთარი სახის, ზნეობის შესანარჩუნებლად გამუდმებული ბრძოლა უწევდა. ასეთი როლისთვის კი მწერალი და მისი ხატოვანი სიტყვა ზედამიწევნით, წარუშლელად ებეჭდება ადამიანის ცნობიერებას: „რაც ერთხელ ცნობილად სულს დააჩნდების, სამშვიდობილოდ გარდაიცვლის..."

მართალია, საბჭოთა პერიოდში ყოველნაირად ხდებოდა მწერლობის როლის დამცირება, არაპროფესიონალთა წახალისება და აღზევება, მწერალთა რაოდენობის ზრდა, აბსურდული გაზრდა და მათი ტოტალიტარული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად მართვა, მაგრამ, მიუხედავად არნახული წნეხისა, ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისთავადობა და წინაპართა მიერ ნაანდერძევ პატრიოტულ იდეებსა და სულისკვეთებას გარემოების შესაფერისად გამოხატავდა.

ჩვენ ამჟამად დაგვრჩა ახლო წარსულის მეტად სავალალო და სახოთირო მემკვიდრეობა: ყოვლად წარმოუდგენელია, ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ექვსასი რეგისტრირებული მწერალი ჰყავდეს და ორი ამდენი კიდევ მწერალთა კავშირის კარებზე იყოს საიეროშოდ მომდგარი, ამ „სტატუსის" მიღებას ესწრაფოდეს.

**ჩვენ ამჟამად დაგვრჩა ახლო წარსულის მეტად სავალალო და სახოთირო მემკვიდრეობა: ყოვლად წარმოუდგენელია, ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ექვსასი რეგისტრირებული მწერალი ჰყავდეს და ორი ამდენი კიდევ მწერალთა კავშირის კარებზე იყოს საიეროშოდ მომდგარი, ამ „სტატუსის" მიღებას ესწრაფოდეს.**

მეორე მხრივ, ქაღალდის უზომო გაძვირების შედეგად, საბაზრო ეკონომიკამ სხვანაირი უბედურება დაგვატეხა თავს; ნამდვილი, ნიჭიერი მწერლები, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, წიგნებს ვეღარ სცემენ, ვინაიდან ტირაჟი იმდენად მცირეა, მკითხველამდე ვეღარ აღწევს. აქ კი გრაფომანებმა, წყალწყალა მოთხრობების, ლექსების და რომანების ავტორებმა, როგორც ხედავ ხოლმე, გაცილებით მეტი ფეხი გამოინახეს და წიგნის მაღაზიებშიც (რაც ჯერჯერობით ბაზრებს და მარკეტებს გადაურჩა) მეტწილად მათი მაკულატურა გამოხატება კრებულები და ტომეულები იჭერენ აღვილს.

ამ ჭაობში ხორცვალის ახალ უწყობს ხელს, რომ ლიტერატურული კრიტიკა თითქმის არ არსებობს, კარგა ხანია, ავისა და კარგის გამრჩევი აღარავინაა. ყველაფერი დინებას, დროის მსჯავრს მიანდეს, რაც ისევ და ისევ ჩვენს უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ჩვენ მომავლის რწმენას მაინც ვერ დავკარგავთ — ეს სავალალო მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება, მღვრიე წყალი დაიწმინდება და ნამდვილ მწერლობასაც უფრო მეტად დაედება ფასი, მისი სასიცოცხლო როლიც გამოიკვეთება, უფრო თვალსაჩინო გახდება ის ღვთიური დანიშნულება, რასაც ილია და აკაკი მწერლის მოვლინებაში ხედავდნენ.

მანამდე კი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას — ძნელია ერის წინამძღოლობაზე იფიქრო, როცა ყოველდღიური საზრდოს მოპოვებაზე წუხილი და ჯავრი მოსვენებას არ გაძლევს, როცა შენი თანამემამულეები, ხალხის უმეტესი ნაწილი შიმშილობს, უკიდურეს ეკონომიკურ გასაჭირშია ჩავარდნილი. მიზნიდან მთავარი ძალების ეხლანდელი მოძრაობა სასიკეთო გავლენას რომ არ ახდენს ქვეყნის ყველა სტრუქტურების დონეზე, ამასაც ხომ ცხადად ვხედავთ. ამ დროს ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის ნაკლები დრო რჩება და უკვე ამჟამაც გავლენები პროცესის მიმართ კარგს არაფერს გვიქადის.

ერთ ტრაქტატში ციცერონი ამბობს, რომ ომის დროს და ამავე დროს, ცეროდ, პოეზიაზე — „რაც დუმენ არ არის — კანონებია". ამის მიუხედავ ვართ დაეკაკაც კარგა ხანს ვიქნებით. გემოვნების დაქვეითება გაფერმება თანდათან, თითქოსდა შეუმჩნევად ხდება და თუ განუწყვეტ ჩვენ გაფრთხილდება, ბოლოს ხელში შეგვრჩება გადაგვარებული, გაპოსტმოდერნიზებული მასა, რომლისთვისაც პოეზიასა და ჰარმონიას არავითარი ფასი არ ექნება.

არავითარი უეცარი ოქროს ხანის ლოდინი, უახლოეს წლებში თავს დაავლებენ უიმედო კრიზისს (ამის ნიშნები უკვე ჩანს), ჩვენი ერიც შეინარჩუნებს ღირსებას, არტისტულ ბუნებას და სულიერ ფასეულობათა მიმართ ლტოლვას არ დაკარგავს.

**2** ვფიქრობ, უნებლიეც კი იქნება იმის დაბეჯითებით მტკიცება და იმაში დაჯერება, „აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება". ეს მომენტი მწერლობის ერთი უმთავრესი საზრუნავთაგანია. აღზრდასა და ზნეობრივ სრულყოფას მოკლებული ადამიანი ვერც სხვა რამისთვის გამოდგება. თამამად შეიძლება ითქვას, — ამ ქვეყანაზე ბოროტებას, უბედურებას, უზნეო და გონებაშეზღუდული არსებები სჩადიან.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ვეინდიდ სავანგარდო დაგვესხათათვინა „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი უძლიერესი თავი „ანდერძი ავთანდილისა", ვწერდით: „ეს განხილვა ქართველი ადამიანის ზნეობის საფუძველია საფუძველი, რაც ძალ-რძალში პქონდა ვამუშავარი რაინდთა მთელ თაობებს და რამაც საქართველოს მებრძოლი, თავისთავადობის შეუნარჩუნა".

მეფე პოეტის, არჩილის, თითქმის მთელი შემოქმედება ქართველთა აღზრდასა და ზნეობას, სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას ეძღვნება. გავიხსენოთ თუნდაც მისი უმნიშვნელოვანესი ტრაქტატი „საქართველოს ზნეობანი", სადაც ადამიანის ყოფისა და ქვეყნის არც ერთი მხარე არ არის დავიწყებული. ასეთივე ხასიათისაა მისივე გალექსილი მაქსიმები „ლექსნი ანნი ორმუხლნი", რომელშიც ყმაწვილი კაცი ბევრ სასარგებლო რამეს მოიკითხავს, ქრისტიანული მოძღვრების მარადიულ სიბრძნეს ეზიარება. შეუძლებელია თავის საქციელს არ დაუფიქრდეს ხზეათა ნაკლულევანებაზე მოკირატე ახალგაზრდა, როცა ასეთ სტრიქონს წაიკითხავს: „სხვის მოთხრილი ორმოში თავის ასე ვერას დაინახავს". ანდა, რაც ღირს ეს ბრძნული შეგონება:

„ბერ კაცს ნუ გიობ, ჭაბუკო, ნუთუ შენც სამე დაბერდე;

დამჭვარს კვალად ნუ დასწვავ, დასამშვიდად დაბერდე".

დიდაქტიკური მოტივები უხვად არის გაბნეული ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნების, ბრწყინვალე პოეტის, ვახტანგ მეექვსის პოეზიაში და საამისო მაგალითების მოხმობას აღარ შევუდგებით.

ჩვენს შუა საუკუნეებს „დავითიანის" გენიალური ავტორი ავვირგვინებს. გურამიშვილის უკვდავ წიგნში დიდაქტიკური შეგონებანი, რჩევა-დარიგება, ზნეობის სიწმინდეზე ზრუნვა ისე ვირტუოზულად არის შეზავებული მხატვრულ უმაღლეს პოეზიასთან, რომ მკითხველი ალტაცებული რჩება. ასეთი მწვავე მისადწევი რამ მსოფლიო ლიტერატურაში მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ შემოქმედებს (მათ შორის ასახელებენ უკვდავ „გეორგიკების" ავტორს, ვერგილიუსს) ხელეწიფებოდათ.

ქართველი ადამიანი ვერასდეს დაივიწყებს იმ ფასდაუდებელ წვლილს, რაც ჩვენს ზნეობრივ დახვეწასა და სულიერად გაფაქიზებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ სამყაროს, მის ლირიკას განეკუთვნება.

გრიგოლ ორბელიანი უფლიდ მწერლის [illegible] სიტყვის ზნეობრივ სიფრთხილეს [illegible] როცა ამბობდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცემა [illegible] ჩირქი დაამა წმინდას".

ძნელია სრულად შეაფასო [illegible] როლი, რაც მთელი თაობების ზნეობრივ [illegible] ჰქონდა ილიას „[illegible]", აკაკის „[illegible]" და ვაჟას „[illegible]" [illegible]

ეს ხაზი [illegible] უთვალსაჩინოესი პოეტების — გალაკტიონ [illegible] ლეონიძის შემოქმედებაში. [illegible] ასამაღლებლად [illegible] ყველაფერი ისედაც ნათელია [illegible] „ზნეობრივ-აღმზრდელობითი" გამონათქვამების [illegible] შეიძლება შევადგინოთ.

**3** ფრანსუა შატობრიანი — თავისი ერის ბედზე დაფიქრებული და მზრუნველი დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ერთგან წერს, რომ ფრანგებს მომავლის განჭვრეტის უნარი არა აქვთ, მოსალოდნელი საფრთხე შორს ხედავენ, ცხრა მთის გადაღმა ვეძებთ და რაც უბედურება უეცრად დაგვტყდება თავს, გაოცებულნი რჩებიან, ეს რანაირად დაგვემართაო.

ოთხმოციანი წლების ბოლოს ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირიდან წიდებული უზარმაზარი წითელი იმპერია მალე დამხედებოდა. მისი ნგრევა რომ ეკრად მსხვერპლს მოითხოვდა, ესეც უნდა გვცოდნოდა და ჩვენი მხრიდან ამდენი გაუმართლებელი ავტორიტეტი სრულიად ზედმეტი იყო. მთავრობამაც ზოგიერთი საჭირო მიზნით (პოლიტიკურ ინსტიტუტით, აფხაზეთის ამბების გამო) დაარღვიეს და მერე კი პროვოკატორების ფართო სარბიელი მისცეს მთავრობის სასახლესთან, რასაც 9 აპრილის ტრაგედია მოჰყვა.

ასეთ დროს არცხრა, ჩვეულებრივ, სახელს და პოპულარობას დახარბებული ადამიანები გამოდიან და ხალხიც მათ ეგზალტირებულ გამოსვლებს უსმენს და გონიერ განსჯას იშვიათად თუ ითხოვენ. ყურს მთავრობის სასახლის სვეტებზე გაკრული ბუნებრივი რადიკალური, ურა-პატრიოტული ლოზუნგები სიკეთეს რომ არ დაგვიყრიდა, ვიცოდით. თანდათანობით ვხედავდით იმ საეჭვო მისაკიდრელ შედეგებს, მაგრამ ვინ იქნებოდა ყური დაგვეღო; კიდევაც რომ გვეყვირა, იქნებ გაგვხრებზე. ჩვენისთანა მცირე და თანაც შეუძრავი ერი კი არა, დიდი სახელმწიფოც არაერთხელ ჩაუვარდა უბედურ დღეში თავლით პოლიტიკოსებს. არაფრის მომტანი შოვინისტური ლოზუნგების უადგილო წამოსროლამაც არ გაგვიწია კარგი სამსახური. გავიხსენოთ, ჩვენთან შედარებით, რამდენად გონივრულად იქცეოდნენ ბალტიისპირელი რესპუბლიკები.

**უველას გვახსოვს — სასიკვდილო ხვნით შეპყრობილმა ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა და მამულიშვილმა რეგან თაბუკაშვილმა უნივერსიტეტში ბრწყინვალე, აწონილ-დაწონილი სიტყვა თქვა, მეტად გონივრული პროგრამა წარმოადგინა, მაგრამ ვინ გაითვალისწინა მისი ნააზრევი, თვითმარქვია ლიდერები ბრბოდ ქცეულ ხალხს უფსკრულისკენ მიერეკებოდნენ.**

ყველას გვახსოვს — სასიკვდილო ხვნით შეპყრობილმა ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა და მამულიშვილმა რეგან თაბუკაშვილმა უნივერსიტეტში ბრწყინვალე, აწონილ-დაწონილი სიტყვა თქვა, მეტად გონივრული პროგრამა წარმოადგინა, მაგრამ ვინ გაითვალისწინა მისი ნააზრევი, თვითმარქვია ლიდერები ბრბოდ ქცეულ ხალხს უფსკრულისკენ მიერეკებოდნენ.

არნახულ ძალადობას და სისხლზე, სიცრუესა და გაუტანლობაზე, მილიონობით ადამიანთა ძლევაზე აშენებულმა, გაუგონარი ტერორითა და სისასტიკით სახელგანთქმულმა საბჭოთა სისტემამ ბოლოს კრახი განიცადა, ავიანებინა სიმხიერებას თვითონვე ამოთხარა თავი, მაგრამ ამ ქაოსის დროსაც ყველაზე მეტად ჩვენ დაგვზარალა.

„ბოროტების იმპერიამ", განგილოდ არ წავლებოდა თუ ხეიროვნებენ მანძილზე ადამიანთა გონების ისეთი დეფორმაცია მოახდინა, ისეთი შიში და კომპლექსები ჩათესა მათ სულში, ამ მხმების გაწოვას და გამოტოვებას ალბათ საუკუნეები დასჭირდება.

გარდა ამისა, საქართველო ათასჯერ გადაიჩხა, ჯერაცხელი მსხვერპლი გაიღეთ, უმთავრესი ბოროტება ის იყო, რომ ქართველ კაცს მტრ შეამულეს, გული აუყარეს მის დამუშავებაზე, სხვა დავუკარგავენეს და ჩვენს ტერიტორიას გადამთიელები ეპატრონებოდნენ ბოლოს ჩვენი ტავი არ დამალა და ჩვენს მიწაზე კომპაქტურად დასახლებული სხვა ერის წარმომადგენლები სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნის პრეტენზიას აცხადებენ, რაზედაც დათანხმება აღარ შეუძლებელია.

ცუდი ხიზმიდიო მახსოვს — სოხუმის დაცემამდე ერთი კვირით ადრე ქალაქის მერმა კოტე გამცემულმა ტელევიზიით ყველას მოუწოდა, ერის ბარკში იარაღით მოსვლა, რათა იქიდან სოხუმში გამგზავრებულიყვნენ საომრად. თავისთავად უბედურებაა, ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდება, მაგრამ მაშინ ალბათ სხვა გამოსავალი აღარ იყო. თბილისელებმა ჭადრაკის სასახლესთან იწყეს დგომა, საიდან ერთხ თუ ექნებოდა მხარზე გადაკიდებული ავტომატი. აშკარად უიმედო საქმე იყო, მაგრამ მე [illegible] შემძრა ბაღში იმხანად შეჯგუფული ახალგაზრდა, თვრამეტი-ოცი წლის ჭაბუკების ამაზრზენმა დამოკიდებულებამ სამშობლოს ბედისადმი (რამდენი მათი ტოლი მკერდგაგლეჯილი დაეცა ბრძოლის ველზე იმხანად) — სოხუმი უნდა დაიცვანო, — ხითხითით გადაულაპარაკა ერთმა, დამარჩენებს და თავის გასაწირად მოსულ ვაჟკაცებს დამცინავად გახედეს. ზოგჯერ ქუჩებშიც ისეთ სიცილ-კისკისს გაიგონებდით, ვერაფრით ვერ იფიქრებდით, თუ ამ ქვეყანაში ომი იყო. ასეთი განწყობილებით რომელ გამარჯვებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. არაკაცთა არაერთი მოღალატური საქციელი კატასტროფას ახლოვებდა. სოხუმის დაცემა გარდუვალი ჩანდა. ამ საშინელ ამბავზე ცოტა მოგვიანებით გამოვაქვეყნებ ჩემს ჩანაწერებს.

მეორე მსოფლიო ომში, ქერჩის ნახევარკუნძულზე სამასი ათასი ქართველის მოღალატურად დაღუპვას თუ არ გავიხსენებთ, ამაზე დიდი ტრაგედია საქართველოს ჩვენს მახსოვრობაში არ ჰქონია. ამ დროს კი თბილისში (ალბათ, სხვაგანაც) ზოგიერთების ფანჯრებიდან დოლ-გარმონის ხმა და შეზარხოშებულ უგნურთა სიმღერები გაისმოდა. ამ ზნედაცემულთა და ზოგიერთ ჩვენ „სარდალთა" გამყიდველური საქციელი რომ არა, გადამთიელები და მათი დაქირავებული მკვლელები საწადელს ვერ მიაღწევდნენ — საქართველოს ეს სამარცხვინო მარცხი ასცდებოდა.

**4** თანამედროვეობის გამოჩენილი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი ერთ თავის წიგნში წერს — გერმანია იმიტომ დაიღუპა, რომ პედაგოგები არ გვყავდაო. ჩვენი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების (ცერძო, ფასიანი სწავლება თავცარიელ, ფარატინა დიპლომის მფლობელებს კიდევ უფრო გაამრავლებს) შემხედვარეებს ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ. სწორედ სკოლები იყო ის უმთავრესი წყარო, საიდანაც დასაყრდენი ჰპოვა ჩვენდა დასაქცევად „აგორებულმა" ე.წ. „ეროვნულმა მოძრაობამ", რომლის სახე და ქმედებანიც დამაჯერებლად დახატა დავით მჭედლურმა თავის მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტურ წიგნში „თავისუფლების სახელით". ამ თემაზე კვლავ ბევრი დაიწერება.

ხსენებული „მოძრაობის" სამარცხვინო თავკაცი კიბეებზე ჩამომსხდარ ათასობით აბიტურიენტს უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას დაჰპირდა (ეს კიდევაც გააკეთა, რის სავალალო შედეგებს დღესაც ვიმკით), აიყოლიეს ახალგაზრდები, მათ დროშები და ტრანსპარანტები შეაჩეჩეს ხელში — მთელი საქართველო მიტინგომანიამ, კარვებმა და დაგეგმილმა შიმშილის აქციებმა წალეკა. შემჩნეულია, რომ არეულობათა დროს ხალხის მოტყუება განსაკუთრებით იოლია და ეს შემთხვევა ჩვენმა დემაგოგებმა ძალზე ოსტატურად გამოიყენეს. ჭკლების დამრღვეველი პოლიტიკანები, პირწავარდნილი პროვოკატორები კი ნამდვილად არ გვაკლია. ამიტომ არის — დღევანდელ საქართველოში რამდენადმე სერიოზული და ავტორიტეტული, მთლიან ორგანიზმად შეკრული პარტიის შექმნა შეუძლებელი გახდა. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ავადსახსენებელი გამსახურდია და მისი გუნდის არაერთი წევრი მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ იყვნენ შემოგდებულები და უბოროტესი საქმე საქართველოს დასამხობად და წელში გასაწყვეტად, თავიანთი დამხმელების დაკვეთით, კიდევაც გააკეთეს. ნაპრეზიდენტალის ხელით იქნა დასმული აფხაზეთში მისნაირივე სისხლიანი, ბნელი პიროვნება — არძინბა; შიდა ქართლ[illegible]

პირველი გვერდიდან

იგი ვერანდაზე დაბრუნდა, თან ფინჯანი მოჰქონდა; პატარა მდელობი გადაჰრა და ზანტი ნაბიჯით გაემართა კორასკენ.

— გმადლობთ, ძვირფასო, — ალერსიანად უთხრა ქალმა და გაიღიმა.

ჯონს აუტანლად მოუნდა მუშტი ჩაეცხო მისთვის მსუქან სახეში, მაგრამ ნერვები მოთოკა და თვადაც გაუღიმა.

— ძალზე გულის ამაჩუყებელი სცენა იყო, ძვირფასო კორა, შემიძლია წავიდე?

ქალს სახე გაუმკაცრდა.

— კარგად ვერ იქცევი, ფლიზონ; მოგეხსენება, შენ ჩემი პირველი ქმარი არა ხარ და, შესაძლოა, არც უკანასკნელი იყო, — კორამ isev გაიღიმა და ღიმილმა სახე თითქოს ორად გაუპო. ისეთი სანახავი იყო, არამცთუ ნაყიდ ქმარს, საკუთარ დედასაც ზიზღს მოჰგვრიდა.

კორა ადრეც იმუქრებოდა გაყრით. ფლიზონი მისი საკუთრება იყო, ისევე, როგორც მანქანები, სახლი, მოახლეები, და უსიტყვოდ უნდა დაჰყოლოდა ცოლის ნებას. მაგრამ მუქარა მუქარადვე რჩებოდა და ამასობაში კაი ხუთი წელიწადი გაილია. დროდადრო კორა მას სჯიდა, „სათამაშოებს" ართმევდა მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაკადნიერებულიყო და თავისი ადგილი სცოდნოდა. ფლიზონი ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, არად აგდებდა დამცირებას და შეურაცხყოფას, რადგან ფიქრობდა, ჩიტი ბდღვნად ღირსო, დარწმუნებული იყო, რომ ხულ მალე თავად შეიქნებოდა ამ სიმდიდრის ბატონ-პატრონი. კორა საჭმლის მთელ გორებს ნთქავდა და გულს აუტანელ ჯაფას აყენებდა, ექიმი სახლიდან მიაბრძანეს მხოლოდ იმის გამო, რომ სიტყვა „დიეტა" ახსენა. მის ნაცვლად ვიღაც შარლატანი მოვიდა. ამ კაცის ზნეობრივი პრინციპები უშუალოდ იყო დაკავშირებული ბანკსა და ბანკნოტებთან. ამგვარი ექიმი ჯონსაც სავსებით აწყობდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ კორას სიკვდილის შემდეგ მას ღირსეულ პატივს მიაგებდა.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ერთ კვირა დღეს, საუზმეზე კორამ ოსკარ უოტენი მოიწვია. ჯონისთვის ეს ხელახლა დატრიალებული კინოფილმი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თვითონაც მიიღებდა ამ ფილმში მონაწილეობას. ამიტომ სასადილო ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია. მას შესანიშნავად ახსოვდა ის დღე, როცა კორამ, იმჟამად კორა ბარტონმა, ფლიზონი საკვირაო სადილზე დაპატიჟა. ჯონი ყურადღებით აკვირდებოდა ჰენრი ბარტონს. იგი ისე უცქეროდა, როგორც მეზობლის ხულიგან ბიჭს, რომელიც სათამაშოების წართმევას უპირებდა. ხოლო ორი კვირის შემდეგ, როდესაც სცენაზე ადვოკატი და გაყრის საბუთები გამოჩნდა, ბარტონი მიხვდა, რომ მილიონები ხელიდან გამოეცალა.

ახლა, როგორც ეტყობოდა, ჯონის რიგი დადგა. მსგავსი ბედი ეწევა შემდეგ ქმარსაც და ბოლოს მოვა ვიღაც, ვისაც კორას მილიონები დარჩება.

ხუთი წელი! და ახლა, როცა კარდიოგრაფი გეიგერის მრიცხველივით არაკუნდა, კორამ ეს ოინი გამოახტუნა. ფლიზონმა იცოდა, რომ მიტოვებულ ქმარს კორა რაღაც საცოდავ გროშებს უტოვებდა; თუ ქმარყოფილი გაჯიუტდებოდა, საქმეში ადვოკატები ერეოდნენ და იმ გროშებსაც აკარგვინებდნენ. კორამ ფლიზონს უჩვენა თავისი მეორე ქმრის ფოტოსურათები და ის დოკუმენტები, რომელთა წინააღმდეგ განწირული კაცი ვერაფერს გააწყობდა, უბრალოდ, საამისოდ შანსი არ გააჩნდა.

ჯონ ფლიზონსაც, ეტყობა, იგივე ელოდა, მისი შემცვლელი უკვე მტკიცე ნაბიჯით მიმოდიოდა ოთახებში. ჯონის ყველა სათამაშოს საფრთხე ემუქრებოდა.

**ფლიზონს კვირაზე მეტი აღარ დარჩენოდა და ამ ხნის განმავლობაში ეუჭველად რამე უნდა ელონა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ბედმა მისკენ მოიხედა: ორშაბათ** დილით გაზეთი გაშალა და პირველივე გვერდზე თვალში მოხვდა წერილი, სადაც იუწყებოდნენ, რომ ციხიდან ჩრდილოეთისკენ რვა ტუსაღი გაიქცა, მათ შორის ექვსს მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

— მაილზ, — დაუძახა ფლიზონმა უფროს მსახურს, — რადიოთი ხომ არაფერი უთქვამთ ამის შესახებ? — ჰკითხა და წერილის სათაურზე მიანიშნა.

— დიახ, სერ, მისტერ ფლიზონ, ამ ერთი საათის წინ დაწვრილებით გადმოსცეს ყველაფერი. ვარაუდობენ, რომ გამოქცეულები სადღაც აქ, ამ ადგილებში ბოგინობენ და რომ ფულსა და საჭმელს დაეძებენ.

მაილზმა თვალი მოავლო დაბურულ



# შემცვლელი

ტყეს, სახლს ირგვლივ რომ ერტყა.

— შესაძლოა, არცთუ ისე შორს არიან ჩვენგან.

— გმადლობთ, მაილზ, — უთხრა ჯონმა და გულში გაივლო: „მართლაც რომ მადლობელი ვარ".

„სასიკვდილო განაჩენამდე მისული გაქცეული პატიმრები", — გაიფიქრა და კმაყოფილმა ჩაიღიმა.

„სასოწარკვეთილებამდე მისული გაქცეული პატიმრები", — გაიფიქრა და კმაყოფილმა ჩაიღიმა.

იმ დღეს, ნაშუადღევს, კორა საცურაო აუზიდან დაბრუნდა. მისი წიკვინა ხმა და სიცილი ყველა კარსა და კედელში ატანდა. იგი შეიჭრა ოთახში ოსკარ უოტენის თანხლებით, აკურატულად გაკრეჭილ ორფეხა ნაგაზს რომ წააგავდა, უხეშ სახეზე ღიმილი ეფინა.

ფლიზონს გაახსენდა, რომ ოდესღაც თვითონაც ასე უღიმოდა კორას, მაგრამ ღიმილი თანდათანობით მკრთალდებოდა, რადგან კორა უბადრუკ გროშებს აძლევდა და თან ბაწარზე გამობმული მაიმუნივით აწვალებდა.

მერე ის ღამეები... გინდა საწოლში კორასთან ერთად წოლილიყავი და გინდ ჰოლანდიურ ღუმელში დაგეძინა. უზარმაზარი სხეული მხურვალებას გამოსცემდა და სულ უფრო და უფრო ხურდებოდა. ქალის ალერსი ზიზღს გვრიდა, მაგრამ ყველაფერს იტანდა და ღამღამობით ოფლის გუბეში მცურავი ნანობდა, რომ ბედმა კორას შეახვედრა.

— ხომ არ დაგვიგვიანდით, ფლიზონ? — მიუახლოვდა მას ოსკარი.

ფლიზონი ალფრთოვანდა. აი, თავხედობაც ამას ჰქვია, უნდა მიახვედროს, რომ მისი ადგილი უკვე დაკავებულია.

— გმადლობთ, თავაზიანობისთვის, უოტენ. ცოტაოდენი ვისკი და სოდიანი წყალი, თუ შეიძლება.

უოტენმა ბროლის გრაფინიდან წყალი ჩამოასხა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— იცით, უოტენ, ამ ხუთი წლის განმავლობაში, რაც მე და კორა ერთად ვართ, მეტისმეტად შევეჩვიე ვისკის. ექვსი-შვიდი ულუფის გარეშე ძნელად თუ დამეძინება.

— მე მგონია, ფლიზონ, დიდხანს აღარ მოგიწევთ ამ მხრივ შეწუხება, — ღიმილით უთხრა უოტენმა.

ფლიზონი აენთო და ის იყო, უნდა შეპასუხებოდა, მაგრამ ამ დროს ოთახში მაილზი შემოვიდა.

— მისტერ ფლიზონ, სერ, — თქვა წყნარი ხმით, — არ მინდოდა შემეწუხებინეთ, მაგრამ რადიომ გადმოსცა, რომ გამოქცეულებმა მოკლეს ვიღაც კაცი უინსლოუს განშტოებასთან. გაზეთები მოვიტანე. მათი სურათებია დაბეჭდილი, ნაკლებ სასიამოვნო კამპანიაა.

ფლიზონმა გაზეთები გამოართვა, ინტერესით გადაავლო თვალი სურათებს და გულში აღნიშნა, რომ გამოქცეულებს რუხი ტანსაცმელი ეცვათ.

— კაცმა რომ თქვას, ისინი შეიძლება უკვე ჩვენს ეზოშიც იყვნენ, სერ, — თქვა მაილზმა, — ვიფიქრე, რომ თქვენთვის საჭირო იქნებოდა ამის ცოდნა.

— მადლობელი ვარ, მაილზ, დროულად მოგვიწევს თადარიგის დაჭერა.

მაილზი გავიდა. ჯონმა საათს დახედა. ათის ნახევარი იყო. უინსლოუს განშტოებამდე აქედან შვიდი მილი თუ იქნებოდა. ტყე-ტყე რომ ევლო და ხალხისთვის თავი აერიდებინა, ორ-სამ საათში მოასწრებდა მისვლას. შუაღამე ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

სადილისთვის სუფრა ეზოში გაშალეს. კორა შესამჩნევად ცდილობდა საუბარში ჯონი არ ჩართულიყო. ფლიზონს ამ ხუთი წლის წინანადელი ამბავი გაახსენდა, შეხედა ლოყებდაბერილ ხარბმუცელას და უნებურად ხმამაღლა გადაიხარხარა...

— ეს არც თუ ისე სასაცილო იყო, ჯონ, — წარბშეჭმუხვნით შენიშნა კორამ.

— ნეტა რა იგულისხმა? — მხრები აიჩეჩა ჯონმა, მაგრამ მაშინვე იაზრა: „ააა, ალბათ, უოტენმა რაღაც ხუმრობისნაირი დაახეთქა".

კორა და ოსკარი ღიმილით შესციცინებდნენ ერთმანეთს და ფლიზენი ხვდებოდა, რომ სამოქმედოდ ძალიან ცოტა დრო დარჩა.

ნასადილევს, სასტუმრო ოთახში ყავას სვამდნენ. თერთმეტ საათზე ოსკარი წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

— ძილი ნებისა, კორა, ძილი ნებისა, ფლიზონ.

— ღამე მშვიდობისა, უოტენ, — მიუგო ჯონმა, ოთახი გადაჭრა და ოსკარს ზურგზე ხელი მოუტყაპუნა. — ნუ მოგვერიდებათ, შემოგვიარეთ ხოლმე.

უოტენმა და კორამ გაოცებით შეხედეს მას.

— შენ უცნაურად იქცეოდი, ჯონ, — ცივად უთხრა კორამ. — რამ წამოგიარა? მე მგონი, აჯობებს, ეს ღამე კაბინეტში გაათიო.

— რატომ?

— განა ეს ძნელი მისახვედრია, ჯონ? ხვალ დილით მე და შენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ.

კორა გავიდა. ჯონმა ბრენდი დაისხა. ოთახში მაილზი შემოვიდა.

— ახალი ხომ არაფერია, მისტერ ფლიზონ?

„დიახ, მაილზ, დიდი არაფერი, რაღაც მკვლელობა მოხდა", — გულში გაივლო ჯონმა, მერე გაიღიმა და თქვა:

— არა, არაფერი შეცვლილა, ღამე მშვიდობისა, მაილზ.

## მცირე დეტექტივი

მაილზი დასაძინებლად გაემართა მსახურთა სახლში, ამ ადგილიდან თხუთმეტი წუთის სავალზე რომ იდგა. ფლიზონი და კორა მარტონი დარჩნენ.

ჯონმა კიდევ დაისხა ბრენდი, მერე იქვე, პატარა ოთახში შევიდა და თავისი სანადირო კარაბინი გამოიტანა, შემდეგ ყუთიდან ხუფთა ნაჭერი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო.

კორა, ალბათ, მაცივართან დგას და ნუგბარ საჭმელებს არჩევს, რომ ღამე თავი შეჭირვებულად არ იგრძნოს.

ფლიზონმა ფართოდ გამოაღო შემინული კარი, ჩვრით აიღო ფანჯრის ქვეშ მიგდებული ეკლიანი მავთული, თითების ანაბეჭდი რომ არ დატყობოდა.

— კორა! — დაიძახა შემდეგ. იცოდა, რომ გააგონა, მაგრამ ერთხელ კიდევ დაიყვირა: — კორა! მოდი აქეთ, ჩქარა, ჩქარა!

კორა მისკენ წამოვიდა.

— რა მოხდა, ჯონ?

— მოდი, ჩქარა, აი, შეხედე!

კორამ ბნელს თვალი უსწორა.

— სადა ხარ, ჯონ! რა მოხდა?

ფლიზონმა ქალს მავთული მარყუჟივით გადააგდო კისერზე და მთელი ძალით გამოქაჩა და გადაგრიხა.

კორამ ხელები ასწია, ცდილობდა რა... მეს ჩაჭიდებოდა, სული ეხუთებოდა; ჯონმა რამდენჯერმე გადაგრიხა მავთული და კვლავ ძლიერად მოქაჩა. ქალი უხმოდ დაიკრუნჩხა, სიცოცხლეწართმეული თვალები ფლიზონს მიაშტერა, ერთიანად სისხლით მოთხვრილი, სულშეგუბებული მძიმედ დაეცა, ორიოდე წამი კიდევ ფართხალებდა და ბოლოს გაშეშდა.

ჯონი კარაბინს დასწვდა და ტყვიები ტყისკენ მიმოფანტა, მერე კაბინეტში შევარდა და ნომერი აკრიფა.

— ალო, შერიფის ოფისია? ჯონ ფლიზონი გელაპარაკებათ. დიახ, დიახ, აქ საშინელი მკვლელობა მოხდა... ცოლი მომიკლეს... გამოქცეულები იყვნენ, ვესროდი, მაგრამ ბნელოდა და... როგორ? დიახ, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ. ბნელში ვერ გავარჩიე. მოხვალთ? ძალიან კარგი, ნახვამდის. — მან ყურმილი დადო და გაიღიმა. მისი გეგმა შესანიშნავად შესრულდა.

უცბად ჰოლის კარში მაილზი აისვეტა... თვალები ბურთივით დამრგვალებოდა და გადმოცვენაზე ჰქონდა.

— მისტერ ფლიზონ... რადიო... მისტერ უოტენი...

— ღვთის გულისათვის, მაილზ, გასაგებად ილაპარაკეთ, რა მოხდა? — დაუყვირა ჯონმა.

— რადიო... მე... — მაილზს თანდათანობით დაუბრუნდა მეტყველების უნარი. — მათ მოკლეს მისტერ უოტენი, — მაილზმა გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი, — იქ, უინსლოუს განშტოებასთან, თხუთმეტი წუთის წასული თუ იქნებოდა აქედან, გაქცეულებს დაუჭერიათ. ეს ხომ საშინელებაა, მისტერ ფლიზონ, საშინელება!

— ჰო... — ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა ფლიზონმა, — საშინელება... იგი შემინული კარისკენ შებრუნდა... ზღურბლზე კორას უზარმაზარი სხეული ეგდო. ხის თამასაზე მიჭერილი მისი ტუჩები გროტესკული ღიმილის იღუ... ქმნიდა, თვალები ფლიზონისთვის მიე... დებინა. ფლიზონი ერთ ადგილას გა... და. ყურში საზარლად ჩაესმა კორას მაღალი ხარხარი.

სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო ბობია,

ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია

თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

გოგა დავითაშვილი (მხატვარი)

## მხოლოდ ფაქტები

# მორიგი «მანა» მოგვიახლოვდა

25 ივნისს რესტორან „ევროპაში" სატელევიზიო ფესტივალ „მანა — 96"-ის ორგანიზატორებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელსაც „მანა — 96"-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელი მაკა ანთიძე უძღვებოდა. ფესტივალის საპატიო პრეზიდენტმა ზაზა შენგელიამ ჟურნალისტებს ფესტივალის ახალი სტრუქტურა გააცნო. „მანა — 96"-ის დებულებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: წინათ, „გრან-პრის" მიღება მხოლოდ ტელეარხს შეეძლო, ახლა კი ამის შანსი მიეცა სტუდიას და ინდივიდუალურად ჟურნალისტსაც. ნომინაციების სიას დაემატა: საუკეთესო ეკონომიკური პროგრამა, საუკეთესო რადიო დისკ-ჯოკეი, საუკეთესო მუსიკალური გადაცემა. აგრეთვე, სიახლეს წარმოადგენს ყველაზე პოპულარული ავტორის გადაცემის და მაყურებელთა სიმპათიის სპეციალური პრიზი. ორგანიზატორების ტრადიციული სპეციალური პრიზები გადაეცემათ ტელევიზიის თანამშრომლებს. საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დააწესა სპეციალური „პრეზიდენტის პრიზი" — 10 000 ლარის ოდენობით. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ისრაელის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტელეარხების წამყვანი ჟურნალისტები. ბატონმა ზაზა შენგელიამ ფესტივალის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

ფესტივალის ორგანიზატორებს სურთ, ფესტივალი ტელევიზიის თანამშრომელთათვის სოციალურ ფონდად აქცეს, რაც ითვალისწინებს ქართველი ჟურნალისტების უცხოეთში სტაჟირებაზე გაგზავნას, შეეხებოდა ხელს. აგრეთვე, დაგეგმილია ტელეპროდუქციის და აპარატურის ბაზრობების მოწყობა. ზაზა შენგელიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „გენერალურ სპონსორ „ჯენტთან" ერთად ფესტივალს, ამჯერად, ქართველი ბიზნესმენები და ორგანიზატორები უფინანსებენ. კერძოდ:

1.ზურაბ ჭიჭმალაძე — ფირმა „ამება"-ს დირექტორი;

2.თამაზ ცინცაძე — ფირმა „ოქსინო"-ს დირექტორი;

3.კოტე დავითიძე — ავიაკომპანია „აერ ჯორჯია";

4.ტარიელ ბოჭორიშვილი — კონცენტრატების ქარხნის დირექტორი;

5.მამუკა ლობჟანიძე — „მეგაკომი";

6.იგორ ბერაძე — თამბაქოს ფაბრიკა „ქართლი"-ს დირექტორი;

7.დემურ ცქიტიშვილი — თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი;

8.დავით საგანელიძე — კორპორაცია „GHF"-ის პრეზიდენტი;

9.ჯემალ კბილაშვილი — „თბილკონდიტერი"-ს დირექტორი;

10.დავით დათოშვილი — ს/ს „დერიტი"-ს დირექტორი;

11.დავით ახვლედიანი — „ექსპრო ჯორჯია"-ს დირექტორი;

12.დავით გამყრელიძე — სადაზღვევო კომპანია „ალდაგი"-ს პრეზიდენტი;

13.იაკობ აიდოგანი;

14.დათო მეტრეველი.

ფესტივალ „მანა — 95"-ის ჟიურის წევრები ადრე მხოლოდ ტელევიზიის მუშაკები იყვნენ. ახლა კი ჟიური შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა:

1.მერაბ კოკოჩაშვილი — თავმჯდომარე, კომპანია „ქართული ტელეფილმი"-ს სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, რეჟისორი;

2.გოგა პალანდაძე — საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი;

3.რუსუდან ფეტვიაშვილი — მხატვარი;

4.ნატო მურვანიძე — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი;

5.ეკა მამალაძე — მომღერალი;

6.ვასილ მაღლაფერიძე — გაზეთ „კავკასიონის" რედაქტორ-გამომცემელი;

7.არჩილ შუბაშვილი — კინოკრიტიკოსი;

8.ნანა ჯაფარიძე — წარმომადგენელი პირველი არხიდან;

9.ოთარ ბაქრაძე — წარმომადგენელი მეორე არხიდან.

პირველი აგვისტოდან ჟიური მუშაობას შეუდგება, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში ნომინანტები მაყურებლის წინაშე ტელევიზიის პირველი არხით წარდგებიან. 8 ნოემბერს ფილარმონიაში გაიმართება ფესტივალის დახურვის ცერემონიალი, რომელზეც გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემათ, ხოლო „გრან-პრის" ლაურეატი პრიზთან ერთად ფულად პრემიას — 5 000 ლარს მიიღებს. რეჟისორი გოჩა კაპანაძე და მხატვარი თამარ ფოცხიშვილი ფირმა „მაგისთან" ერთად ფესტივალის ესთეტიკურ მხარეზე იზრუნებენ.

პრესკონფერენციის დასასრულს, ბატონმა ზაზა შენგელიამ უპასუხა ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომელთა შორის ყველაზე საინტერესო იყო ტელეარხ „რუსთავი 2"-თან დაკავშირებული შეკითხვა: მიიღებს თუ არა ეს ტელეარხი ფესტივალში მონაწილეობას?

„როგორც ჩემთვის ცნობილია, „რუსთავი 2" აპირებს ფესტივალში მონაწილეობას", — განაცხადა ბატონმა ზაზა შენგელიამ. ამასთან ერთად, ფესტივალის ორგანიზატორთა საუბარში ამ არხის მიმართ სიმპათია იგრძნობოდა, აღინიშნა, რომ „რუსთავი-2" სწორედ „მანას" მეშვეობით გაიცნო ფართო საზოგადოებამ.

დაბოლოს, მკითხველს, ალბათ, აინტერესებს ფესტივალის ბილეთის ღირებულება. სამწუხაროდ, ამ ინტერესს სრულად ვერ დავაკმაყოფილებთ — ფასი ჯერ განსაზღვრული არ არის. თუმცა, ბატონმა ზაზა შენგელიამ განაცხადა: ფესტივალის მოწყობა იმდენად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომ ბილეთი იაფი ვერანაირად ვერ იქნებაო.

**თამთა თურმანიძე**

რუსეთი

# სენსაციური განცხადება



სენსაციური განცხადება გააკეთა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ილიუხინმა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში, ოფიციალური მინსკი რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს ერთიან „ეროვნული ინტერესების ზონად" გამოაცხადებს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ყველანაირად შეუშლის ხელს ორ სლავურ სახელმწიფოსთან რუსეთის ინტეგრაციას. ილიუხინის აზრით, ამ განზრახვის პიკი კი ის პროვოკაციული ღონისძიებებია, რომლებიც პრეზიდენტ ლუკაშენკოს დამხობას ისახავს მიზნად.

ილიუხინმა ისიც აღნიშნა, რომ დაგეგმილია ბელარუსის ეროვნული მოძრაობის, კერძოდ, ქვეყნის სახალხო ფრონტის ერთი ან ორი ლიდერის მკვლელობა. შემდეგ კი ამ მკვლელობების ინსპირატორად და ორგანიზატორად ალექსანდრე ლუკაშენკო გამოცხადდება.

ბუნებრივია, ასეთ ღია და ხმამაღალ განცხადებას ოპერატიულად გამოეხმაურა აშშ სადაზვერვო სამმართველოს შტაბბინა, რომლის წარმომადგენელიც შემდეგი სახის მოკლე განცხადება გაავრცელა: „მტკიცება, თითქოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აპირებდეს ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს ხელისუფლებისგან ჩამოცილებას, აბსურდია". თავის მხრივ, აშშ-ს საელჩოს დიპლომატმა მოსკოვში განაცხადა, რომ ვიქტორ ილიუხინის ბრალდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ხაზი გაუსვა შეერთებული შტატებისა და ბელარუსის მეგობრულ ურთიერთობებს.

ვიქტორ ილიუხინის სკანდალურმა განცხადებამ თავად ბელარუსში, ბუნებრივია, მწვავე რეაქცია გამოიწვია. რესპუბლიკის კომუნისტების ლიდერმა სერგეი კალიაგინმა განაცხადა, რომ ილიუხინის საშუალებით, ლუკაშენკოს უკან მდგარ ძალებს სურთ, ქვეყანაში პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვიონ. მისივე თქმით, ლუკაშენკოს ხელისუფლებიდან წასვლა ინტრიგების მეშვეობით კი არა, კანონიერი გზით — იმპიჩმენტით უნდა მოხდეს.

აღნიშნული განცხადების შეფასებისგან ბელარუსის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ თავი შეიკავა და მხოლოდ შენიშნა, რომ მისთვის არაა ცნობილი, თუ რა წყაროებით სარგებლობდა რუსი პარლამენტარი.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატის პირველმა ვიცესპიკერმა ალექსანდრე შოხინმა კი ილიუხინის მაგივრად მოიხადა ბოდიში.

ამ განცხადებაზე თავად ლუკაშენკოს რეაქცია, ჯერჯერობით, უცნობია.

## საშიში მგზავრი

დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება — ტროტილი აღმოაჩნდა იმ ავტობუსის ერთ-ერთ მგზავრს, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან ნოვგოროდში მიემართებოდა. იტარ-ტასის ცნობით, დაკავებულია ნოვგოროდის 23 წლის მცხოვრები, რომლის გვარიც, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ დასახელებულა. მიუხედავად დაკავებულის მტკიცებისა, რომ „სახიკვდილო ტვირთი" მასთან შემთხვევით აღმოჩნდა, უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები რეალობად მიიჩნევენ დანაშაულებრივი ჯგუფის არსებობას, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებების გასაღებით არის დაკავებული.

SOS!!!

## საშიში ტენდენცია

საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობა — ყოველი ათასი ახალშობილიდან 17,8 პროცენტი იღუპება. ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატება საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

BGI


1997 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება ამერიკაში ოჯახთან ერთად კანონიერი ცხოვრების უფლების ანკეტების ლატარია.

გათამაშებაში გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაემგზავრონ შეერთებულ შტატებში და მიიღონ სახელმწიფო დახმარება.

მათ, ვინც 1 სექტემბრამდე წარადგენს მოთხოვნას, შესაბამისად გაეგზავნებათ ანკეტები და გარანტირებული ექნებათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა.

ლატარიის ფასია 18 აშშ დოლარი.

ჩვენი მისამართია: P.O.BOX 4309. PANORAMA CITY CA 91412, USA. ფაქსი: 1-818-505-9291.


ჩემი აზრით




დიანა გაბროშვილი


# ცხოვრება ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის — ავი დედინაცვალი

პრობლემაზე მუშაობისას, რომელზეც დღეს მინდა გესაუბროთ, ორი საქართველო აღმოვაჩინე: ერთი, „საქრისტიანო საქართველო", სადაც ლეკვიც კი არ მომკვდარა შიმშილით, ხოლო მეორე ის, რომელშიც ადამიანი სიცივის, ტკივილის და ყოველგვარი უსამართლობისთვის აღმოჩნდა განწირული. ეს ორი საქართველო, ანუ ორი განსხვავებული ცხოვრების წესი, ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული და დაპირისპირებულია.

დღეს საქართველოში უამრავი მათხოვარია...

ეს ის ხალხია, რომლებსაც უკიდურესმა გაჭირვებამ აიძულა ქუჩაში ხელგაწვდილი დგომა, ვინ იცის, მათ გარდა რამდენია ასეთივე მათხოვრულ მდგომარეობაში, მაგრამ სიამაყის გამო სახლის ზღურბლისთვის ვერ გადმოუბიჯებია და ხშირად ჩონჩხადქცეულ გვამად მიდის სასაფლაოზე...

დიახ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, დღეს საქართველოში ბევრი შიმშილობს, ამგვარი ვითარება, ერთგვარად, ბუნებრივიცაა ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე. მაგრამ როგორ ავუხსნათ ყოველივე ეს ბავშვს, რომელსაც მოაკლდა ჩაცმული, სათამაშო, გართობა? და ბოლოს, რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერ საზრდოზე, მოაკლდა საჭმელი?!

დღეს უკვე გვაქვს იმის თქმის საბაბი, რომ ჩვენს ირგვლივ მოფუსფუსე გოგო-ბიჭებიდან ყოველი მეოთხე (მეხამე თუ არა) შიმშილობის პირასაა მისული. ვგებ ჩემი არა, არც თქვენი, ძვირფასო მკითხველო. მაგრამ შიმშილობს ჩვენი მეზობლის, ახლობლის, ნაცნობის ბავშვი! რაიმე ხელჩასაჭიდად იმედიანი, თითქოს არც ახლო მომავალში ჩანს.

შეუძლებელია, ყურადღება არ მიექცეს ერთ ფაქტს: მათხოვრების მომრავლებასთან დაკავშირებით, სადღაც დაიკარგა პროფესიონალიზმი. არა, ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ყველა „არაკვალიფიცირებულია" ამ საქმეში, მაგრამ უმწეოდ თავდახრილი, სირცხვილისგან მობუზული ადამიანები ხმასაც არ იღებენ, სხვებსავით გაბურძგნულ-ჩამოფლეთილები არ სხედან, ხმამაღლა არ მოსთქვამენ. ასეთები წინათ ნაკლებად გვხვდებოდნენ.

თავმოყვარე და პატიოსანი ბევრია მათ შორის. ზოგიერთი მათგანი, ალბათ, თავსაც არ იცოცხლებდა, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ისინი მარტო არ არიან. მათ ზურგს უკან ზოგჯერ მთელი ოჯახი დგას.

„რაც ვერ შეძელი, გეპატიება, რაც არ ისურვე — არასდროს". ისურვეს, მაგრამ ვერ შეძლეს. ვერც შრომის ბირჟამ და ვერც ახლობლებმა ვერ უშველეს მათ გასაჭირს. ცდება ის, ვინც ამ ხალხის მიმართ გესლიან სიტყვებს არ იშურებს: „წავიდეს ბატონო, იმუშაოს, ხელი გაანძრიოს, აბა, როგორ უნდა?"

სად წავიდეს? ვისთან? იქნებ, თქვენა ხართ ის პიროვნება, ვისთანაც მას მოწყალება ეგზავნება? მიპასუხეთ, რატომ გალიზიანებთ ცხოვრებისგან გარიყული, იმედდაკარგული, მშიერი და უსახლკარო კაცი? ნუთუ არასდროს წარმოგიდგენიათ მის ადგილას თავი?

არა? შემცდარხართ!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ცხოვრება ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის — ავი დედინაცვალი". დანამდვილებით არც ის ვიცით, ხვალ თუ ზეგ რას გვიმზადებს ბედისწერა.

ახლა მათხოვრების მეორე კატეგორიაზე მოგახსენებთ.

ეს ის ხალხი გახლავთ, რომელთაც „სულელი" და „მდიდარი" ქართველების კეთილშობილების იმედით მოხწყურებიათ გამდიდრება. გახსოვთ, ალბათ, წლების წინ ჭორად გავრცელებული ამბავი რუს ლოთზე რომელიც წერილს გზავნის სამშობლოში მეგობართან და ურჩევს, საქართველოში ჩამოვიდეს, რადგანაც აქ „მუშაობა" გაცილებით სარფიანია. კარგი იქნებოდა, ეს „ინვალიდი" მათხოვრები, უნიჭო მსახიობობითა და კომპრაჩიკოსობით რომ ირჩენენ თავს, იქითვე გაგვეგზავნა, საიდანაც გვესტუმრნენ.

იქნებ, ზოგიერთს ჩემი ტონი ზედმეტად მკაცრი და არაქრისტიანული მოეჩვენოს, მაგრამ ასეთ გულჩვილებს შევახსენებ: დედა, რომელიც თითისტოლა ბავშვს იმისთვის, რომ 10-15 წლის შემდეგ მისგან კარგი მათხოვარი დააყენოს, ფეხს ან ხელს საგანგებო რგოლში ჩაუსვამს და „ინვალიდად" აქცევს, გასახლების კი არა, უარესის ღირსია. ეს არის მხოლოდ, დღეს ჩვენი საკუთარი საწყალობელიც გვეყოფის და ამ საქველმოქმედო ჭირისთვის არ გვცალია.

სიონის ტაძართან თუ კაშკაში ქართველი მაწანწალები კი, რომლებიც ომმა, ათასგვარმა უბედურებამ უკიდურესი გაჭირვების პირას მიიყვანა, ერთიღა დაგვრჩენია — პატიება ვთხოვოთ, რადგან უფლება არ გვაქვს სათანადოდ მოვუაროთ. ხოლო თუ რაიმეთი შევეწევით და ხელს გავუმართავთ, ამით იქნებ, ღმერთმა ჩვენივე ცოდვები შეგვინდოს.

და ასე იქნება მანამ, ვიდრე ჩვენში ძე კაცის ნიღბებით მგლები იმოგზაურებენ, ვიდრე ვერ გავერკვევით — მაინც როგორები ვართ ადამიანები — სიხარბე გვჭირს თუ სიქველე?

ნატო

## ფლოტი „ვარჯიშობს“



როგორც ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საწვრთნელი პროგრამა, რომელსაც იგი შავი ზღვის აკვატორიაში ატარებს, უდიდესია ამ რეგიონში. რუმინეთს აქვს პრეტენზია, რომ ამ საზღვაო ვარჯიშებში იგი განსაკუთრებით გამოირჩევა მომზადების დონით და ამდენად, ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი პირველი კანდიდატია.

გასულ კვირას, ვაშინგტონში გამართული საუბრის შემდგომ, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადეს, რომ მისი ქვეყანა, შესაძლოა, მართლაც მოხვდეს ნატოს გაფართოების პროცესის წინა პლანზე.

საწვრთნელ პროგრამაში ნატოს წევრი 18 ქვეყნის 30-მდე სამხედრო გემი იღებს მონაწილეობას, ბულგარეთის, უკრაინისა და რუმინეთის საზღვაო ხომალდებთან ერთად — ოპერაციის მიზანია, მოაწესრიგოს და მობილიზაცია გაუკეთოს ორგანიზაციის ე.წ. ერთობლივ ფლოტს. ეს რაც შეეხება სამხედრო მიზანს, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს პროგრამა ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების პროფილის გამოკვეთას ემსახურება.

აშშ

## შავი ყუთიც უძლური აღმოჩნდა

ამერიკულმა ავიალაინერმა „ბოინგ-747“-მა კატასტროფა 17 ივლისს განიცადა. შავი ყუთების გაშიფვრამ კი ჯერაც ვერ გამოავლინა, რა იყო კატასტროფის მიზეზი. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თავდაპირველად ფრენა ნორმალურად მიმდინარეობდა, 11 წუთის შემდეგ კი, როგორც გაირკვა, ვითარება შეიცვალა, რადგან შავი ყუთის კასეტაზე ძლიერი ხმაურია დაფიქსირებული.

ალბანეთი

## "ამას დახვრეტა, იმას ჩამოხრჩობა“...

ალბანეთის უზენაესმა სასამართლომ ყოფილ კომუნისტთა სამ ლიდერს, რომლებიც ხალხის მასობრივ მკვლელობებში დაადანაშაულეს, განაჩენი გამოუტანა. ორ მათგანს, რომელთაც გენოციდში აქტიური მონაწილეობა დაუმტკიცდათ, 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ხოლო მესამეს — სამუდამო პატიმრობა.

ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს კი, რომელიც შემდგომ ვიცეპრემიერის მოვალეობასაც ასრულებდა, ხუთი წლით პატიმრობა მიესაჯა და საპატიმროს საავადმყოფოდან ციხეში გადაიყვანეს. რაც შეეხება ხუთ ექსკომუნისტს, რომელთაც მაისის საყოველთაო არჩევნებში არეულობის ორგანიზება ედებოდათ ბრალი, სასამართლომ ვერდიქტად სასჯელის უმაღლესი ზომა დაუდგინა.

ახლო აღმოსავლეთი

## კვლავ ტერორი, კვლავ ბლოკადა...



დამასკოში შედგა მოლაპარაკება სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადსა და პალესტინის ავტონომიის ლიდერ იასირ არაფატს შორის. როგორც ცნობილია, პალესტინა-სირიის ურთიერთობები გართულდა მას შემდეგ, რაც 1993 წელს ხელი მოეწერა ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც სირიის მხარემ თავის დროზე მძაფრად გააკრიტიკა. არაფატი ცდილობს მიაღწიოს არაბი მეზობლების მხარდაჭერას იმაში, რომ დაარწმუნოს ნათანიაჰუს (ისრაელის) მთავრობა მისი წინამორბედის მიერ ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმების პუნქტების შესრულების აუცილებლობაში.



ამასობაში კი გუშინ ღამეს, მდინარე იორდანას დასავლეთ სანაპიროზე უცნობებმა დაცხრილეს ისრაელის სანომრენიშნიანი მანქანები, რის შედეგადაც მოკლულია ორი ადამიანი, ერთი კი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ამასთან დაკავშირებით, გუშინდელი დღიდან ისრაელის მთავრობამ კვლავ აღადგინა პალესტინის ტერიტორიის სრული ბლოკადა.

ესპანეთი

## ეტა უკან არ იხევს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთმა და ესპანეთმა ბასკთა სეპარატისტული დაჯგუფება ეტას წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ფრონტი გახსნეს. რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის პოლიციამ ესპანეთის ხელისუფალთ ეტას ერთ-ერთი ლიდერი — ედუარდო ტენეირა გადასცა.

ხუთშაბათს პარიზში შედგა ესპანეთისა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა ამ ორი ქვეყნის სამართალდამცავი ძალების თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივები. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაიმე მარია ორეხამ განაცხადა, რომ საფრანგეთმა ბასკთა სეპარატისტული დაჯგუფების კიდევ სამი წევრი უნდა გადასცეს ესპანეთს.

თუმცა, საფრანგეთში მცხოვრები ეტას მხარდამჭერნი აცხადებენ, რომ ბასკთა დაჯგუფების წევრთა დევნა ამ ქვეყანაში უკანონო და უსამართლოა, ვინაიდან ეს ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაციაა და თავისუფლად საქმიანობის უფლება აქვს.

ესპანეთ-საფრანგეთის ერთობლივი ოპერაციის პარალელურად, ესპანეთში გრძელდება მკვლელობათა სერიალი. ორი დღის წინ ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ერთ-ერთი ორგანიზაციის მენეჯერი დაცხრილეს. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ჯერჯერობით, უცნობია, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას მკვლელობაზე. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ბასკთა სეპარატისტულ დაჯგუფება ეტას, რომელიც, როგორც ცნობილი გახდა, ემუქრებოდა მენეჯერს მათთვის ე.წ. „რევოლუციური გადასახადების“ არგადახდის გამო, ლომის წილი უნდა მიუძღოდეს ამ მკვლელობაში.

ბურუნდი

## ამერიკელები გმობენ ძალადობას

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო ბურუნდიში სამხედროების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ქვეყნის პრეზიდენტის დაპატიმრების ფაქტი და მომხდარი შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალება.

დეპარტამენტის წარმომადგენლის ნიკოლას ბერნსის განცხადებით, ოფიციალური ვაშინგტონი მხარს უჭერს ბურუნდის პრეზიდენტს. აშშ-ს მხარე მიიჩნევს, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს უფლება გადაწყვიტოს, შევიდეს თუ არა ბურუნდიში გაეროს ჯარები.

# სანდრო კავსაძე პოლიტიკურ პარტიას აყალიბებს

26 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე უკვე ყოფილმა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ და ამჟამად პარლამენტისადმი შეურიგებლად განწყობილმა სანდრო კავსაძემ განაცხადა, რომ 25 ივნისის სესიაზე პარლამენტმა სახალხო დამცველის პოსტზე მისი სახით პრეზიდენტის მიერ წაყენებულ კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა. სანდრო კავსაძის კანდიდატურას „მოქალაქეთა კავშირის“ და აფხაზეთის დეპუტაციამ ხმა არ მისცა. მის დასამტკიცებლად 118 დეპუტატის დადებითი ხმა იყო საჭირო, რეალურად კი 115 მიიღო; განმეორებითი განხილვისას კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო სანდრო კავსაძეს დადებითი ხმები კიდევ უფრო შეუმცირდა, რაც ამ უკანასკნელს მეტად საეჭვოდ ეჩვენება.

ბატონ სანდროს, ძირითადად სამი სახის ბრალდება წაუყენეს: 1. 1992-94 წლებში ვერ მოახერხა ის, რომ გაეროს ეღიარებინა აფხაზი სეპარატისტების მიერ აფხაზეთში ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა; 2. 1994 წლის 4 აპრილს ხელი მოაწერა „საერთაშორისო ხელშეკრულებას“ რითაც, ოპონენტთა აზრით, აღიარა საქართველოს კონფედერაციული მოწყობა; 3. წამგებიანი პირობებით ხელი მოაწერა ოთხმხრივ ხელშეკრულებას ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ.

ბატონმა სანდრომ აღნიშნული ბრალდებების გასაბათილებლად ასეთი პასუხი ჩამოაყალიბა: „იმის მტკიცება, თითქოს საქართველოში (ან მსოფლიოში) 1992-94 წლებში მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც მიაღწევდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ან რომელიმე მის სტრუქტურას ეღიარებინა ქართველთა გენოციდი ან ეთნიკური წმენდა, არის აბსურდი და თვალთმაქცობა გამოყენებული შანტაჟისთვის. მათ ავიწყდებათ, რომ გაეროში ვეტოს ინსტიტუტი მოქმედებს“.

სხვა ბრალდებებთან დაკავშირებით ბატონი სანდრო მზად არის საჯარო დებატებისთვის ნებისმიერ ოპონენტთან.

ბატონი სანდროს თქმით, მის წინააღმდეგ გარკვეული ძალები ბოლო შვიდი თვის განმავლობაში მიმართავდნენ შანტაჟს, რისი შედეგიც იყო 25 ივნისის სესიაზე სენსაციური აღმოჩენის გაკეთება: აფხაზეთის კონფლიქტის მთავარ დამნაშავედ სანდრო კავსაძე წარმოაჩინეს. „პარლამენტმა წინასწარ დადგმული სპექტაკლი გაითამაშა, რაც, ჩემი აზრით, მეტად საშიში ტენდენციაა“, — აღნიშნა მან.

სანდრო კავსაძის აზრით, სახალხო დამცველი პოლიტიკურად ნეიტრალური და დამოუკიდებელი პიროვნება უნდა იყოს. მისი თქმით, ვინც არ უნდა მოვიდეს სახალხო დამცველად, საჭირო სტრუქტურებთან კავშირების დამყარებამდე და მათი მოქმედების მექანიზმის გარკვევამდე, მეტად გაუჭირდება. განსხვავება ის იქნება, რომ თუ ამ პოსტზე პოლიტიკური ოპონენტი მოვა, ეს დემოკრატიული პროცესების წინსვლას შეუწყობს ხელს, განსხვავებით დისიდენტისგან, რომლის დროსაც საკითხები ვერ გადაწყდება.

ბატონმა სანდრომ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში იგი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას აპირებს ლიბერალური პრინციპების საფუძველზე და ამგვარად შეეცდება პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას. ის კი, ჯერჯერობით, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს, რადგან იცის, თუ ვინ გამდიდრდა აფხაზეთის ომისა და უკანონო ბიზნესის შედეგად. კონკრეტული პირების დასახელებას ბატონი სანდრო არ ჩქარობს, ეტყობა, ესეც პოლიტიკური ნაბიჯია.

ბესიკ პურტანიძე


საუკეთესო სახლები!
საუკეთესო უბანში!
შეძლებული ხალხის შესაფერისი!



ქალაქის ცენტრში, ვაკეში, შენდება “უბანი“, რომელიც იყოფა 4 საცხოვრებელ კვარტლად, ყოველი კვარტალი შედგება 8 ინდივიდუალური სახლისგან

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ წილობრივი მონაწილეობა მშენებლობაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, სასურველი სახლი გაცილებით იაფად შეიძინონ.

იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ!

მსურველები დაგვიკავშირდით 1 სექტემბრამდე:

ჩვენი ტელეფონებია: 98-78-93; 98-78-37; 22-05-15; 22-02-14;

# ოლიმპიადის დღიური

## …არუმატებლობანი გრძელდება

…ოლიმპიადის მორიგი ორი … ქართველი სპორტსმენების- … კვლავ უშედლოდ დამთავ- … და 26 ივლისისთვის ჩვენი … ლეგაციის ანგარიშზე ერთა- … ერთი, სოსო ლიპარტელიანის … მოპოვებული ბრინჯაოს … ლია. ოთხშაბათს წარუმა- … ლად იასპარეზა 71 კგ. წო- … კატეგორიის ძიუდოისტმა, … უმელმა ვლადიმერ დგებუა- … — მან, მართალია, პირველი … შეხვედრა მოიგო, მაგრამ … ჯერ მონღოლ ფალავა- … დამარცხდა, შემდეგ მასპი- … წარმომადგენელ ჯიმი … რისთან და ასპარეზობას გა- … თიშა. ასევე უშედლოდ დარ- … მეორე დღეს 65 კგ. წონით … გორიაში მოასპარეზე გიო- … რევაზიშვილი. ჩვენი ფალა- … ვერაფერს გახდა კუბელ … ნანდესთან ორთაბრძოლაში … ნმინდად დამარცხდა. თავი- … ად ნაგება არ არის დიდი … ურება და ყველაზე სახე- … ანი სპორტსმენიც შეიძლება … ჩეს უშედლოდ, ხანყენი ისაა, … ჩვენი მოჭიდავეები ყველა- … უცნობ მეტოქეებთან და- … ცხდნენ, რომელთაც სათვა- … არც ოლიმპიადამდე აგ- … ვინმე და, ალბათ, არც … გაუწევენ დიდ ანგარიშს, … სამთავან მხოლოდ პედრომ … ბრინჯაოს მედლის მო- … და ისიც, ალბათ, იმის … რობით, რომ მასპინძელთა … მომადგენელი იყო. არადა, … ძიუდოისტებზე ვამყა- … ყველაზე დიდ იმედებს, … ლებიც სხვადასხვა მიზეზთა … ჯერჯერობით არ გვიმა- … ლდა.

… წარუმატებელი გამოდგა … ვარძელაშვილის … დებიუტი ოლიმპიურ რინგზე. იგი ბელორუს მოკრი- ვესთან დამარცხდა, თუმცა, მსა- ჯების გადაწყვეტილება ცოტა არ იყოს საეჭვო ჩანდა, რასაც ამერიკელი მაყურებლების რეა- ქციაც ადასტურებდა. სამაგიე- როდ, მეორე შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა გი- ორგი კანდელაკი. აქ მას ძალზე მრისხანე მეტოქე ელოდება — უძლეველი კუბელი ჩემპიონი ფელიქს სავონი.

აფროსანთა შეჯიბრში უკვე 4 რბოლა გაიმართა და ჯერჯე- რობით გურამ ბიგანიშვილი — ვლადიმერ გრუზდევის დუეტი საპრიზო ადგილებისგან შორს არის.

გუშინ გვიან ღამით უნდა ესასპარეზა სამ ქართველ სპორ- ტსმენს და იმედია, რომ ჩვენი დელეგაციის მონაგარი გაიზრ- დებოდა — ძიუდოისტთა ტურ- ნირის ბოლო დღეს არენაზე გამოვიდოდა ევროპის ჩემპიონი, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ფა- ვორიტი გიორგი ვაზაგაშვილი, ნინო სალუქვაძე იასპარეზებდა სპორტული პისტოლეტით სრო- ლაში, ხოლო ძალოსანთა ფიცა- რნაგზე — 83 კგ. წონითი კატეგორიის ათლეტი. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ბიძინა მიქიაშვილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სპორტსმენები წარმა- ტებით იასპარეზებდნენ, მით უმეტეს, რომ მათ რეალურად შეეძლოთ ყველაზე მაღალი ად- გილებისთვის ბრძოლა. ისე კი ოლიმპიადა ეკვატორს მიუახ- ლოვდა და ნამდვილად არ გვა- კმაყოფილებს ის ერთადერთი ბრინჯაოს მედალი, საქართვე- ლოს დელეგაციის ანგარიშზე რომ არის.

გიორგი ბერიკაშვილი

## …ოლიმპიადის საერთო ცხრილი (მ…ოწინავე ოცეული) 26 ივლისისთვის

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| …ეთი | 13 | 7 | 5 | 25 |
| … | 12 | 16 | 4 | 32 |
| …რანგეთი | 7 | 4 | 7 | 18 |
| …ეთი | 5 | 5 | 6 | 16 |
| …ლია | 5 | 4 | 4 | 13 |
| …ლონეთი | 5 | 3 | 2 | 10 |
| …ანია | 3 | 8 | 11 | 22 |
| … | 3 | 4 | 5 | 12 |
| …რ. კორეა | 3 | 4 | 2 | 9 |
| …სტრალია | 3 | 2 | 7 | 12 |
| …ნეთი | 3 | 2 | 5 | 10 |
| …ძეთი | 3 | — | 1 | 4 |
| …ანდია | 3 | — | — | 3 |
| …ნია | 2 | 3 | 2 | 7 |
| …ბა | 2 | 1 | 2 | 5 |
| …ინა | 2 | — | 2 | 4 |
| …ლანდია | 2 | — | 1 | 3 |
| …რეთ …რეა | 2 | — | 1 | 3 |
| …ნეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| …ნეთი | 1 | 1 | 1 | 3 |


…ს «კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია»

**იწვევს სამუშაოდ**

**ფინანსურ მენეჯერს.**

…აუცილებელია: ინგლისური ენის ცოდნა, მუშაობის გამოცდილება.

სამუშაოდ მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეები.

მსურველებმა მიაკითხეთ წერეთლის გამზ. № 114

(შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ქარხანა)


## 24 ივლისი, ოთხშაბათი

მოცურავეთა ტურნირზე მე- დლების მორიგი ოთხი კომპლექ- ტი გათამაშდა. მესამე ოქროს მედალი მოიპოვა ირლანდიელმა ქალმა მიშელ სმითმა — ამჯერად მან 200 მეტრზე კომპლექსური სტილით ცურვა მოიგო. მეორე გამარჯვება მოიპოვა რუსმა დე- ნის პანკრატიევმა — მან 100 მ-ზე ბატერფლაის სტილით ცუ- რვაში ახალი მსოფლიო რეკორ- დით — 52,27 წმ იმარჯვა. 200



მ-ზე ბრასით ვაჟთა შორის პირ- ველი-მეორე ადგილები უნგრელე- ბმა სოჩამ და გუტლერმა დაიკა- ვეს, ხოლო 400 მ-ზე კომბინირე- ბულ ეტსაფეტაში ყველას აჯობე ამერიკელმა ქალებმა.

სპორტულ ტანვარჯიშში ვა- ჟთა შორის მრავალჭიდში ოლი- მპიური ჩემპიონის წოდება მოიპო- ვა ჩინელმა ლი სიაო შანმა, რომელმაც მხოლოდ უკანასკნელ ძარაღზე გაუსწრო რუს ნემოვს, სამაგიეროდ, რუსები კვლავ წარ- მატებით ასპარეზობენ ფარიკაო- ბაში — მორიგი ოქრო მათ ხმლით მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრში მოიპოვეს, როდესაც ფინალში აშკარა უპირატესობით აჯობეს უნგრელებს. რაც შეეხება დაშნით მოფარიკავე ქალთა გუნ- დურ პირველობას, აქ ფრანგებმა ფინალში იტალიელები დაამარც- ხეს.

მედლების მორიგი ორი კომ- პლექტი გათამაშდა ძიუდოში. ქა- ლთა შორის 56 კგ წონით კატე- გორიაში პირველობა მოიპოვა კუბელმა გონსალესმა. ფინალში მან სამხრეთ კორეელი იუნ ცე იონგი დაამარცხა. ვაჟთა შორის 71 კგ-მდე წონაში იაპონელმა კეინძი ნაკამურამ უკანასკნელ წა- მებზე გამოგლიჯა გამარჯვება კიდევ ერთ სამხრეთ კორეელ კვაკ ე სუნს და ძიუდოს სამშობლოს ვაჟთა შორის პირველი ოქროს მედალი მოუტანა.

ცხენოსნებმა დაამთავრეს მა- რათონული შეჯიბრი სამჭიდში — ავსტრალიელებმა შეინარჩუნეს ოლიმპიური ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე მასპინძლები გა- ვიდნენ, ხოლო მესამეზე ახალზე- ლანდიელები. გრძელდება ძალო- სანთა ტურნირი — 76 კგ-მდე წონით კატეგორიაში კუბელმა პაბლო დარამ საკმაოდ იოლად შეძლო ბულგარელი იოტო იოტო- კის დამარცხება და შემდეგ მსო- ფლიო რეკორდსაც შეუტია, მაგ- რამ ამაოდ.

მედლების პირველი კომპლე- ქტი გათამაშდა ოლიმპიურ ველო- ტრეკზე. 100 მ-ზე ადგილიდან გიტი მოიგო ფრანგმა რუსომ. მოულოდნელი მარცხი შეემთხვა მთავარ ფავორიტს, ავსტრალიელ კელის, რომელსაც დისტანციის პირველსავე მეტრებზე ფეხი პედ- ლის სამაგრიდან ამოუვარდა და რბოლა შეწყვიტა.

ტყვიის სროლაში სტანდარ- ტული შაშხანით ქალთა შორის იმარჯვა იუგოსლაველმა ივოსევ- მა და თამაშების პირველ დღეს მოპოვებულ ბრინჯაოს ოქროს მედალიც დაუმატა.

## 25 ივლისი, ხუთშაბათი

ამ დღეს, როგორც იქნა მო- იპოვეს პირველი ოქროს მედლები გერმანელმა სპორტსმენებმა, რო- მლებიც ჩვეფო არ იყოს, ჯერჯე- რობით საკმაოდ წარუმატებლად ასპარეზობდნენ. ჩქაროსნული პი- სტოლეტით სროლაში იმარჯვა კეელსმა, ნებისმიერი შაშხანით წოლელა სროლაში შუმენმა, ხო- ლო მათმა თანამემამულემ კელმა- სმა 65 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტთა ტურნირის ფინალ- ში დაამარცხა იაპონელი იუკო- მასო ნაკამურა, შარშან მოპოვე- ბულ მსოფლიოს ჩემპიონობას ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც დაამატა და არც მისცა ნაკამუ- რების საგვარეულოს იმის საშუ- ალება, რომ ამ ოლიმპიადაზე მეორე ოქროს მედალი მოეპოვე- ბინათ (შეგახსენებთ, რომ წინა დღეს 71 კგ. წონაში იმარჯვა უმცროსმა ნაკამურამ — კეინძიმ). კვლავ წარმატებით ასპარეზობენ ფრანგი ძიუდოისტები — მორიგი ოქროს მედალი მათ ქალთა შო- რის მოიპოვეს 52 კგ. წონით კატეგორიაში.

უაღრესად საინტერესოდ მი- მდინარეობდა ტანმოვარჯიშე ქა- ლთა პირველობა მრავალჭიდში. ოქროს მედალს ერთმანეთს ეცი- ლებოდნენ რუმინელი, რუსი, ამე- რიკელი, უკრაინელი და ჩინელი ტანმოვარჯიშეები. ყველას უკრა- ინელმა პოდკოპაევამ აჯობა. ვე- რცხლი და ბრინჯაო რუმინელ სპორტსმენებს ხვდათ წილად.

მორიგი ოქროს მედალი მო- იპოვეს რუსმა მოფარიკავეებმა. ამჯერად მათ რაპირისტ ვაჟთა გუნდურ შეჯიბრში იმარჯვეს, ქა- ლთა ასპარეზობაში კი პირველები იტალიელები იყვნენ.

ოლიმპიურ ველოტრეკზე გა- თამაშდა მედლების მეორე კომპ- ლექტი. იტალიელმა ანდრეა კო- ლინელიმ 4 კმ-ზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში წინა დღეს მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 4.19,699, ხოლო შემდეგ ჩემპიონის წოდებაც მო- იპოვა. აღსანიშნავია ყოფილი რე- კორდსმენის, ბრიტანელი გრემ ობრის მარცხი — იგი მეოთხედ- ფინალშიც კი ვერ გავიდა.

დიდი წარმატებით ასპარეზო- ბენ უნგრელი მოცურავეები. ამ დღეს მათ მორიგი ორი ოქრო მოიპოვეს; ვაჟთა შორის 200 მ-ზე კომპლექსურ ცურვაში ატილა ჩე- ნემ დაამარცხა ფინელი მსოფლი- ოს რეკორდსმენი იანი სიევინენი. ჩენემ ახალი ოლიმპიური რეკო- რდი დაამყარა — 1.59.91. ქალთა შორის 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში იმარჯვა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავა- ლგზის ჩემპიონმა კრისტინა ეგე- რშეგიმ, რომელიც აქამდე ატლა- ნტაში წარუმატებლად ასპარეზო- ბდა. ქალთა ესტაფეტა 4X200 მ-ზე თავისუფალი სტილით მოი- გეს ამერიკელებმა.

დამთავრდა ფეხბურთელთა ჯგუფური ტურნირები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. ვაჟთა შორის „ა" ჯგუფში ორივე მატჩი ერთი ანგარიშით 1:1 დამთავრდა — აშშ-პორტუგალია და ტუნისი- არგენტინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

„ბ" ჯგუფში ფავორიტებმა, ესპანელებმა და ფრანგებმა მინი- მალური ანგარიშებით — 2:1 და 3:2 დაამარცხეს შესაბამისად სა- უდის არაბეთი და ავსტრალია.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| საუდარაბეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

„გ" ჯგუფში პრესტიჟის მა- ტჩი მოიგეს იტალიელებმა. მათ კორეა დაამარცხეს 2:1. აღსანიშ- ნავია, რომ იტალიელთაგან ოლი- მპიადაზე გატანილი ოთხივე „ინ- ტერის" თავდამსხმელის მარკო ბრანკას ანგარიშზეა. მექსიკამ და განამ ფრედ 1:1 ითამაშეს და ორივე მეოთხედფინალში გავიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| განა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 1 |

„დ" ჯგუფში ბრაზილიელებმა რონალდოს გოლით 1:0 სძლიეს ნიგერიელებს, ხოლო იაპონელებ- მა, მიუხედავად იმისა, რომ ორ- ჯერ აგებდნენ — 0:1 და 1:2, მაინც სძლიეს უნგრელებს 3:2 და შეიქმნა საინტერესო სიტუაცია — სამმა გუნდმა — ნიგერიამ, ბრაზილიამ და იაპონიამ 6-6 ქულა დააგროვეს. ადგილები გა- ნაწილდა ერთმანეთში ნათამაშები მატჩების მიხედვით — ნიგერიამ იაპონიას 2:0 სძლია, იაპონიამ ბრაზილიას 1:0, ხოლო ბრაზილი- ამ ნიგერიას 1:0. გამოვიდა, რომ ნიგერიას ჰქონდა 2:1, ბრაზილიას 1:1, ხოლო იაპონიას 1:2 და აზიელები ტურნირს გამოეთიშ- ნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 6 |

მეოთხედფინალში ითამაშე- ბენ: არგენტინა-ესპანეთი, საფრა- ნგეთი-პორტუგალია, მექსიკა- ბრაზილია, ნიგერია-განა.

ქალთა ფეხბურთში მესამე ტურში ასეთი შედეგები დაფიქ- სირდა: „ა" ჯგუფი — ბრაზილია- გერმანია 1:1, ნორვეგია-იაპონია 4:0. „ბ" ჯგუფი აშშ-ჩინეთი 0:0 დანია-შვედეთი 1:3. ნახევარფინა- ლებში ითამაშებენ: ჩინეთი-ბრა- ზილია და ნორვეგია-აშშ.

ხელბურთელ ვაჟთა ტურნირ- ზე გაიმართა მე-2 ტურის შეხვე- დრები, რის შემდეგაც „ა" ჯგუ- ფში ქულათა მაქსიმუმით ლიდე- რობენ მსოფლიოს ჩემპიონები — ფრანგები და ეგვიპტელები, გერ- მანელებსა და ესპანელებს თითო მოგება და წაგება აქვთ, ხოლო ალჟირმა და ბრაზილიამ ორ-ორი მატჩი წააგეს. „ბ" ჯგუფში ორ- ორი მოგება აქვთ რუსებს, შვე-



დებს და ხორვატებს, შესაბამისად ჯერ ქულა არა აქვთ შვეიცარი- ელებს, ამერიკელებს და ქუვეიტე- ლებს.

ფრენბურთელ ვაჟთა ასპარე- ზობაში მესამე ტურში შემდეგი შედეგები აღინიშნა: „ა" ჯგუფი იტალია-პოლანდია 3:0, იუგოს- ლავია-ტუნისი — 3:1, რუსეთი- კორეა 3:0. „ბ" ჯგუფი ბრაზი- ლია-პოლონეთი 3:0, კუბა-აშშ 3:2, არგენტინა-ბულგარეთი 3:1. ჯგუფებში დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა:

„ა" ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 3 | 3 |
| კორეა | 3 | 0 | 3 | 3 |

„ბ" ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კუბა | 3 | 3 | 0 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 5 |
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 5 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 0 - | 3 | 3 |

კალათბურთელ ქალთა ტურ- ნირზე დაუმარცხებლად ასპარე- ზობენ „ა" ჯგუფში ბრაზილიელე- ბი, ხოლო „ბ" ჯგუფში მასპინძ- ლები და ავსტრალიელები. ავსტ- რალიელი ქალები ლიდერობენ ბა- ლახის ჰოკეისტთა ტურნირსაც. მათ 4 თამაშის შემდეგ 7 ქულა აქვთ. კორეელებს —5; ერთნაირად ოთხ ნაკრებს — გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, არგენტინას და პო- ლანდიას 4-4 ქულა აქვთ, მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან მასპი- ნძლები, ხოლო ესპანელებს მხო- ლოდ 1 ქულა აქვთ. სამაგიეროდ, ესპანელები წარმატებით ასპარე- ზობენ ვაჟთა ტურნირში. „ბ" ჯგუფში ისინი ქულათა მაქსიმუ- მით ლიდერობენ და უსწრებენ ფავორიტებად შერაცხულებს — გერმანიას, პაკისტანს, ინდოეთს. „ა" ჯგუფში 3 თამაშიდან 5 ქულით პირველ ადგილზე ჰოლა- ნდიელები არიან.

# საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის

| მუხლის ნომერი | დარღვევის სახე | ადმინისტრაციული სახდ. ზომა | | დარღვევის განხილვა წარმოებს |
|---|---|---|---|---|
| | | მართვის უფლების აკრძალვა | ან ჯარიმა შრომის ანაზღაურების | |
| 116-I ნაწილი | მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების მართვა საგზაო მოძრაობის წესების დანართში მითითებული იმ ტექნიკური უწესივრობით, რომელთა არსებობა კრძალავს სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციას.<br>— უნებართვოდ გადაკეთებული ა/მ მართვა<br>— რეგისტრაციის გარეშე ა/მ მართვა<br>— სატ.საშ.მართვა, მაშუქებზე და საჭარე მინაზე მარკირების გარეშე | | 1-3 მინიმალურ ოდენობამდე * | დარღვევის ჩადენის ან საცხოვრებელ ადგილზე |
| 116-II ნაწილი | უსაფრთხოების ღვედებით ან მოტოჩაფხუტებით სარგებლობის წესების დარღვევა | | 1-3 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 116-III ნაწილი | შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალებების განმეორებითი მართვა | | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 117 | — სიჩქარის გადაჭარბება<br>— მოძრაობის რეგულირების სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა<br>— მონიშვნის მოთხოვნათა დაუცველობა<br>— გასწრების, გზაჯვარედინის გავლის, მგზავრთა გადაყვანის, საქვეითო გადასასვლელების წესების დარღვევა<br>— საზოგადო ტრანსპორტის გაჩერების, გავლის, სანათი ხელსაწყოებით სარგებლობის, ხმოვანი სიგნალის მიცემის წესების დარღვევა<br>— სავალ ნაწილზე სატრ.საშ. განლაგების მდგომარეობის, ავტომაგისტრალებზე და საცხოვრებელ ზონებში სატრანსპორტო საშ. მოძრაობის, ბუქსირების, სასწავლო სვლის, ტვირთების გადაზიდვების წესების დარღვევა | | 2-5 მინიმალურ ოდენობამდე | დარღვევის ჩადენის ან საცხოვრებელ ადგილზე |
| 117-I | —მოტოციკლებისა და სხვა სატრან. საშუალებების მძღოლთა მონაწილეობა ჯგუფურ მოძრაობაში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას | 3 თვემდე | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 117-II | — ტექნიკური დათვალიერების გარეშე ა/მ მართვა | | 15-20 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 118 | — რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა | 6 თვემდე | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 119-I | —ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ მძღოლების მიერ სატ.საშ.მართვა, ან სატ საშ.გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში, ან ნარკოტიკულ საშ.ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის, განსაზღვრული წესით სიმთვრალით ან ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედების დასადგენად შემოწმებისგან თავის არიდება | 1-3 წლამდე | 30-60 მინიმალურ ოდენობამდე | დამრღვევის საცხოვრებელ ადგილზე |
| 119-II ნაწილი | — იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ან სატ.საშ. სამართავად გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშ.ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის | | 30-60 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 120-I ნაწილი | — წესების დარღვევა, რომლებმაც გამოიწვია საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება | 6 თვით | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 120-II ნაწილი | — იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატრ.საშ. ტვირთის, გზების, საგზაო ნაგებობების და სხვა ქონების დაზიანება | 6 თვით | 10-15 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 120-III | — სხვადასხვა დარღვევები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კოდექსის 116-119 მუხლებით და რასაც მოჰყვა ამ მუხლის I და II ნაწ.აღნიშნული შედეგები | | 2-5 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| IV ნაწილი | — იგივე დარღვევები, რასაც მოჰყვა სატ.საშ. ტვირთის და სხვა ნაგებობათა დაზიანება | | 10-15 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| V ნაწილი | — სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების არადანიშნულებით გამოყენება ან იმ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, რომლებიც აღნიშნული ხელსაწყოებით სარგებლობენ | ხელსაწყოების კონფისკაცია | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| VI ნაწილი | იგივე დარღვევა ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში განმეორებით | ,,—,, | 20-30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| 121-I ნაწილი | — სატ.საშ.მართვის უფლების გარეშე ან სატ.საშ. გადაცემა იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | დამრღვევის საცხოვრებელ ადგილზე |
| II ნაწილი | — იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატ.საშ.ტვირთის, გზების, საგზაო ან სხვა ნაგებობათა ან სხვა ქონების დაზიანება | სატრანსპორტო საშუალების სახყიდლით ჩამორთმევა | 10-30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| III ნაწილი | — სატ.საშ.სამართავად გადაცემა არასრულწლოვანისთვის | ,,—,, | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| IV ნაწილი | — ამ მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული ქმედება იმ პირის მიერ, რომელიც მართავს სხვისი საკუთრების სატ.საშუალებას | | 20-40 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| V ნაწილი | — სატ.საშ.მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მძღოლის მოწმობა, ან სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები | | 1 მინიმალური ოდენობით | დარღვევის ჩადენის ან საცხოვრებელ ადგილზე |
| 122-I ნაწილი | — სატ.საშ.სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან შენიღბული სხვაგვარად შეცვლილი სანომრე ნიშნებით მართვა | სატ.საშ.სასყიდლით ჩამორთმევა | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| II ნაწილი | — იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვა პირის ან საწარმოო დაწესებ. კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას | | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| შენიშვნა | — ის პირები, რომლებიც ამ საშუალებით სარგებლობენ ინვალიდობასთან დაკავშირებით | | 1 მინიმალური ოდენობით | საცხოვრებელ ადგილზე |
| 123-I ნაწილი | — საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომლის მონაწილეც თავად არის | 1-3 წლამდე | 10-30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| II ნაწილი | — პოლიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობა სატრ.საშ.გაჩერების შესახებ | 1-3 წლამდე | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | საცხ. ადგილზე |
| 124-I ნაწილი | — ქვეითად მოსიარულეთა,ველოსიპედისტთა და სხვა პირთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა | გაფრთხილება | ნახევარი მინ. ოდენობით | დარღვევის ჩადენის ადგილზე |
| II ნაწილი | — იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ავარიული ვითარება, ან მოძრაობის შეფერხება | | 1 მინიმალური ოდენობით | ,,—,, |
| III ნაწილი | — იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სატრ.საშ.ტვირთის, საგზაო და სხვა ქონების დაზიანება | | 5 მინიმალური ოდენობით | საცხ. ადგილზე |
| 125 | — თანამდებობის პირების მიერ ისეთ გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება, რის გამოც მათი ექსპლუატაცია აკრძალულია, ან გადაკეთებულია სათანადო ნებართვის გარეშე, ან რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ან არ გაუვლიათ სახ.ტექ. შემოწმება ან არ გააჩნიათ მარკირება მაშუქებსა და საქარე მინებზე, ან გამონაბოლქვ აირებში აღენიშნებათ ნორმაზე მეტი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 126 | — თანამდებობის პირების მიერ სატ.საშ.სამართავად დაშვება ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლებისა ან იმ პირებისა, რომლებსაც არ აქვთ იმ საშუალებათა მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვება სხვა სატრანსპორტო საშ.სახელმწიფო ნომრებით ან სახ ნომრების გარეშე | | 10-20 მინიმალურ ოდენობამდე | საცხოვრებელ ადგილზე |
| 133-I ნაწილი | — გზების,რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა განზრახ დაზიანება, აგრეთვე საგზაო მოძრაობის შესაფერხებელი დაბრკოლების განზრახ შექმნა | | 5-10 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| II ნაწილი | — იგივე ქმედება ჩადენილი გაუფრთხილებლობით გამოიწვევს დაჯარიმებას | | 3-5 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 136-I ნაწილი | — გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა ნაგებობების მოვლა-შენახვის წესების დარღვევა, დროულად აკრძალვის ზომების მიუღებლობა | | 10-30 მინიმალურ ოდენობამდე | სასამართლოში |
| II ნაწილი | — თანამდებობის ან ფიზიკური პირები, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს თვითნებურად ობიექტის მშენებლობა, გზის პირზე და ტროტუარებზე გარე ვაჭრობა და სამშენებლო და სხვა მასალების დაყრა, სავალი ნაწილის გადათხრა შეთანხმების გარეშე, გზებთან თვითნებური მიერთება, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების მიღება სარემონტოდ, ნებართვის გარეშე | | 20-40 მინიმალურ ოდენობამდე | ,,—,, |
| 137-I ნაწილი | — გზების გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესის დარღვევა (უმეთვალყურეოდ დატოვება) | | 1 მინიმალური ოდენობით | ,,—,, |
| II ნაწილი | — იგივე დარღვევა, რამაც გამოიწვია საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა | | 10 მინიმალური ოდენობით | ,,—,, |
| მუხლი 81 | — მოქალაქეთა მიერ ისეთი სატრ.საშ. და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა გამონაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება | | 5 მინიმალური ოდენობით | სასამართლოში |
| მუხლი 113 | — ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა<br>— ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ | | | |
| მუხლი 177 I | ლიცენზირების წესების დარღვევა<br>საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზიების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების დარღვევა.<br>შენიშვნა: უცხოელი მოქალაქეები ლიცენზირების წესების დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმდებიან ადგილზე საგზაო პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ | | 20-70 მინიმალური ოდენობით, ადმ. პატიმრობა 30 დღით | სასამართლოში |
| მუხლი 209 | მეორე ნაწილის მე-2 პუნქტში სიტყვები „133-ე მუხლის პირველი ნაწილით" შეიცვალოს სიტყვებით „133-ე მუხლით", ხოლო მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:<br>— ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 116-117-ე მუხლებით, 121-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 124-ე მუხლის პირველი ნაწილით — საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვედანაყოფების მეთაურებსა და მათ მოადგილეებს, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს და სხვა ინსპექტორებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს საგზაო მოძრაობის წესების და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სხვა ნორმატივების დაცვაზე — დაჯარიმებისა შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე | | | |
| მუხლი 239 | ოქმს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის 81-ე, 116-126-ე, 133-ე, 136-137-ე და 177 I მუხლებით, ადგენენ მხოლოდ საგზაო პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირები | | | |

* შენიშვნა: მინისტრთა კაბინეტის 27 ივნისის №373 დადგენილებით I ბიუ... შესატანი ჯარიმების, ყოველგვარი გადასახადებისა და სხვა სახდელების გამოანგარ... წარმოებს 1,5 ლარიდან.

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართ...**

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ალთუნაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.